

სოციალური დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2025, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2025, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2025, №8

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2025, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი

სახელმწიფო კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება	4
სახელმწიფო კომპენსაციის მიღების მიზნით შეიარაღებულ ძალებში ნამსახურების პერიოდის განსაზღვრა	18
სახელმწიფო კომპენსაციის სახით მისაღები თანხის საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის დაკისრების საფუძვლიანობა	28
სამხედრო პირისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი	38

2. მიუღებელი პენსიის ანაზღაურება

პენსიის შეწყვეტის პერიოდში მიუღებელი ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის ხანდაზმულობა	57
ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნის საფუძველი	80; 94
გარდაცვლილი პირის მიუღებელი პენსიის მისი მემკვიდრეების მიერ მოთხოვნის ვადა	115

3. უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველი

მოსარჩელის უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე ახალი აქტის გამოცემის წინაპირობები	123
თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ აქტის კანონიერება	138
უსახლკარო ოჯახად დარეგისტრირების საფუძველი	164

4. ერთჯერადი დახმარება

მიუღებელი ერთჯერადი დახმარების ანაზღაურება	184
--	-----

1. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი

სახელმწიფო კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

განმარტება საქართველოს სახელით

№ბს-881(2კ-22)

20 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-იმ 2019 წლის 30 აგვისტოს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მისთვის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრისთვის, დარჩენილი უფლებამოსილების ვადის შესაბამისი სახელმწიფო კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 6 აგვისტოს №04/42000 წერილობითი მიმართვის ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დავალდებულება, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც გ. მ-ის დაენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 6 წლისა და 9 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად 6000 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, ... წლის ...ს გ. მ-ი დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად 10 წლის ვადით. მას ... წლის 22 სექტემბრიდან პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება. ამის შემდეგ, ... წლიდან 2008 წლამდე მუშაობდა საჯარო სამსახურში, შესაბამისად, არ შეეძლო ესარგებლა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონ-

ნის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანაწესით, თუმცა ამავე კანონის შესაბამისად, 2008 წლის ივლისში გ. მ-ის დაენიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სახელმწიფო კომპენსაცია 1200 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2018 წლის აგვისტოდან „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დაწესდა რეგულაცია, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოში გამწესებიდან არანაკლებ 3 წლის შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება, ენიშნებოდა სახელმწიფო კომპენსაცია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შესაბამისი ხელფასის სრული ოდენობით, იმ ვადით, რომელშიც მას უნდა განეხორციელებინა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება.

აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, მოსარჩელემ მოითხოვა სადავო აქტის ბათილად ცნობა და კანონის ახალი რედაქციით გათვალისწინებული კომპენსაციის დანიშვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– მოსარჩელე გ. მ-ი ... წლის ...-დან დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ხოლო ... წლის ...-ს, მას პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა უფლებამოსილება.

– გ. მ-მა 2019 წლის 26 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მისთვის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრისთვის, დარჩენილი 6 წლისა და 9 თვის უფლებამოსილების ვადით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე, რაზეც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 6 აგვისტოს №04/42000 წერილით ეთქვა უარი.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18³ მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოში გამწესებიდან არანაკლებ 3 წლის შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება, ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შესაბამისი ხელფასის სრული ოდენობით, იმ ვადით, რომელშიც მას უნდა განეხორციელებინა საკონსტიტუციო სასა-

მართლოს წევრის უფლებამოსილება. ეს კომპენსაცია დანამატის შენარჩუნებით იცვლება საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი წევრის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კომპენსაცია გადაანგარიშდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის შესაბამისად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული კანონის მითითებული ნორმა ცვლილების სახით შეტანილ იქნა 2018 წლის 21 ივლისს და ამავე კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ №3265-რს ორგანული კანონის მე-3 მუხლით განისაზღვრა მისი ძალაში შესვლის დრო, რომელიც დაუკავშირდა პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტს. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცი დაიდო 2018 წლის 16 დეკემბერს, მითითებული ცვლილება ძალაში შევიდა სწორედ აღნიშნულ დღეს. ამასთან, მითითებული კანონით განხორციელებულ ცვლილებებს უკუძალა არ მინიჭებია.

სასამართლომ ასევე მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. მოცემულ შემთხვევაში კი, გ. მ-ის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე ეთქვა უარი იმ პირობებში, როდესაც მისი, როგორც მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები დასრულდა ... წლის ...ს, ხოლო ნორმა, რომლის საფუძველზეც მან სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა მოითხოვა, ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს და იმავე საკანონმდებლო აქტით მას უკუძალა არ მინიჭებია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება არსებითად შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სასამართლომ, სადავო აქტის კანონიერების პირობებში, უსაფუძვლოდ ჩათვალა აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისთვის აქტის გამოცემის დავალების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 6 აგვისტოს №04/42000 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ამავე სააგენტოს დაევალა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა მათი სამართლებრივი დასაბუთებისას მიუთითა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის როგორც ველ, ისე ახალ რედაქციაზე, რომლებმაც უცვლელად აღიარეს სახელმწიფო ვალდებულება – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, შეუქმნას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები“. ამასთან, უზრუნველყოფის ვალდებულება ვრცელდება როგორც თანამდებობაზე ყოფნის პერიოდზე, ასევე პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდგომ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო, დადგენილიყო კანონმდებლის ნება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური გარანტიების დამდგენი ნორმების დროში მოქმედებასთან მიმართებით და ამის გათვალისწინებით შეფასებულიყო, წარმოეშვა თუ არა მოსარჩელეს კონკრეტული უფლება და ექვემდებარებოდა თუ არა იგი რეალიზაციას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დასმული საკითხების შეფასება მოითხოვდა სიღრმისეულად გაანალიზებულიყო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა (შემდგომში: სასამართლოს წევრი) სოციალური უზრუნველყოფის დამდგენი ნორმების მიზნობრიობა და განვითარების დინამიკა, რამეთუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სოციალური გარანტიების საკანონმდებლო რეგულირება თავდაპირველად მოხდა 1996 წლის 30 ივლისის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-9 მუხლით განისაზღვრა წესი, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილების ვადის დამთავრების ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სამისდღეშიო პენსია ფულადი გასამრჯელოს სრული ოდენობით.“ მოგვი-

ანებით, კანონით აღიარებული სოციალური უზრუნველყოფის ფარგლები და მოცულობა რამდენჯერმე დაექვემდებარა ცვლილებას. დასახელებულმა ნორმებმა იარსება 2006 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 16 დეკემბრამდე. 2018 წლის ცვლილებებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური გარანტიების მარეგულირებელი კანონი მთლიანად ინტეგრირდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. გარდა დასახელებული კანონისა, ორგანულ კანონში მოხდა ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის და საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის ინტეგრირება. განსახილველი საქმისათვის რელევანტური ნორმები აისახა ორგანული კანონის ახალ II¹ თავში. ამდენად, დღეისათვის, ორგანული კანონის II¹ თავი არეგულირებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შრომის ანაზღაურებასა და სოციალური დაცვის გარანტიებთან დაკავშირებულ წესებს. ამასთან, ორგანულ კანონში ინტეგრირების შემდეგ, კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც კანონით დადგენილი გარანტიების მოქმედების დროით განზომილებას განსაზღვრავდა და ამბობდა, რომ ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა კანონის ამოქმედებამდე გამწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრზე – აღარ არის ასახული 2018 წლის 16 დეკემბრის შემდგომ ძალაში მყოფ რედაქციაში.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე სადავო ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებაზე და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული სამართლის, კერძოდ, სოციალური დაცვის მარეგულირებელი სფეროსათვის დამახასიათებელი იყო დენადი ურთიერთობები. სოციალური უზრუნველყოფა არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ სამისდღემშიო პროცესი. ამ სფეროში, კანონმდებლობის ცვლილებების მოქმედება არ ვრცელდება ძველ ურთიერთობებზე, კანონი აწესრიგებს მისი ძალაში შესვლიდან და არა მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართალურ ურთიერთობებს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლი გულისხმობს ნორმის ნამდვილი რეტროაქტიული ძალის აკრძალვას. რაც შეეხება არანამდვილ (რეტროსპექტიულ) უკუძალას, იგი გულისხმობს, რომ ახალმიღებული კანონი ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ადრე დაიწყო, მაგრამ ჯერ კიდევ მიმდინარეობს და გრძელდება. შესაბამისად, განგრძობადი, სამისდღემშიო ურთიერთობების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალში სავსებით დასაშვებია კანონის რეტროსპექტიული უკუძალა. აღნიშნული წესის გათვალისწინებით და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, 2006 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 21 დეკემბრამდე

(პრეზიდენტის ფიცის დადება) კანონი უცვლელად პირდაპირ ითვალისწინებდა უკუძალის დანაწესს. ამდენად, სახეზე გვქონდა ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა – ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. 2018 წლის 21 დეკემბრის შემდგომ, ორგანული კანონის 18³ მუხლი აღარ შეიცავს ნორმატიული აქტის უკუძალასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანაწესს. ამდენად, 2018 წლის 21 დეკემბრიდან მოქმედ წესს გააჩნია ზემოხსენებული რეტროსპექტიული უკუძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შედეგებს წარმოშობს მხოლოდ მისი ძალაში შესვლის შემდგომ განვითარებულ სამართალურიერთობებზე, თუნდაც ისინი ძალაში შესვლამდე ყოფილიყო დაწყებული. სააპელაციო პალატამ დასახელებული საკანონმდებლო ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2008 წელს და იგი უწყვეტად არსებობდა 2018 წლის 21 დეკემბრამდე მანამ, სანამ მოქმედი კანონმდებლობა ექსპლიციტურად შეიცავდა ნორმების უკუძალის გავრცელების თაობაზე პირდაპირ მითითებას. შესაბამისად, უფლების რეალიზაციის დროითი პერიოდი შემოფარგლული უნდა ყოფილიყო ხანდაზმულობის ვადით, რომლის ათვლაც დაიწყებოდა 2018 წლის 21 დეკემბერს. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო პალატამ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია საქმეზე დამატებითი ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა, რა თვალსაზრისითაც ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე მონაცემები. ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოდგენილი 2021 წლის 29 ნოემბრის №04/11702 წერილით დადასტურდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ წევრს, საკონსტიტუციო სასამართლოში გამწესებიდან კანონით გათვალისწინებული ვადის (არანაკლებ 3 წლის) შემდეგ, პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება და დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შესაბამისი ხელფასის სრული ოდენობით, იმ ვადით, რომელშიც მას უნდა განეხორციელებინა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კომპენსაცია გადაუანგარიშდა და განისაზღვრა 1200 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია დავის გადაწყვეტა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე და მოცემულ საქმესთან დაკავშირებით სსიპ სოციალური მომსახურების

სააგენტოს დავალდებულება, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებს:

კასატორი მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. მოცემულ შემთხვევაში საგულისხმოა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18^{3.2} მუხლში 2018 წლის 21 ივლისის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ №3265-რს ორგანული კანონის მე-3 მუხლით შეტანილი ცვლილება, რომლითაც განსაზღვრულია მითითებული კანონის ძალაში შესვლის დრო და რომელიც უკავშირდება პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტს. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცი დაიდო 2018 წლის 16 დეკემბერს, მითითებული ცვლილება ძალაში შევიდა სწორედ აღნიშნულ დღეს. ამასთან, მითითებული კანონით განხორციელებულ ცვლილებებს უკუძალა არ მინიჭებია. განსახილველ შემთხვევაში, გ. მ-ის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მისი, როგორც მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები დასრულდა ... წლის ...ს, ხოლო ნორმა, რომლის საფუძველზეც მან სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა მოითხოვა, ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს და მას უკუძალა არ მინიჭებია.

კასატორი ასევე მიუთითებს სარჩელის ხანდაზმულობაზე და აღნიშნავს, რომ გ. მ-ის უფლება ჰქონდა 2008 წლის 7 ივნისიდან, როდესაც მას „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 18^{3.2} მუხლის შესაბამისად, დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 1200 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება (კომპენსაციის დანიშვნა) სადავოდ ექცია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში.

გ. მ-ის საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებს:

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას დავის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, ცალსახად დადასტურდა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი ყოფილი წევრის მიერ ხელფასის სრული მოცულობით და დარჩენილი უფლებამოსილების ვადით სარგებლობის ფაქტი. ამდენად, სრულიად გაუმართლებელია დავის ადმინისტრაციულ ორგანოში გამოსაკვლევად დაბრუნება, რადგან მოცემულ პირობებში სააპელაციო სასამართლოს თავად შეძლო მიედო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. კასატორი ამავდეს ითხოვს საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგანაც, ვინაიდან აშკარაა, რომ ადმინისტრაციული ორგანო კვლავ უარს იტყვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე კანონის დროში მოქმედების თუ ხანდაზმულობის საკითხის არასწორი განმარტებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ივლისისა და 7 სექტემბრის განჩინებებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. მ-ისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის განჩინებით გ. მ-ისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივრები განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ გ. მ-ისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განიხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 6 აგვისტოს №04/42000 წერილით გ. მ-ის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ წევრს, უარი ეთქვა დარჩენილი უფლებამოსილების ვადით შესაბამისი სახელმწიფო

კომპენსაციის დანიშვნაზე. უარის თქმის საფუძველად სააგენტომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაცია მოსარჩელეს დანიშნული ჰქონდა 2008 წლის 7 ივნისიდან, რომლის ოდენობაც – 1200 ლარი, განსაზღვრულია ასევე დღეს მოქმედი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18³.1 მუხლითაც. უარის თქმის საფუძველად დამატებით მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. ამასთანავე, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირს სახელმწიფო გასაცემლის დასანიშნად მიმართვა შეუძლია აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს, აღინიშნა, რომ მითითებული ნორმა ეხებოდა კომპენსაციის დანიშვნის საფუძველების წარმოშობის შემთხვევაში მისი რეალიზაციის უფლებას (კომპენსაციის დასანიშნად მიმართვას), რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა 2008 წელს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი მას არ გააჩნდა.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ მოსარჩელე გ. მ-ი ... წლის ...-იდან დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ხოლო ... წლის ...-ს მას პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა უფლებამოსილება. 2019 წლის 26 ივლისს გ. მ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მისთვის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრისთვის, დარჩენილი 6 წლისა და 9 თვის უფლებამოსილების ვადით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე, რაზეც სადავო აქტით ეთქვა უარი. ამასთანავე, დადასტურებულია, რომ გ. მ-ის 2008 წლის ივლისში, იმ დროს მოქმედი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის (1996 წლის 25 ივნისის) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დაენიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სახელმწიფო კომპენსაცია – 1200 ლარის ოდენობით, რომელსაც იღებს დღემდე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს გ. მ-ისთვის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრისთვის, დარჩენილი უფლებამოსილების ვადით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შესაბამისი ხელფასის სრული ოდენობით დანიშვნაზე, უსაფუძველობისა და ხანდაზმულობის მოტივით, უარის თქმის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, მიუთითებს „საქართვე-

ლოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-4 მუხლის როგორც ძველი, ისე ახალი რედაქცია უცვლელად აღიარებს სახელმწიფო ვალდებულებას – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, შეუქმნას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სოციალური გარანტიების საკანონმდებლო რეგულირება თავდაპირველად განხორციელდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური გარანტიების შესახებ“ 1996 წლის 25 ივნისის კანონით, რომლის მე-9 მუხლის მიხედვით განისაზღვრა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილების ვადის დამთავრების ან საპენსიო ასაკის მიღწევასა და ენიშვნა სამისდღეშიო პენსია ფულადი გასამრჯელოს სრული ოდენობით.“ მოგვიანებით, კანონით აღიარებული სოციალური უზრუნველყოფის ფარგლები და მოცულობა რამდენჯერმე დაექვემდებარა ცვლილებას, მათ შორის, კანონში ცვლილება შევიდა 2005 წლის ბოლოს, რომლის თანახმად, 2006 წლის პირველი იანვრიდან კიდევ ერთხელ განაზღვდა მე-9 მუხლით გათვალისწინებული სოციალური გარანტიებით სარგებლობის წინაპირობები, იმისათვის, რომ სასამართლოს წევრს დანიშვნოდა სახელმწიფო კომპენსაცია წევრის შესაბამისი ხელფასის სრული ოდენობით და იმ ვადით, რა ვადაშიც მას უნდა განეხორციელებინა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება. წინაპირობად დადგენილი ნამსახურები წლების მინიმალური ოდენობა შემცირდა 5-დან 3 წლამდე. 20-წლიანი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა კი საერთოდ გაუქმდა. ცვლილება ასევე შეეხო ამავე რეგულაციით დადგენილ წესს ყოფილი წევრის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ნორმის ახალი დანაწესით, ყოფილი წევრის კომპენსაცია იცვლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ამჯერად დანამატის შენარჩუნებით. გარდა ამისა, 2005 წლის ცვლილებებით ფიქსირებულად დადგინდა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის და საპენსიო ასაკის მიღწევის საფუძველით კომპენსაციის დანიშვნის შემთხვევებისათვის და იგი განისაზღვრა 1200 ლარით. 2005 წლის ცვლილებებით, კანონს ასევე დაემატა მე-10 მუხლი, რომელიც მიუთითებდა კანონმდებლის ნებას და ამბობდა, რომ „ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა (იგულისხმება: 1200-ლარიანი კომპენსაცია) ვრცელდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის კომპენსაციის მიმღებ ყველა პირზე დანიშვნის დროის მიუხედავად.“ დასახელებული კანონის მე-10 მუხლთან ერთად, შენარჩუნდა კანონის

მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც ასევე აშკარად ადგენდა კანონმდებლის ნებას, რომ ამ კანონის მოქმედება გავრცელებულიყო ამ კანონის ამოქმედებამდე გამწესებულ საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული შინაარსითა და ფარგლებით კანონის დასახელებულმა ნორმებმა იარსება 2006 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 16 დეკემბრამდე, ხოლო 2018 წლის ცვლილებებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური გარანტიების მარეგულირებელი კანონი მთლიანად ინტეგრირდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომელმაც გარდა მცირე გრამატიკული, სტილისტური და რედაქციული ცვლილებებისა, შინაარსობრივი თვალსაზრისით იდენტურად ასახა წინამორბედი კანონით დადგენილი გარანტიების მოცულობა და ფარგლები და კვლავ გაითვალისწინა დათქმა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოში გამწესებიდან არანაკლებ 3 წლის შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება, ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შესაბამისი ხელფასის სრული ოდენობით, იმ ვადით, რომელშიც მას უნდა განეხორციელებინა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება. ეს კომპენსაცია დანამატის შენარჩუნებით იცვლება საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი წევრის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კომპენსაცია გადაანგარიშდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის შესაბამისად. პირველი პუნქტი კვლავ იმეორებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1200 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტს, რომელიც კანონით დადგენილი გარანტიების მოქმედების დროით განზომილებას განსაზღვრავდა და ამბობდა, რომ ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა კანონის ამოქმედებამდე გამწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრზე, აღარ არის ასახული 2018 წლის 16 დეკემბრის შემდგომ ძალაში მყოფ რედაქციაში.

საკასაციო სასამართლო, საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და დასახელებული სამართლებრივი ნორმების ურთიერთშეჯერების შედეგად, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას ახორცი-

ელებდა...-... წლებში. კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღების გარანტია კი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობას უკავშირდება, თავდაპირველად 2005 წლის კანონში იქნა გათვალისწინებული. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია პირს წარმოეშობა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე, თუ არ არსებობს სხვა რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება. განსახილველ შემთხვევაში დადასტურებულია და არც მოსარჩელე უარყოფს, რომ იგი 2008 წლამდე მუშაობდა საჯარო სამსახურში, ხოლო 2008 წლის შემდეგ, მას, მისივე მოთხოვნის საფუძველზე, დაენიშნა 1200-ლარიანი პენსია, რომლითაც დღემდე სარგებლობს. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოეშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართალია, განსაზღვრულია კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასაენიშნად მიმართვა აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს, თუმცა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნორმა ეხება, კომპენსაციის დანიშვნის საფუძველების წარმოშობის შემთხვევაში, მისი რეალიზაციის უფლებას. მოსარჩელე გ. მ-ის კი სადავო უფლებით – იმ ვადით, რა ვადითაც მას უნდა განეხორციელებინა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება – მიეღო დარჩენილი უფლებამოსილების ვადით შესაბამისი სახელმწიფო კომპენსაცია, არ უსარგებლია კანონით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოების გამო, რასაც საჯარო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში კი, კანონი განვლილ პერიოდზე ამ უფლების რეალიზაციას არ ითვალისწინებს, მით უფრო, რომ მან 2008 წელს, სწორედ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, 1200-ლარიანი კომპენსაციის და არა დარჩენილი უფლებამოსილების ვადით კომპენსაციის დანიშვნის მოთხოვნით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საკითხის მომწესრიგებელი ნორმის ახალ რეგულაციაზე და აღნიშნავს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18^{3,2} მუხლი ამავე კანონში ცვლილების სახით შევიდა 2018 წლის 21 ივლისს და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ №3265-რს ორგანული კანონის მე-3 მუხლით დადგინდა მითითებული კანონის ძალაში შესვლის დრო, რო-

მელიც დაუკავშირდა პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტს. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცი დაიდო 2018 წლის 16 დეკემბერს, მითითებული ცვლილება ძალაში შევიდა სწორედ აღნიშნულ დღეს. ამასთან, მითითებული კანონით განხორციელებულ ცვლილებებს უკუძალა არ მინიჭებია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ამასთან, ნორმატიული აქტი, სამართალში აღიარებული ზოგადი პრინციპის მიხედვით, სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მისი მიღების შემდგომ წარმოშობილი ან მის ამოქმედებამდე წარმოშობილი, მაგრამ დენადი სამართლებრივ ურთიერთობების მიმართ და მას უკუქცევითი ძალა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გააჩნია, რისი მიზანიც არის სამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილურობისა და სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ნორმატიული აქტის მიღებამდე დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე ნორმის გავრცელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტი მას უკუქცევით ძალას ანიჭებს, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე დადასტურებულია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე გ. მ-ი ... წლის ...-დან დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ხოლო ... წლის ...-ს მას, პირადი განცხადების საფუძველზე, შეუწყდა უფლებამოსილება. აღნიშნული კი გულისხმობს იმას, რომ მას მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2008 წელს, როცა დაასრულა საჯარო სამსახურში მოღვაწეობა და ეკუთვნოდა სადავო პერიოდში მოქმედი კანონით გათვალისწინებული 1200-ლარიანი პენსია, რაც მოითხოვა და დაენიშნა კიდევ.

რაც შეეხება სააპელაციო პალატის მსჯელობას საქმეზე დადგენილ ახალ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოდგენილი 2021 წლის 29 ნოემბრის №04/11702 წერილით დადასტურდა არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მიდგომა და განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის გავრცელება, საკასაციო პალატის მოსაზრებით, საფუძველს მოკლებულია, რამდენადაც, წარმოდგენილი წერილით იკვეთება მოსარჩელესა და საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ წევრს – ბენეფიციარს შორის განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა. ზემოხსენებულ ბენეფიციარს, რომელსაც პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამო-

სილება, დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შესაბამისი ხელფასის სრული ოდენობით იმ ვადით, რა ვადითაც მას უნდა განეხორციელებინა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კომპენსაცია გადაუნაგარიშდა და განესაზღვრა 1200 ლარით. განსახილველ შემთხვევაში კი, გ. მ-ის არ მოუთხოვია უფლებამოსილების ვადით კომპენსაციის დანიშვნა, რადგან არსებობდა დამაბრკოლებელი გარემოება – საჯარო საქმიანობის განხორციელება. ამ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ კი თავად მოითხოვა კანონით გათვალისწინებული 1200-ლარიანი პენსიის დანიშვნა. ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშედარება არასწორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სათანადო სამართლებრივი შეფასება, გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობაა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სოციალური დავები გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, რაც არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში საქმის განხილვის პროცესში დავასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების საკითხის გადაწყვეტის საჭიროებას. შესაბამისად, მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. გ. მ-ისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო კომპენსაციის მიღების მიზნით შეიარაღებულ ძალებში ნამსახურების პერიოდის განსაზღვრა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-359(კ-21)

22 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე;
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 8 თებერვალს გ. ჩ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ საბოლოოდ დაზუსტებული სარჩელით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. ჩ-ის შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობის პერიოდში – სავალდებულო სამხედრო სამსახურში 1969 წლის 20 მაისიდან – 1971 წლის 26 მაისამდე ნამსახურობის პერიოდის და შინაგან საქმეთა სამინისტროში 2001 წლის 19 აპრილიდან – 2002 წლის 24 სექტემბრამდე ნამსახურობის პერიოდის ჩათვლის დავალება მოითხო-

ვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ვ. ჩ-ისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდის – 1969 წლის 20 მაისიდან 1971 წლის 26 მაისამდე, შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობად ჩათვლა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ჩ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ვ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ჩ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი ვ. ჩ-ი აღნიშნავს, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ, „სახელმწიფო პენსიისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის წესის შესახებ“ და ნამსახურობის წლები არ უნდა ჩაეთვალა საერთო სტაჟში. სასამარ-

თლომ არასწორად შეაფასა, რომ ვ. ჩ-ი არ უნდა ჩათვლილიყო დათხოვნილად საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან. სასამართლომ არასწორად შეაფასა, რომ იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დათხოვნილად უნდა ჩათვლილიყო, რადგან სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანიშნა ... სამხედრო ნაწილის ...ის უფროსის პოზიციაზე. სასამართლომ არასწორად გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. ჩ-ის მიერ 1969 წლის 20 მაისიდან 1971 წლის 26 მაისამდე საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ყოფნის პერიოდის ნამსახურობის სტაჟში ჩათვლის ნაწილში. ასევე, სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ ჩაუთვალა მას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობად 2001 წლის 19 აპრილიდან 2002 წლის 24 სექტემბრამდე სამუშაო სტაჟი. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა „საქართველოს შინაგანი ჯარების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის პირველი მუხლის, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის, მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის, მე-20 მუხლის „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების, 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე და 27-ე მუხლების საფუძველზე უნდა მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება, ანუ უნდა ჩაეთვალა ნამსახურობის სტაჟში მოთხოვნილი პერიოდი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ვ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 12 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ვ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ვ. ჩ-ი სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნა 1969 წლის 04 მაისს, საქართველოს სსრ ...ის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ. მსახურობდა 1969 წლის 20 მაისიდან, დათხოვნილ იქნა თადარიგში 1971 წლის

26 მაისს სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის გასვლის გამო და ამოირიცხა ნაწილის სიებიდან. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდი მოიცავს 1969 წლის 20 მაისიდან 1971 წლის 26 მაისამდე პერიოდს.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მინისტრის პირველი მოადგილის 1993 წლის 8 ოქტომბრის №1658 ბრძანებით, ვ. ჩ-ი ჩაირიცხა ...-ე სამხედრო ნაწილის სიაში, შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1998 წლის 14 სექტემბრის №428 ბრძანებით ვ. ჩ-ს მიენიჭა მორიგი სამხედრო ნომერია „ვიცე-პოლკოვნიკი“. ვ. ჩ-ი საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან 2001 წლის 19 აპრილს მივლინებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის მთავარ სამმართველოში და დაინიშნა ...-ის ...ის უფროსის თანამდებობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ოპერატიული აღრიცხვისა და ოპერატიული არქივის სამმართველოს (...ის სარდლის) 2002 წლის 24 სექტემბრის №304 პ/მ ბრძანებით, ...ის ვიცე-პოლკოვნიკი ვ. ჩ-ი - ...-ის ...ის უფროსი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების თადარიგში, სამსახურის გავლის შესახებ დებულების IX თავის IV მუხლის „ა“ პუნქტით (ზღვრული ასაკის მიღწევა).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 24 თებერვლის №408108 გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ს 2015 წლის 02 თებერვლის №230639 განცხადების პასუხად ეცნობა, რომ მისი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ნამსახურობა არ შეადგენდა სავალდებულო 20 წლიან მინიმუმს, ასევე, შს ორგანოებში ნამსახურობა ვერ ჩაეთვლებოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობად, ზღვრული ასაკით დათხოვნის შემთხვევაში მასზე ვერ ვრცელდებოდა „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

ვ. ჩ-მა 2015 წლის 20 მაისს განცხადებით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტს და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საბუთების გაფორმება მოითხოვა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტის 2015 წლის 29 მაისის №MOD 7 15 00413252 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ვ. ჩ-ის მოთხოვნა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნასთან

დაკავშირებით, კერძოდ, წარდგენილი საბუთებისა და ...ის დეპარტამენტის საინფორმაციო ბაზის მიხედვით, საქართველოს შეიარაღებულ ძალების რიგებში მას ნამსახურები ჰქონდა 7 წელი, 8 თვე და 9 დღე (1993 წლის 8 ოქტომბრიდან 2001 წლის 19 აპრილამდე) და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 04 ივნისის ბრძანებით, 2001 წლის 19 აპრილიდან მივლინებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სამსახურის გასავლელად. ამასთან, იგი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი იყო ...ის სარდლის 2002 წლის 04 ივნისის № 1187 ბრძანებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 23 იანვრის № MIA218 00176978 წერილით ვ. ჩ-ს განემარტა, რომ წელთა ნამსახურობაში შედიოდა: სამხედრო სავალდებულო სამსახური: 20/05/1969 – 26/05/1971 წწ. – 02 წელი – 00 თვე – 06 დღე; სამსახურის გავლის პერიოდი: 03/10/1993 – 24/09/2002 წწ. – 08 წელი – 11 თვე – 21 დღე. ამავე წერილით განმცხადებელს განემარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, წელთა ნამსახურობა უნდა შეადგენდეს სამხედრო ან სპეციალური წოდებით მუშაობის 20 ან 20-ზე მეტ წელს, ამის შემდგომ (საერთო სტაჟში) ითვლება სწავლა და შეღავათიანი პერიოდი (არსებობის შემთხვევაში).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის (შემდგომში – კომპენსაცია) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

ამავე კანონის მე-8 მუხლით განისაზღვრება სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოდან დათხოვნილ პირთა, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირთა კომპენსაციის გაანგარიშების საკითხი.

მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეებს კომპენსაცია ენიშნებათ ამავე მუხლით განსაზღვრული პირობით და ოდენობით.

სადავო პერიოდში მოქმედი „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი.

ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების მიზნით, შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობის პერიოდად, სავალდებულო სამხედრო სამსახურში 1969 წლის 20 მაისიდან – 1971 წლის 26 მაისამდე და შინაგან საქმეთა სამინისტროში 2001 წლის 19 აპრილიდან – 2002 წლის 24 სექტემბრამდე ნამსახურობის პერიოდების ჩათვლა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის მიზნებისათვის ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათი სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, პირის მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე მუშაობა ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟად, ამასთან, საერთო შრომით სტაჟში ჩაითვლება სწავლის პერიოდი იმ შემთხვევაში, თუ პირი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვამდე ეწეოდა შრომით საქმიანობას და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდი. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საერთო შრომითი სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება ცნობა სავალდებულო სამხედრო ან მასთან გათანაბრებულ სხვა სამსახურში ყოფნის პერიოდზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული ბრძანება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდს მიაკუთვნებს არა სამხედრო, შეიარაღებული ძალებში ნამსახურობას, არამედ საერთო სტაჟს, თუმცა საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის დებულების XVI თავის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამხედრო სამსახურის ნამსახურობის წლები (სტაჟი) მოიცავს სსრკ-ს ჯარში სამსახურის პერიოდს 1991 წლის 21 დეკემბრამდე.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ორი სამართლებრივი აქტის შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით ზოგადად განისაზღვრა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური ჩაითვლება საერთო სტაჟში, თუმცა არ დაკონკრეტდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდი და წესი. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულება კი, განსხვავებით მინისტრის ბრძანებისგან, მიუთითებს 1991 წლამდე, სსრკ ჯარში სამსახურის პერიოდზე და ამ სამსახურის პერიოდს სამხედრო ნამსახურობას (სტაჟს) მიაკუთვნებს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებულ პერიოდთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოებს, სწორედ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული წესით უნდა ეხელმძღვანელათ. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-11 პუნქტი განსაზღვრავს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების იურიდიული ძალა განისაზღვრება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ ორგანოთა (თანამდებობის პირთა) იერარქიის შესაბამისად. ამდენად, საქართველოს მთავრობის ნორმატიულ აქტს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სო-

ციალური დაცვის მინისტრის ბრძანების მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ შესაბამისი რეგულირება შეეხება კონკრეტულ სპეციალურ პერიოდს და სპეციალურ წესს, რასაც ნორმატიული აქტების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად ასევე აქვს უპირატესი იურიდიული ძალა, ზოგად წესთან შედარებით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევა, რომ ვ. ჩ-ი სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნა 1969 წლის 04 მაისს საქართველოს სსრ ...ის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ და მსახურობდა 1969 წლის 20 მაისიდან, ხოლო 1971 წლის 26 მაისს დათხოვნილ იქნა თადარიგში სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის გასვლის გამო და ამოირიცხა ნაწილის სიებიდან. იგი მსახურობდა სამხედრო ჯარების დაჯგუფებაში ...ში, ... არმიაში.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტებების შესაბამისად, ვ. ჩ-ს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი 20.05.1969 – 26.05.1971 უნდა ჩაეთვალოს არა საერთო შრომის, არამედ შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობაში. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის პრაქტიკას (სუსგ №ბს-1287(კ-22) 20.02.2023 წელი), ვინაიდან, 1991 წლის 21 დეკემბრამდე სსრკ-ს ჯარში სამსახურის პერიოდი, მათ შორის სავალდებულო სამხედრო სამსახური, ითვლება არა საერთო შრომის სტაჟში, არამედ სამხედრო ნამსახურობაში.

ამასთან, 19.04.2001 – 24.09.2002 პერიოდის შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობაში ჩათვლასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები: ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სა-

ხელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში. იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტში კი მითითებულია, რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის, დამოუკიდებელი თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლედი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით).

„სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს შინაგანი ჯარების მოსამსახურეს განსაზღვრავს როგორც სამხედრო მოსამსახურეს. ამასთან „საქართველოს შინაგანი ჯარების შესახებ“ 1998 წლის 30 აპრილის (ძალადაკარგული 2005 წლის 22 მარტიდან) საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს შინაგანი ჯარები შედიოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და წარმოადგენდნენ საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენელ ნაწილს. იმავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ...ის პირად შემადგენლობაში შედიოდნენ სამხედრო მოსამსახურეები და ნებით დაქირავებული პირები, ხოლო 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ...ის სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მიერ მათი მოვალეობის შესრულების წესი განისაზღვრებოდა ამ კანონით, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო წესდებებით, საქართველოს შინაგანი ჯარების საბრძოლო სამსახურის წესდებით და საქართველოს ნორმატიული აქტებით. ამდენად, შესაბამისი ნორმების დეტალური ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შესაბამის პერიოდში 19.04.2001 – 24.09.2002 შინაგან ჯარებში სამსახური ცალსახად წარმოადგენდა შეიარაღებულ ძალებში სამსახურს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის №ბს-1362(2კ-19) გადაწყვეტილება).

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ მოსარჩელე ვ. ჩ-ი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...ის სარ-

დღის 2001 წლის 03 ივლისის №263 პ/შ ბრძანებით 2001 წლის 19 აპრილიდან დაინიშნა ...ის უფროსად. შესაბამისად, ზღვრული ასაკის მიღწევის შემდგომ, იგი დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალების თადარიგში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების IX თავის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ...ის სარდლის №304 პ/შ ბრძანებით, 2002 წლის 24 სექტემბერს, იმ ორგანოს მიერ, რომელმაც ამ თანამდებობაზე დანიშნა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული პერიოდი მოსარჩელეს ასევე უნდა ჩაეთვალოს შეიარაღებული ძალებში სამსახურობის სტაჟში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალოს ვ. ჩ-ისათვის, სავალდებულო სამხედრო სამსახურში 1969 წლის 20 მაისიდან – 1971 წლის 26 მაისამდე სამსახურობის პერიოდის და შინაგან საქმეთა სამინისტროში 2001 წლის 19 აპრილიდან – 2002 წლის 24 სექტემბრამდე სამსახურობის პერიოდის შეიარაღებულ ძალებში სამსახურობის პერიოდში ჩათვლა;
5. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფო კომპენსაციის სახით მისაღები თანხის
საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის
დაკისრების საფუძვლიანობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-550(2კ-22)

19 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. სტურუა,
გ. მაკარიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ლ-მა 2017 წლის 12 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შემდგომ მოპასუხეებად მიუთითა – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ასევე, საქართველოს მთავარი პროკურატურა და მოითხოვა კ. ლ-ისთვის თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 9 აგვისტოს №04/51619 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხეთათვის კ. ლ-ის სასარგებლოდ მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის თანხის სოლიდარულად ანაზღაურება 2007 წლის 28 დეკემბრიდან 2014 წლის 1 აპრილამდე – 42000 ლარის, ხოლო 2014 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდისათვის – 17 360 ლარის, სულ 59 560 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმარტებით, 1979 წლის 3 ივლისიდან 2006 წლის 14 აპრილის ჩათვლით მუშაობდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სისტემაში. 1998 წლის 09 ივლისამდე ეკავა ...ის თანამდებობა. 1998 წლის 09 ივლისიდან 2002 წლის 26 მარტამდე გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან, თუმცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, 3 წელი, 9 თვე და 17 დღე ჩაეთვალა სამსახურებრივ სტაჟში. 2002 წლის 26 მარტიდან 2006 წლის 14 აპრილამდე მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა გახლდათ – საქართველოს გენერალური პროკურატურის ...ის დეპარტამენტის პროკურორი. კ. ლ-ის საერთო სამუშაო სტაჟმა 2006 წლის 14 აპრილის მდგომარეობით შე-

ადგინა 25 წელი, 8 თვე და 21 დღე, თუმცა კუთვნილ კომპენსაციას იღებს მხოლოდ 2016 წლის 01 ოქტომბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 03 აგვისტოს განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს მთავარ პროკურატურას კ. ლ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 01 ივნისიდან – 2016 წლის 01 იანვრამდე პერიოდისთვის ყოველთვიურად – 337,18 ლარისა და 2016 წლის 01 იანვრიდან – 2016 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდისთვის – 560 ლარის ოდენობით ანაზღაურება დაევალა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და კ. ლ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 22 აპრილის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2014 წლის 13 მაისს კ. ლ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას, რომელმაც, თავის მხრივ, 2014 წლის 22 მაისის წერილით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...-ის სოციალური მომსახურების ცენტრში გადააგზავნა: კ. ლ-ის განცხადება, პროკურატურიდან მისი გათავისუფლებისა და დათხოვნის ბრძანებათა ასლები, ცნობა თანამდებობრივი სარგოს შესახებ და ნამსახურობის ნუსხა, თუმცა მოსარჩელისთვის კომპენსაციის დანიშვნა არ განხორციელდა იმ საფუძველით, რომ მისი მუშაობის სტაჟი შეადგენდა 19 წელს, 4 თვესა და 28 დღეს.

ქ. თბილისის ...-ის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებით დადგინდა საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან მოსარჩელისთვის შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტი და მოპასუხეს დაევალა კ. ლ-ისთვის 1998 წლის 9 ივლისიდან 2002 წლის 26 მარტამდე პერიოდის, რაც წარმოადგენს 3 წელს, 9 თვესა და 17 დღეს, შრომით (სამსახურის) სტაჟში ჩათვლა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წინა პერიოდში – 2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე, მოსარჩელე კ. ლ-ი მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო ქმე-

დების (სტაჟის არასწორად გამოთვლის) გამო დაბრკოლდა მიეღო კანონით მისთვის განსაზღვრული კომპენსაცია, რითაც მას მართლსაწინააღმდეგოდ მიადგა ზიანი.

რაც შეეხება საქართველოს გენერალური პროკურატურის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ კ. ლ-ს 2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში ასევე მიღებული ჰქონდა პენსია ასაკის გამო (კ. ლ-მა საპენსიო ასაკს მიაღწია 2007 წელს), სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება ამ კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მართალია საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება, **მათ შორის**, იმ პერიოდისათვის, როდესაც ასაკით პენსია მოსარჩელეს უკვე მიღებული ჰქონდა, სააღსრულებო წარმოებისა თუ ნებაყოფლობითი აღსრულების ეტაპზე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არსებობდა უკვე მიღებული თანხის გაქვითვის საფუძველზე, მხოლოდ რეალურად დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა.

ამრიგად, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა მასზე, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე კ. ლ-ისთვის კომპენსაციის დანიშვნა დროულად ვერ განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან მოსარჩელის სტაჟის არასწორად დაანგარიშების გამო, მოპასუხეს უნდა დაჰკისრებოდა მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება კ. ლ-ის სასარგებლოდ 2014 წლის ივნისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე ყოველთვიურად 337,18 ლარის, ხოლო 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე ყოველთვიურად 560 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 06 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გენერალური პროკურატურისა და კ. ლ-ის მიერ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრის მიხედვით, 2014 წლის 13 მაისს კ. ლ-მა საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა განცხადებით საპენსიო დოკუმენტაციის გადაცემით შესახებ. 2014 წლის 22 მაისის № 13/32573 წერილით საქართველოს მთავარი პროკურატურიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გაიგზავნა ...ოს პროკურატურიდან მისი გათავისუფლებისა და დათხოვნის ბრძანებათა ასლები, ცნობა თანამდებობრივი სარგოს შე-

სახე და ნამსახურების ნუსხა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 30 ივნისის №04-01/4036 გადაწყვეტილებით კ. ლ-ს უარი ეთქვა პროკურატურის ხაზით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე, იმ მოტივით, რომ წარდგენილი ნამსახურობის ნუსხის მიხედვით პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას მისი სპეციალობით მუშაობის სტაჟი არ შეადგენდა 20 წელს. ამ პერიოდისთვის ...ის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევა მოსარჩელე კ. ლ-ისთვის 1998 წლის 9 ივლისიდან 2002 წლის 26 მარტამდე პერიოდის (რაც წარმოადგენს 3 წელს, 9 თვესა და 17 დღეს) შრომითი (სამსახურის) სტაჟში ჩათვლა, არა თუ კანონიერ ძალაში, არამედ ჩაბარებულიც არ იყო ადმინისტრაციული ორგანოსთვის. შესაბამისად, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და განმცხადებელს ეცნობათ იმ მომენტი სათვის არსებული მონაცემები. გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ კი პროკურატურამ გამოიყენა კანონით მინიჭებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. სასამართლო დავა დასრულდა 2017 წლის ივნისში, რის შესახებ ეცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს. ამდენად, ...ის 2004 წლის 05 მარტის გადაწყვეტილება კ. ლ-ისათვის შრომით სტაჟში 3 წლის, 09 თვის და 17 დღის ჩათვლის თაობაზე, კანონიერ ძალაში შევიდა 2017 წლის ივნისში, რა დროსაც მას წარმოეშვა სახელმწიფო კომპენსაციის ნამსახურობის საფუძველზე მიღების უფლება, თუმცა იმ დროისათვის მოსარჩელეს უკვე დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო კომპენსაცია იმ საფუძველით, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესში“ 2016 წლის 28 ივლისის განხორციელებული ცვლილებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, ამ კანონით განსაზღვრული მუშაობის 20 წლის სტაჟში, ასევე ჩათვალა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე უკვე იღებდა ასაკით პენსიას, სასამართლომ მოპასუხეს კ. ლ-ის სასარგებლოდ დააკისრა 2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე ყოველთვიური კომპენსაცია 337,18 ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე ყოველთვიურად 560 ლარის ოდენობით თანხის ანაზღაურება, რაც წინააღმდეგობაშია „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესთან, რომლის თანახმად, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება ამ კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალის-

წინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით.

კასატორის განმარტებით, გაუგებარია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიც, რადგან ერთი მხრივ ზიანი გამოხატული უნდა იყოს ერთიან თანხაში, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლომ მსგავსად პირველი ინსტანციისა, არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი, ...ის 14.05.2011 – 13.09.2017 წლების ამონაწერი კ. ლ-ის ანგარიშიდან სახელმწიფო პენსიის დარიცხვის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ იმ პერიოდში, რა პერიოდს სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება სასამართლომ დააკისრა მოპასუხე მხარეს, მოსარჩელე კ. ლ-ი იღებდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პენსიას, რაც იწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და კ. ლ-ის საკასაციო საჩივრები დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მაისის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 20 თებერვლის განჩინებით კ. ლ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 6 ოქტომბრის განჩინება მოპასუხეზე მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს კ. ლ-ისთვის კომპენსაციის სახით მისაღები თანხის საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის დაკისრების საფუძვლიანობა და დაკისრებული თანხის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

2021 წლის 6 ოქტომბრის განჩინება მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 20 თებერვლის განჩინებით დაუშვებლად არის ცნობილი ზემოაღნიშნული საკასაციო საჩივარი, ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, საკასაციო პალატა იმსჯელებს მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრის ფარგლებში გამოთქმულ საკასაციო პრეტენზიაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

მითითებული კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

მნიშვნელოვანია, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხეს დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგი პირობები: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული უნდა იყოს უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630

„საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). აღსანიშნავია, რომ ნორმაში მოცემული პირობები კუმულაციური სახით არის წარმოდგენილი და აღნიშნულ ელემენტთან განთუნიერებულ ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია. რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმარტების ელემენტები პირის ბრალეულობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პასუხისმგებლობა დგება განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას, რა დროსაც სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.

განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ კ. ლ-მა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით კომპენსაციის დანიშვნაზე უფლებამოსილ ორგანოს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა 2014 წლის 13 მაისს. სააგენტოს 2014 წლის 30 ივნისის №04-01/4036 გადაწყვეტილებით, კ. ლ-ს უარი ეთქვა პროკურატურის ხაზით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე, იმ მოტივით, რომ წარდგენილი ნამსახურობის ნუსხის მიხედვით, პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას მისი სპეციალობით მუშაობის სტაჟი არ შეადგენდა 20 წელს.

ქ. თბილისის ...ის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 მარტის №3/466-04 გადაწყვეტილებით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას არ ჰქონდა სწორად გაანგარიშებული (ჩათვლილი) მოსარჩელის სტაჟი, რის გამოც დაევალა მოსარჩელე კ. ლ-ისთვის 1998 წლის 9 ივლისიდან 2002 წლის 26 მარტამდე პერიოდის, რაც წარმოადგენს 3 წელს, 9 თვესა და 17 დღეს, შრომით (სამსახურის) სტაჟში ჩათვლა. ისიც დადგენილია, რომ კ. ლ-ს სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნა 2016 წლის 1 ნოემბრიდან.

ამდენად უდავოა, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ვერ დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია, რადგან მის მიერ არასწორად მოხდა სახელმწიფო კომპენსაციისთვის ნამსახურებულ წელთა დაანგარიშება. შესაბამისად, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული უმოქმედობა, რამაც წარმოშვა მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი, შესაბამისად სახეზეა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ადმინისტრაციული ორგანოს კონკრეტულ ქმედებასა და მოსარჩელის მიმართ დამდგარ შედეგს შორის.

რაც შეეხება მოპასუხეზე დაკისრებული მატერიალური ზიანის ოდენობის საკითხს, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რო-

მელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებების აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში (*restitutio in integrum*). ქონებრივი ზიანის შემთხვევაში მისი დადგენისა და გამოთვლისას გამოიყენება ე.წ. დიფერენციის ჰიპოთეზა, ანუ სხვაობა „უნდა ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის. დიფერენციის ჰიპოთეზის თანახმად, ზიანი არის ნეგატიური სხვაობა არსებულ ქონებრივ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა. ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. ამასთან, ქმედება, რომლის გამოც დადგა ზიანი, უნდა უკავშირდებოდეს შესაბამისი პირის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და მის ფუნქციას, რომლის შეუსრულებლობამაც გამოიწვია ზიანი. ზიანის ოდენობა კი, თავის მხრივ განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა ამ კანონითა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლება, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მიღების უფლება, მისივე არჩევით. ანალოგიურ მოწესრიგებას შეიცავს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება ამ კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ იმ პერიოდში, რა პერიოდის სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურებაც დაეკისრა მოპასუხეს, კ.ლ-ი იღებდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ასაკით პენსიას, რითაც დაირღვა კანონის იმპერატიული დანაწესი ერთდროულად ორი სახის სარგებლის მიღების აკრძალვის შესახებ, რასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საკითხის აღსრულების ეტაპზე გადაწყვეტის (გაქვითვის) თაობაზე მოკლებულია სათანადო საფუძველს, რამეთუ აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირება არ გამოდინარეობს სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მსჯელობიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, იგი უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს პირის უსაფუძვლო გამდიდრება, პირის იმაზე უკეთეს ქონებრივ მდგომარეობაში აღმოჩენა, ვიდრე იგი იქნებოდა ზიანის გამომწვევი ქმედების არ არსებობის შემთხვევაში (სუსგ №ბს- 1031(კ-20), 21.06.2021წ.).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც საკითხი შეეხება კანონით მკაცრად მონესრიგებულ სახელმწიფო გასაცემელს, სააპელაციო პალატამ, როგორც ფაქტის დადგენაზე უფლებამოსილმა სასამართლომ, აღნიშნული საკითხი არ უნდა დატოვოს ღიად და სხვაობათა გაქვითვა არ უნდა დაუკავშიროს გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მატერიალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში სრულყოფილად არ გამოიკვლიეს და დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, არ არის დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით ზიანის სახით ასანაზღაურებელ თანხასა და მოსარჩელის მიერ ასაკით პენსიის სახით მიღებულ თანხას შორის არსებული სხვაობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, §59; Perez v. France, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ, ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland § 21).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სააპელაციო პალატა არა მარტო უფლებამოსილია შეამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქ-

ტების შესახებ მსჯელობა, არამედ თავად გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (სუსგ საქმეზე №ბს-985(კ-20), 24.11.2021 წ.).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში არ არის დასაბუთებული, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადაწყვეტა, სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება. ამდენად, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის აბსოლუტური საფუძველი – გადაწყვეტილება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, თავის მხრივ, სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებისა და მოპასუხეზე მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 6 ოქტომბრის განჩინება მოსარჩელე კ. ლ-ის სასარგებლოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე

ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 6 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამხედრო პირისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნვის საფუძველი

გადანყვანილობა საქართველოს სახელით

№ბს-701(კ-23)

16 აპრილი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ბ. შონია**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ლ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 მარტის №MOD 9 21 00000165 ბრძანება; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის 2020 წლის 25 დეკემბრის №MOD 2 20 01 177244 წერილი ა. ლ-ასთვის სამხედრო სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად წარდგინების გაცემაზე უარის თქმის შესახებ; გ) დაევალოს მოპასუხეს სტრუქტურული ერთეულის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის მეშვეობით, ა. ლ-ას წელთა ნამსახურეობის გადაანგარიშება და სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად წარდგინების გაცემა.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილე. მან საქართველოს სამხედრო და შეიარაღებულ ძალებში 1979 წლიდან 2005 წლამდე იმსახურა. შესაბამისად, მისი სამხედრო სამსახურში ნამსახურობის საერთო სტაჟი შეადგენს 28 წელს. სამხედრო სამსახურიდან ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო დაითხოვეს რეზერვში, თუმცა არ გაუთვალისწინებიათ ნარკოტიკული საშუალების სამედიცინო დანიშნულებით მოხმარების მიზანი. მოსარჩელის მიერ უკანონო ბრძანება არ გასაჩივრდა მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით, 2020 წელს კი, მოითხოვა წელთა ნამსახურობის გაანგარიშება და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა. თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის 25 დეკემბრის წერილით ეცნობა, რომ უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ა. ლ-ა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია სამსახურებრივი შეუთავსებლობით და დისციპლინური სახდელის დადებით. აღნიშნული წერილი, მოსარჩელემ გაასაჩივრა თავდაცვის სამინისტროში, რომლის 2021 წლის 22 მარტის ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საჩივრის დაკმაყოფილების უარის თქმის საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ ა. ლ-ა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახავი საქციელისთვის.

მოსარჩელის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებზე, თუმცა, არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ნორმები ამოქმედდა ა. ლ-ას სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ. შესაბამისად, მათი გამოყენება მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია, ვინაიდან ისინი აუარესებენ მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობას. მოპასუხეს უნდა ეხელმძღვანელა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის დროს მოქმედი „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მოსარჩელის განმარტებით, „სამხედრო ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაცია არ დაენიშნება სასამართლო წესით სამხედრო ან სპეციალურ წოდებაჩამორთმეულ პირებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, კომპენსაცია არა მარტო დისციპლინური წესით დასჯილ პირებს უნდა დაენიშნოთ, არამედ, იმ პირებსაც, რომლებმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ არ აქვთ ჩამორთმეული სამ-

ხედრო წოდება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე 2005 წელს და-
ითხოვეს სამსახურიდან, ხოლო სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის
უფლება მას წარმოეშვა 1999 წელს, სამხედრო სამსახურის 20-წლიანი
ნამსახურების შესრულებისას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიის 2021 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ლ-ას სარჩე-
ლი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარე-
მოებები: ა) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემ-
ბრის №3262 ბრძანებით, სამსახურებრივი შეუსაბამობისთვისა და სამ-
ხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისთვის საქარ-
თველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ..., ... – ა. ლ-ა გათავისუფ-
ლდა დაკავებული თანამდებობიდან, დათხოვნილი იქნა საქართველოს
შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (საქართველოს თავდაც-
ვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და
ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით); ბ) საქართველოს თავდაცვის მი-
ნისტრის აღნიშნული ბრძანება, მოსარჩელე ა. ლ-ას სადავოდ არ გაუხ-
დია და იგი ძალაშია; გ) მოსარჩელე ა. ლ-ამ 2020 წლის 09 ოქტომბერს
განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ით-
ხოვა მისი სისტემაში წელთა ნამსახურობის საერთო პერიოდის გაანგა-
როება და შესაბამისი წარდგინების მომზადება, მისთვის, კანონით
დადგენილი წესით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით; დ)
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერა-
ლური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის 2020 წლის 25
დეკემბრის №MOD 22001177244 წერილობითი მიმართვით ა. ლ-ას მოთ-
ხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ იგი არამართლზომიერი
ქმედების ჩადენისთვის დათხოვნილ იქნა თავდაცვის სისტემიდან. ე)
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021 წლის 22 მარტის №MOD
921 00000165 ბრძანებით ა. ლ-ას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკ-
მაყოფილდა. უარის თქმის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება,
რომ ა. ლ-ა წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც წარ-
კოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო, თავდაცვის მინისტრის 2005
წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანებით დათხოვნილია „სამხედრო მო-
სამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის
მე-2 პუნქტის „დ“ (სამსახურებრივი შეუსაბამობისთვის) და „ე“ (სამ-
ხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისთვის) ქვეპუნ-
ქტის საფუძველზე. აღნიშნულის გათვალისწინებით „სახელმწიფო კომ-
პენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქარ-
თველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ა. ლ-ა არ
წარმოადგენს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და მიღების უფ-

ლების მქონე პირს; ვ) სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის 2005 წლის 8 დეკემბრის № 1792/24 დასკვნით სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... ლაბორატორიაში წარდგენილ ობიექტში კოდითზე მიღებულია დადებითი შედეგი. აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება ...; ზ) ა. ლ-ა არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, უვადოდ, მკვეთრად გამოხატული.

სასამართლომ მიუთითა, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 22-ე მუხლებზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლზე, ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლზე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტის მე-9 მუხლზე, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებები არ წარმოიშობა, თუ პირი თანამდებობიდან დათხოვნილი იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლობიერი ქმედების ჩადენის გამო. ნამსახურების წლების საფუძველზე, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზანს, კეთილსინდისიერად შესრულებული განსაკუთრებული სამსახურის, სახელმწიფოს მხრიდან აღიარება და დაფასება, ასევე, სხვა, ასეთ სამსახურში მყოფი პირის მოტივირება წარმოადგენს. შესაბამისად, კანონმა გამორიცხა არამართლობიერი ქმედების საფუძველზე, სამსახურიდან დათხოვნილი პირის სამსახურის აღიარება და მატერიალურად უზრუნველყოფა.

სასამართლომ განმარტა, რომ პირს, მიუხედავად ნამსახურები პერიოდისა, არ წარმოეშობა სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება, თუ იგი სამსახურიდან დათხოვნილი იქნა არამართლობიერი ქმედების გამო, ხოლო არამართლობიერი ქმედება ნებისმიერი ისეთი ქმედებაა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნებს და მათგან გამომდინარე დადგენილ წესრიგს, მიუხედავად ამ ქმედების ხარისხისა. შესაბამისად, მითითებულმა ნორმამ, გარდა სისხლის სამართლის დანაშაულისა, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების შეზღუდვის პირობად ნებისმიერი ხარისხის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დისციპლინური გადაცდომა) არამართლობიერი ქმედება გაითვალისწინა, რაც პირის სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი გახდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკე-
ტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძა-
ნებით დამტკიცებული წესის (დანართი №2) მე-15 მუხლის პირველი
პუნქტის შესაბამისად, კომპენსაციას შესაბამისი განცხადების საფუძ-
ველზე ნიშნავს სააგენტო. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შესაბამი-
სი უწყების წარდგინება, რომელიც მზადდება კანონით გათვალისწინე-
ბული პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და თან ერთვის ყვე-
ლა საჭირო დოკუმენტი. კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემ-
თხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს, კანონიერი წარმო-
მადგენლობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მოცე-
მულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელე ა. ლ-
ასთვის, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, შესაბამისი
წარდგინების მომზადებაზე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უა-
რი გამომდინარეობდა კანონიდან. შესაბამისად, სადავო ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ადგილი არ ჰქონდა საქარ-
თველოს კონსტიტუციითა და ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სა-
მართლებრივი აქტებით გარანტირებული სოციალური უფლების, „სა-
ხელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის
შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრა-
ციული კოდექსის დარღვევას. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერ-
თობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ სა-
ფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის
მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არ არსებობს,
მოსარჩელე ა. ლ-ას თავდაცვის სისტემაში წელთა ნამსახურობის გაან-
გარიშებასა და შესაბამისი წარდგინების მომზადებაზე უარის თქმის
შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობის საფუძვლები.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 დეკემბრის გა-
დაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. ლ-ას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2022 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ლ-ას სააპე-
ლაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 დეკემ-
ბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ა.
ლ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს
თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 მარტის №MOD 9 21 00000165
ბრძანება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პერ-

სონალის მართვის ცენტრის 2020 წლის 25 დეკემბრის №MOD 2 20 01177244 წერილი. მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა სტრუქტურული ერთეულის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის მეშვეობით ა. ლ-ას წელთა ნამსახურეობის გადაანგარიშება და სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად წარდგინების გაცემა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი, საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხს შეეხება „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი (1996წ.). ამასთან, 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებული „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის (ამოქმედდა 2006 წლის პირველი იანვრიდან) პირველი მუხლის პირველივე პუნქტში გაცხადებულია, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. მითითებული საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, ხოლო მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია პირები, ვისაც ამ კანონის შესაბამისად აქვთ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება ანუ განსაზღვრულია ამ კანონის სუბიექტები, სადაც მიეთითა სამხედრო ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილი პირებიც.

სააპელაციო პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების (2005 წლის 27 დეკემბერი) პარალელურად „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები და გაუქმდა ამ კანონით გათვალისწინებული პენსიის დანიშვნისა და გაცემის, ასევე, პენ-

სიების გადაანგარიშების განსაზღვრული წესები. შესაბამისად, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი მოიცავს იმ სამართალურთიერთობათა ნაწილს, რასაც 2006 წლის პირველ იანვრამდე აწესრიგებდა მხოლოდ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი. მნიშვნელოვანია, რომ „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ 27.12.05წ. კანონის გარდამავალი დებულებები ამ კანონების მიღებამდე წარმოშობილ საპენსიო უფლებებთან დაკავშირებით რაიმე დებულებებს არ შეიცავს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მიხედვით კი, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

სასამართლოს შეფასებით, ა. ლ-ას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში დათხოვნის პერიოდი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნულის თაობაზე ბრძანება გამოცემულია 2005 წლის 19 დეკემბერს (№3262 ბრძანება), მოიცავს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე პერიოდს.

„სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის გამომრიცხველი გარემოებები განსაზღვრულია კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით, რომელიც ადგენს, რომ სახელმწიფო კომპენსაცია არ დაენიშნება სასამართლო წესით სამხედრო ან სპეციალური ნოდებაჩამორთმეულ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი გამართლებული ან რეაბილიტირებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამრიგად, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით კომპენსაციის დანიშვნას გამომრიცხავს მხოლოდ სასამართლოს წესით ნოდების ჩამორთმევა.

2006 წლიდან მოქმედი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწი-

ფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის გამომრიცხველი გარემოებები მითითებულია კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტში, რომლის მიხედვით, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებები არ წარმოიშობა, თუ პირი აღნიშნული თანამდებობიდან დათხოვნილი იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო. მითითებული დებულება უფლების წარმოშობის გამომრიცხველ გარემოებად იმგვარ არამართლზომიერ ქმედებებს მიიჩნევს, რომელიც სასამართლოს მხრიდან ქმედების კვალიფიკაციასა და დადგენას გულისხმობს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული საკანონმდებლო აქტების ერთობლივად მისადაგებისა და 2006 წლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე გავრცელების შემთხვევაშიც, უდავოა, რომ ა. ლ-ას სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშვა 2006 წლის პირველ იანვრამდე (2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანება). ამასთან, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ა. ლ-ას მიმართ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით კომპენსაციის დანიშვნის გამომრიცხველს გარემოებას – სასამართლო წესით წოდების ჩამორთმევას ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას, რომ სახეზეა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის გამომრიცხველი გარემოებების გავრცელების და აღნიშნულის გათვალისწინებით სამხედრო სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად წარდგინების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო ა. ლ-ას მხრიდან სამსახურებრივი შეუსაბამობისთვისა და სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისთვის ჩადენა, კერძოდ, მითითებული ბრძანების გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო მხოლოდ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის 2005 წლის 8 დეკემბრის №1792/24 დასკვნას, რომლის თანახმად, ა. ლ-ა იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება ...).

სადავო პერიოდში მოქმედი (2005 წელი) საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევდა ნარკო-

ტიკულ საშუალებათა ექიმის დანიშნულების გარეშემო მოხმარებას. სა-
ყურადღებოა, რომ ა. ლ-ას მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა ექიმის და-
ნიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტზე ადმინისტრაციული სამარ-
თალდარღვევის ოქმი არ შედგენილა და იგი აღნიშნული ადმინისტრა-
ციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის (ნარკოტიკული საშუალე-
ბათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება) ადმინისტრაციულ სა-
მართალდამრღვევად კანონით დადგენილი წესით არ უცვნიათ. ამდე-
ნად, არამართლზომიერი ქმედების ჩადენის დამადასტურებელი მტკი-
ცებულება წარმოდგენილი არ არის, რაც საფუძვლად დაედო მოსარჩე-
ლის მიერ სადავოდ ქცეული აქტების გამოცემას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგა-
ნოს მითითება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერ-
ტიზის 2005 წლის 8 დეკემბრის № 1792/24 დასკვნაზე და მიიჩნია, რომ
მითითებული დასკვნა მისი შინაარსის გათვალისწინებით, ვერ იქნებო-
და მიჩნეული ა. ლ-ას მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა ექიმის დანიშ-
ნულების გარეშე მოხმარების ფაქტის, შესაბამისად, არამართლზომი-
ერი ქმედების ჩადენის დამადასტურებელ შესაბამის მტკიცებულებად,
ვინაიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური
სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე
პუნქტის მიხედვით, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების წარ-
მოშობის გამომრიცხავი გარემოებები საქართველოს სისხლის სამარ-
თლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამარ-
თლზომიერი ქმედების ჩადენის თაობაზე უნდა დადასტურდეს კანო-
ნით განსაზღვრული, განსახილველ შემთხვევაში – სასამართლოს მიერ
მიღებული გადაწყვეტილებით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა პალატის 2022 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წე-
სით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორის განმარტებით, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემ-
ბრის № 132 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-16 მუხლის მე-4
პუნქტის, „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო პერსონალის მართვის
ცენტრის კომპეტენციას წარმოადგენს სახელმწიფო კომპენსაციის მი-
ღების უფლების მქონე თადარიგში დათხოვნილ ყოფილ სამხედრო მო-
სამსახურეთა ნამსახურების წელთა დაანგარიშება და სათანადო საბუ-
თების მომზადება. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკა-
დემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველო კანონის პირველი მუხ-
ლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კანონი ადგენს საქართველოს ტე-
რიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური

დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებები არ წარმოიშობა, თუ პირი აღნიშნული თანამდებობიდან დათხოვნილი იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლობიერი ქმედების ჩადენის გამო. განსახილველ შემთხვევაში, ა. ლ-ას სადავოდ არ გაუხდია და კანონით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია საქართველო თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანება, რომლითაც იგი დათხოვნილია სამსახურიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის) და „ე“ (სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისათვის) ქვეპუნქტების საფუძველზე.

„სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომპენსაციას განცხადების საფუძველზე ნიშნავს სააგენტო. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების წარდგინება და წელთა ამსახურობის ნუსხა. ამასთან, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის №132 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის კომპეტენციას წარმოადგენს სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე თადარიგში დათხოვნილ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ამსახურებ ნელთა დანგარიშება და სათანადო საბუთების მომზადება.

კასატორის განმარტებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება 2005 წლის პერიოდისთვის მოქმედ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლთან დაკავშირებით, ვინაიდან, სასამართლომ აღნიშნულით პრაქტიკულად მოახდინა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანების კანონიერების დადგენა, რაც მოცემულ საქმეზე და-

ვის საგანს არ წარმოადგენდა. მითითებული ბრძანება ა. ლ-ას სადავოდ არ გაუხდია და შესაბამისად, იგი კანონიერ ძალაშია. ასევე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, იმ გარემოებაზე, რომ ა. ლ-ა სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშვა 2006 წლის პირველი იანვრიდან და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მოქმედი ნორმატიული აქტით. ა. ლ-ამ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა არა 2006 წელს, არამედ 2020 წელს. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ იხელმძღვანელა მითითებული პერიოდისთვის მოქმედი სამართლებრივი ნორმებით.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2025 წლის 28 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) „შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისა და დისციპლინარული სახდელის დადების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანებით, სამსახურებრივი შეუსაბამობისთვისა და სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისთვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ..., ... – ა. ლ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით); ბ) „შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისა და დისციპლინარული სახდელის დადების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანება მოსარჩელე ა. ლ-ას სადავოდ არ გაუხდია და იგი ძალაშია; გ) ა. ლ-ამ 2020 წლის 09 ოქტომბერს, განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ითხოვა მისი სისტემაში წელთა ნამსახურობის საერთო პერიოდის გაანგარიშება და შესაბამისი წარდგინების მომზადება, მისთვის, კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით; დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის 2020 წლის 25 დეკემბრის №MOD 2 20 01 177244 წერილობითი მიმართვით, მოსარჩელე ა. ლ-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ იგი არამართლზომიერი ქმედების ჩადენისთვის დათხოვნილ იქნა თავდაცვის სისტემიდან; ე) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 მარტის №MOD 9 21 00000165 ბრძანებით ა. ლ-ას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უარის თქმის საფუძველად მითითებულია, რომ ა. ლ-ა წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო, თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანებით დათხოვნილია „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (სამსახურებრივი შეუსაბამობისთვის) და „ე“ (სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისთვის) ქვეპუნქტების საფუძველზე. აღნიშნულის გათვალისწინებით „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ა. ლ-ა არ წარმოადგენს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და მიღების უფლების მქონე პირს; ვ) სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის 2005 წლის 8 დეკემბრის № 1792/24 დასკვნით სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... ლაბორატორიაში წარდგენილ ობიექტში კოდითზე მიღებულია დადებითი შედეგი. აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება ...; ზ) ა. ლ-ა არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი; ა. ლ-ა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, უვადოდ, მკვეთრად გამოხატული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქალაქეთა კომპენსაციით უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს პირისათვის ცხოვრების სტანდარტების შენარჩუნებაზე და უზრუნველყოფდეს, შესაბამისი უფლების სათანადოდ რეალიზებით, პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილ მონაწილეობას. საქართველოს კონსტიტუცია ხაზს უსვამს სოციალური უფლებებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას. კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელ-

მნიფო. სახელმნიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმნიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის (იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-1176(2კ-22)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, ხელმომწერი სახელმნიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე. „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-12 მუხლის თანახმად, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე და მიიღონ ზომები სოციალური სისტემის გაუმჯობესების მიზნით (იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ბს-740(კ-24)).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმნიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი, საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების სახელმნიფო კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხს შეეხებოდა 1996 წელს მიღებული „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმნიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მოქმედების ფარგლებიც 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებულმა „სახელმნიფო კომპენსაციისა და სახელმნიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონმა ნაწილობრივ გადაფარა. კერძოდ, „სახელმნიფო კომპენსაციისა და სახელმნიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 1996 წელს მიღებულ კანონში განხორციელდა ცვლილებები და გაუქმდა ის ნორმები რომლებიც პენსიის დანიშვნის, გაცემის, ასევე, პენსიების გადაანგა-

რიშების განსაზღვრულ წესებს შეეხებოდა და ეს უკანასკნელი „ახალ კანონში“ გაიწერა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ეთქვა უარი, რადგან იგი სამხედრო სამსახურიდან დათხოვეს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის) და „ე“ (სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისათვის) ქვეპუნქტების საფუძველზე. მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისთვის არსებითია დადგინდეს, მოსარჩელის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის საფუძველად მითითებული მიზეზი ზღუდავს თუ არა მის უფლებას მიიღოს სახელმწიფო კომპენსაცია და ამ მიზნით, რომელი კანონით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი პირთა განსაკუთრებული წრისათვის ადგენს სოციალური დაცვის გარანტიებს, სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ნამსახურების წლების საფუძველზე სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზანია კეთილსინდისიერად შესრულებული განსაკუთრებული სამსახურის სახელმწიფოს მხრიდან აღიარება და ასეთ სამსახურში მყოფი პირის მოტივირება. ამასთანავე, კანონის 1.2 მუხლი გამორიცხავს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობას, თუ პირი შესაბამისი თანამდებობიდან დათხოვნილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო.

კომპენსაციის დანიშვნის მოთხოვნიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის (2005 წლის 19 დეკემბერს მოქმედი რედაქცია) 1.1. მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრე, კერძოდ, ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით საპენსიო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქა-

ლაქეობის მქონე პირები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ა. ლ-ას მიმართ ვერ გავრცელდება „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის დანიშვნასთან დაკავშირებული პირობები, რამეთუ მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლებას საფუძვლად დაედო არა სამსახურიდან თადარიგში გასვლა ან სამსახურიდან გადადგომა, არამედ მოსარჩელის არამართლზომიერი ქმედების გამო მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-452(კ-23)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლზე, რომლის თანახმად, (1) კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე განცხადებას კომპეტენტური ორგანო განიხილავს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 15 დღისა. (2) კომპეტენტური ორგანოს მიერ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება და საჭირო დოკუმენტები წარდგენილია კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლის წარმოშობის თვეში ან ამ საფუძვლის წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს და ისინი აკმაყოფილებენ ამ კანონით გათვალისწინებულ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების პირობებს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ა. ლ-ამ 2020 წელს მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ითხოვა მისი სისტემაში წელთა ნამსახურობის საერთო პერიოდის გაანგარიშება და შესაბამისი წარდგინების მომზადება, მისთვის, კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით. შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად მოსარჩელის განთავისუფლების საფუძვლისა მის მიმართ მაინც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რადგან ხსენებულმა კანონმა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა იმპერატიულად დაუკავშირა უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის დროს, მიუხედავად იმისა,

თუ როდის არის წარმოშობილი სახელმწიფო კომპენსაციის საფუძველი. კომპენსაციის მიღების უფლების წარმოშობისთანავე, პირმა უნდა მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. მითითებული უფლების რეალიზება – სათანადო ორგანოსათვის მიმართვა, განმცხადებლის სურვილზე არის დამოკიდებული (იხ. სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-452(კ-23); სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-1209(კ-22); სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-800(კ-19)).

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომელმაც მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტის გათვალისწინებით მართებულად ჩათვალა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის გამოყენება. საკასაციო პალატა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2005 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით იქნა დათხოვნილი, მან კი 2020 წელს მიმართა განცხადებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით მისი სისტემაში წელთა ნამსახურობის საერთო პერიოდის გაანგარიშება და შესაბამისი წარდგინების მომზადება მოითხოვა. ზემოხსენებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში გამოყენებულ უნდა იქნეს ა. ლ-ას მიერ 2020 წელს წარდგენილი განცხადების დროს მოქმედი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სპეციალურად არეგულირებს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის წესს და საფუძვლებს. ხსენებული კანონი, სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნის მიზნით გადამწყვეტად მიიჩნევს არა უფლების წარმოშობის მომენტს, არამედ განცხადების წარდგენის დროს. შესაბამისად ადმინისტრაციულმა ორგანომ სწორად იხელმძღვანელა ხსენებული კანონით.

რაც შეეხება კომპენსაციის დანიშვნასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოთხოვნის და თავდაცვის სამინისტროს უარის საფუძვლიანობას, საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებები არ წარმოიშობა, თუ პირი თანამდებობიდან დათხოვნილი იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით

გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო. აღნიშნული ჩანაწერით, კანონმა გამოორიცხა არამართლზომიერი ქმედების საფუძველზე, სამსახურიდან დათხოვნილი პირის სამსახურის აღიარება და მისი მატერიალურად უზრუნველყოფა.

სადავო პერიოდში მოქმედი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურის თანამდებობიდან დათხოვნის შემთხვევები, რომელიც, მათ შორის, შეიძლება იყოს სამსახურებრივი შეუსაბამობა („დ“ ქვეპუნქტი) ან სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელი („ე“ ქვეპუნქტი). მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანებით, სამსახურებრივი შეუსაბამობისთვისა და სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ..., ... – ა. ლ-ა დაკავებული თანამდებობიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით). ამდენად დადგენილია, რომ მოსარჩელე ა. ლ-ას სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი მის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედება იყო, რაც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაში გამოიხატა. ამასთან მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანება, მოსარჩელე ა. ლ-ას კანონით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია და იგი ძალაშია. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზემოდასახელებული კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ ითხოვს, რომ არამართლზომიერი ქმედების არსებობა სასამართლო წესით იყოს დადასტურებული. აღნიშნულს გამოორიცხავს ის გარემოებაც, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით სამხედრო მოსამსახურეს ეკისრებოდა დისციპლინური, ადმინისტრაციული, სამოქალაქო – ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ხოლო, გადაცდომისათვის, რომელიც დაკავშირებული იყო სამხედრო დისციპლინისა და მხედრული ღირსების შელახვასთან, სამხედრო მოსამსახურე პასუხს აგებდა საერთო-საჯარისო წესდების საფუძველზე. შესაბამისად, ის გარემოება, რომ საქმის მასალების თანახმად, ა. ლ-ა არ არის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის (ნარკოტიკული საშუალებათა ექიმის დანიშნულების

გარეშე მოხმარება) გავლენას არ ახდენს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლების წარმოშობის შეზღუდვაზე, ვინაიდან ა. ლ-ას სამსახურიდან დათხოვნა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის საფუძველით დადგენილია 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით შესაბამისი წარდგინების მომზადებაზე უარი გამომდინარეობს კანონმდებლობიდან, რამეთუ მოსარჩელე შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილ იქნა სამსახურებრივი შეუსაბამობის და სამხედრო სამსახურის ღირსების შემლახველი საქციელის ჩადენისთვის, რაც გასაჩივრებულ აქტებს კანონიერს ხდის.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველები. საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და ხსენებული ნორმების გათვალისწინებით, მოცემული დავა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა გადაწყდეს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს. მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის საფუძველით, რაც დადგენილია 2005 წლის 19 დეკემბრის №3262 ბრძანებით, არ იძლევა მოსარჩელისათვის 2020 წლის განცხადების საფუძველზე სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესაძლებლობას, რის გამოც, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, მოსარჩელეს კი უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ა. ლ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მიუღებელი პენსიის ანაზღაურება

პენსიის შეწყვეტის პერიოდში მიუღებელი ზიანის
ანაზღაურების შესახებ სარჩელის ხანდაზმულობა

გადაწყვეტილება
საქართველოს სახალხო

№ბს-1324(კ-24)

10 აპრილი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 9 მარტს მ. ა-იმა, ი. ა-იმა, მა. ა-იმა, რ. ბ-იმა, ნ. ბ-იმა, დ. ბ-
ემ, ე. ბ-ემ, ც. ბ-ემ, კ. ბ-იმა, ე. ბ-იმა, ნ. გ-იმა, ი. გ-ამ, დ. გ-იმა, ს. გ-იმა,
ნა. გ-იმა, უ. გ-ემ, მ. გ-ემ, რო. გ-ემ, კ. გ-იმა, ნ. გ-ემ, ყ. გ-ემ, ნათ. გ-იმა, გ.
გ-იმა, ს. დ-ამ, ნ. ე-ემ, ნ. ვ-ამ, ზ. თ-ემ, ნ. თ-ემ, ვ. თ-ემ, მ. თ-ემ, გ. ი-ემ,
მ. კ-ემ, ტა. კ-ამ, ა. კ-ამ, დ. კ-ემ, ტ. კ-ამ, გ. კ-ემ, ნ. ლ-ემ, ი. ლ-იმა, ჯ. ლ-
ემ, ც. მ-იმა, გ. მ-იმა, ლ. მ-იმა, ტ. მ-იმა, მ. მ-იმა, ი. მ-ემ, ნ. მ-ემ, რ. მ-ემ,
რ. მ-იმა, ლუ. მ-იმა, ი. მ-ამ, ვ. მ-ემ, ე. მ-ემ, ლ. მ-ემ, ლი. მ-ემ, ს. მ-იმა, ვ.
ნ-ემ, ა. ნ-იმა, გ. ნ-ემ, თ. ნ-ემ, ვ. ო-იმა, გ. ო-ემ, ს. ო-ემ, ნ. პ-იმა, ე. ს-ემ,
პ. ს-იმა, თ. ს-ამ, გ. ტ-ემ, ლ. ტ-იმა, გ. ფ-ემ, შ. ქ-იმა, ნ. ქ-ემ, ჯ. ლ-იმა, ო.
ყ-იმა, შ. ყ-იმა, ზ. ყ-იმა, თ. შ-იმა, თ. ჩ-იმა, ვ. ჩ-ემ, გ. ჩ-ემ, ტ. ც-იამ, ც. ნ-
იმა, ო. ნ-ემ, დ. ჭ-ამ, ე. ხ-იმა, ც. ხ-იმა, გ. ხ-ემ, ნ. ხ-იმა, თ. ხ-ემ, ჯი. ხ-იმა,
ს. ხ-ამ, გ. ხ-იმა, თ. ჯ-ემ, თი. ჯ-ემ, ლ. ზ-იმა, ლ. კ-იმა, ნ. კ-ემ, ა. პ-იმა, ა.
ჭ-ემ, თ. ჭ-იმა, ვ. კ-იმა, ა. მ-იმა, ტ. მ-ემ, ნ. ს-იმა, ჯ. ხ-იმა, შ. მ-იმა, ომ. ყ-
იმა, კ. გ-იმა და ვ. გ-იმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპა-
სუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელებმა მოითხოვეს მათ მიმართ გამოცემული სოციალური
პაკეტის/პენსიის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, შეწყვეტილი პენსიის
აღდგენაზე უარის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენ-
ტოს 2021 წლის 6 იანვრის №04/29 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

და სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მოსარჩელების სასარგებლოდ სოციალური პაკეტის/პენსიის შეწყვეტის პერიოდზე კომპეტენტური ორგანოს უკანონო ქმედების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 19 ივნისის განჩინებით მოსარჩელე – შ. ქ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა ი. ქ-ი, ლ. ბ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა ო. ს-ი, დ. ბ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა ე. ბ-ე, თ. ბ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა კ. ბ-ე, მოსარჩელე – ლ. ზ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნეს ი. ზ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 19 დეკემბრის განჩინებით №3/2343-22 ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო თ. ჭ-ის, ა. პ-ისა და ო. წ-ის სარჩელი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სერვისცენტრის მიმართ ო. წ-ის ნაწილში 2013 წლის 28 ნოემბრის №04/105912, ა. პ-ის ნაწილში 2016 წლის 29 მარტის №04/23292, თ. ჭ-ის ნაწილში 2013 წლის 28 ნოემბრის №04/105912, გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის, ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 6 იანვრის მოსარჩელების მიმართ შეწყვეტილი პენსიის აღდგენაზე უარის შესახებ №04/29 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოპასუხისათვის დავალების მოთხოვნით, რომლითაც მოსარჩელებს აუნაზღაურდებათ კომპეტენტური ორგანოს უკანონო ქმედების გამო მიყენებული ზიანი კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით, კერძოდ ჭ-ი თ-ს 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე, პ-ი ა-ს 2016 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 1 მაისამდე, წ-ე ო-ს 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 11 აგვისტომდე პერიოდში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი მ. ა-ის მიმართ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სერვის ცენტრის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება №04/105912. ი. ა-ის მიმართ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის 2010 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება №30578/2010. მა. ა-ის მიმართ სოციალური მომსახურების სააგენტო ისანი-სამგორის სეზ-ცას ცენტრი 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება №04/105912. რ. ბ-ის მიმართ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სერვისცენტრის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება №04/105912. ნ. ბ-ის მიმართ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სერვისცენტრის 2013 წლის

[illegible]

60

[illegible]

62

[illegible]

105912. ე. ს-ეის მიმართ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სერვისცენტრის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება №04/105912. 2. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება №04/29 მოსარჩელების მიმართ შეწყვეტილი პენსიის აღდგენაზე უარის შესახებ. მოპასუხეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელის – კონპენსაციის/პენსიის მოსარჩელებებისთვის და უფლებამონაცვლეებისთვის შემდეგი პერიოდის 1. პ/ნ ... ა-ი მ.-ს 12/1/2013-დან 7/1/2018-მდე; 2. პ/ნ ... ა-ი მა.-ს 12/1/2013-დან 5/1/2019-მდე; 3. პ/ნ ... ბ-ი რ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 4. პ/ნ ... ბ-ი ნ.-ს 12/1/2013-დან 7/1/2018-მდე; 5. პ/მ ... ბ-ე დ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 6. პ/ნ ... ბ-ე ე.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 7. პ/ნ ... ბ-ი კ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 8. პ/ნ ... ბ-ი ე.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 9. პ/ნ ... გ-ი ნ.-ს 10/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 10. პ/ნ ... გ-ი დ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 11. პ/ნ ... გ-ი ს.-ს 12/1/2013 6/1/2018 12. პ/ნ ... გ-ე ნა.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე 13. პ/ნ ... გ-ე უ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 14. პ/ნ ... გ-ე მ.-ს 12/1/2013-დან 10/1/2019-მდე 15. პ/ნ ... გ-ი კ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე 16. პ/ნ ... გ-ე ნ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 17. პ/ნ ... გ-ე უ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 18. პ/ნ ... გ-ე ნათ.-ს 12/1/2013-დან 7/1/2018-მდე; 19. პ/ნ ... გ-ი გ.-ს 8/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 20. პ/ნ ... დ-ა ს.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 21. პ/ნ ... ე-ე ნ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 22. პ/ნ ... ვ-ა ნ.-ს 12/1/2023-დან 8/1/2016-მდე; 23. პ/ნ ... თ-ე ზ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 24. პ/ნ ... თ-ე ნ. 12/1/2013-დან 1/1/2017-მდე; 25. პ/ნ ... თ-ე ვ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 26. პ/ნ ... თ-ე მ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 27. პ/ნ ... ი-ე გ.-ს 10/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 28. პ/ნ ... კ-ე მ.-ს 10/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 29. პ/ნ ... კ-ა ტ.-ს 12/1/2013-დან 11/1/2018-მდე; 30. პ/ნ ... ქ-ა ა.-ს 12/1/2013-დან 5/1/2018-მდე; 31. პ/ნ ... კ-ე დ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 32. პ/ნ ... კ-ე გ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 33. პ/ნ ... ლ-ე ნ.-ს 12/1/2013-დან 7/1/2018-მდე; 34. პ/ნ ... ლ-ი ი.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 35. პ/ნ ... ლ-ე ჯ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 36. პ/ნ ... მ-ი ც.-ს 2/1/2016-დან 12/1/2018-მდე; 37. პ/ნ ... მ-ი გ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 38. პ/ნ ... მ-ი ლ.-ს 10/1/2013-დან 0/07/2018-მდე; 39. პ/ნ ... მ-ი ტ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 40. პ/ნ ... მ-ი მ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 41. პ/ნ ... მ-ე ნ.-ს 12/1/2013-დან 11/1/2018-მდე; 42. პ/ნ ... მ-ე რ.-ს 8/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 43. პ/ნ ... მ-ი რ.-ს 12/1/2013-დან 7/1/2019-მდე; 44. პ/ნ ... მ-ი ლ.-ს 12/1/2013-დან 2/1/2019-მდე; 45. პ/ნ ... მ-ა ი.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 46. პ/ნ ... მ-ე ვ.-ს 1/1/2014-დან 6/1/2018-მდე; 47. პ/ნ ... მ-ე ე. 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 48. პ/ნ ... მ-ე ლ.-ს 12/1/2013-დან 11/1/2018-მდე; 49. პ/ნ ... მ-ე ლი.-ს 12/1/2013-

დან 6/1/2018-მდე; 50. პ/ნ ... მ-ი ს.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 51. პ/ნ ... ნ-ე ვ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 52. პ/ნ ... ნ-ი ა.-ს 12/1/2013-დან 11/1/2019-მდე; 53. პ/ნ ... ნ-ე გ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 54. პ/ნ ... ნ-ე თ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 55. პ/ნ ... ო-ი ვ.-ს 12/1/2013-დან 11/1/2018-მდე; 56. პ/ნ ... ო-ე ს.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 57. პ/ნ ... პ-ი ნ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2018-მდე; 58. პ/ნ ... ს-ე ე.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 59. პ/ნ ... ს-ი პ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 60. პ/ნ ... ტ-ე გ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 61. პ/ნ ... ტ-ი ლ.-ს 12/1/2013-დან 5/1/2018-მდე; 62. პ/ნ ... ქ-ი შ. 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 63. პ/ნ ... ლ-ი ჯ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე 64. პ/ნ ... ყ-ი ო.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 65. პ/ნ ... ყ-ი შ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 66. პ/ნ ... ყ-ი ზ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 67. პ/ნ ... შ-ი თ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2018-მდე; 68. პ/ნ ... ჩ-ე ვ.-ს 11/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 69. პ/ნ ... ჩ-ე გ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 70. პ/ნ ... ც-ი ტ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 71. პ/ნ ... წ-ი ც.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 72. პ/ნ ... ჭ-ა დ.-ს 2016 წლის 18 აპრილიდან 6/1/2018-მდე 73. პ/ნ ... ხ-ი ე.-ს 12/1/2013-დან 8/1/2018-მდე; 74. პ/ნ ... ხ-ე გ. 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 75. პ/ნ ... ხ-ი ნ. 12/1/2013-დან 01/082018-მდე; 76. პ/ნ ... ხ-ე თ.-ს 9/1/2014-დან 10/1/2019-მდე; 77. პ/ნ ... ხ-ა ს.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 78. პ/ნ ... ხ-ი გ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 79. პ/ნ ... ჯ-ე თ.-ს 12/1/2013-დან 9/1/2016-მდე; 80. პ/ნ ... ჯ-ე თი.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 81. პ/ნ ... ზ-ი ლ.-ს უფლებამონაცვლე ო. ს-ი (პ/ნ ...) 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 82. პ/ნ ... გ-ე რ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 83. პ/ნ ... კ-ი ლ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2016-მდე; 84. პ/ნ ... კ-ე ნ.-ს 1/1/2016-დან 3/1/2020-მდე; 85. პ/ნ ... ჭ-ე ა.-ს 12/1/2013-დან 8/1/2018-მდე; 86. პ/ნ ... კ-ი ვ.-ს 12/1/2013-დან 6/1/2018-მდე; 87. პ/ნ ... მ-ი ა.-ს 12/1/2013-დან 2/1/2020-მდე; 88. პ/ნ ... თ. ბ-ეის უფლებამონაცვლე კ. ბ-ე (პ/ნ ... 12/1/2013-დან 7/1/2018-მდე; 89. პ/ნ ... ხ-ი ჯ.-ს 1/1/2014-დან 10/1/2020-მდე; 90. პ/ნ ... მ-ი შ.-ს 12/1/2013-დან 1/1/2017-მდე; 91. პ/ნ ... ყ-ი ო.-ს 12/1/2013-დან 6/1/2019-მდე; 92. პ/ნ ... გ-ი ვ.-ს 12/1/2013-დან 8/1/2020-მდე; 93. პ/ნ ... ა-ი ო.-ს 01.05.2010-დან 01.04.2020-მდე; 94. პ/ნ ... მ-ე ი.-ს 01.12.2013-დან 01.10.2019-მდე; 95. პ/ნ ... ქ-ე ნ.-ს 01.04.2016-დან 01.05.2020-მდე; 96. პ/ნ ... ხ-ი ც.-ს 01.12.2013-დან 01.03.2018-მდე; 97. პ/ნ ... ს-ა თ.-ს 01.12.2008-დან 01.12.2018-მდე; 98. პ/ნ ... ფ-ე გ.-ს 01.01.2014-დან 01.06.2019-მდე; 99. პ/ნ ... ჩ-ი თ.-ს 01.01.2014-დან 01.05.2019-მდე; 100. პ/ნ ... ს-ი ნ.-ს 01.12.2013-დან 01.07.2019-მდე; 101. პ/ნ ... ზ-ი ლ.-ს 01.12.2013-დან 01.01.2019 102. პ/ნ ... კ-ა ტ.-ს 01.08.2013-დან 01.06.2020-მდე; 103. პ/ნ ... გ-ა ი.-ს 01.09.2013-დან 01.11.2019-მდე; 104. პ/ნ ... ო-ე გ.-ს 01.11.2013-დან 01.08.2020-მდე; 105. პ/ნ ... ხ-ი ჯ.-ს 01.12.2013-დან 01.03.2019-მდე; 106. პ/ნ ... მ-ე ტ.-ს 1.12.2015-დან

1.02.2016-მდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ივნისის განჩინებით კ. გ-ის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა ზ. გ-ი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 25 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ან გარდაცვლილი კ. ბ-ის და პ. ს-ის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაზე მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი და ამ ნაწილში საქმეს მიენიჭა შესაბამისი სააღრიცხვო-სტატისტიკური ნომერი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ივლისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკაზე (სუსგ საქმე №ბს-864(კ-23), 25.01.2024წ.). მითითებულ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპენსიო ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით, მოსარჩელეთა მხრიდან პენსიის მიუღებლობა ცალსახად ადასტურებს, რომ მათთვის ცნობილი იყო პენსიის მიუღებლობის დროიდან პენსიის შეწყვეტის ფაქტი, ხოლო აღნიშნული გარემოების ცოდნამ მათ წარმოუშვა გასაჩივრების შესაძლებლობა. მითითებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელები იღებდნენ პენსიას, რომლის მიღებაც შეუწყდათ სადავო გადაწყვეტილებების საფუძველზე 2011-2013-2017 წლებში, ხოლო შემდგომში თავიდან დანიშვნა განხორციელდა 2013-2014-2016-2018-2019 წლებში, თუმცა შეწყვეტის პერიოდში პენსიის გაუცემლობა სადავოდ არ გაუხდიათ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შე-

საბამისად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში. მოსარჩელებს უფლება ჰქონდათ კანონით დადგენილ ვადაში მიემართათ სასამართლოსთვის. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო წესით უფლების დაცვა განუყოფლადაა დაკავშირებული ვადებთან, კერძოდ კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების შესაძლებლობას და ყოველ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით განსაზღვრავს უფლების დაცვის ხანდაზმულობის ვადებს. კასატორის მოსაზრებით, ვინაიდან მოსარჩელებისთვის ცნობილი იყო ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ ისინი ვერ სარგებლობდნენ სახელმწიფო გასაცემლით ნათელს ხდის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა გასულია. კასატორის მითითებით, სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებზე, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, რომლის ათვლა იწყება ამ ვადის დამოუკიდებლად და შეადგენს სამ წელს. სასამართლოს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი ემსჯელა 2013-2016 წლების გასაცემლის გაანგარიშებაზე, ვინაიდან მოთხოვნა ამ ნაწილში ხანდაზმულია.

კასატორი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლზე მითითებით აღნიშნავს, რომ არ არსებობდა სარჩელის აღძვრის წინაპირობები, კერძოდ დარღვეული იყო კანონით დადგენილი ერთვიანი ვადა. ამდენად, კასატორმა იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე სარჩელის დაუშვებლობაზე მითითებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 9 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2025 წლის 6 მარტის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუ-

თებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე, მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით მოსარჩელებს შეუწყდათ სოციალური პაკეტი/პენსიით სარგებლობის უფლება. ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თანახმად, შეწყვეტის საფუძველი გახდა მოსარჩელების მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელებმა 2020 წლის 21 და 22 სექტემბერს განცხადებით მიმართეს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს და სოციალური პაკეტის/პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და პენსიის შეწყვეტიდან აღდგენამდე პერიოდის მიუღებელი გასაცემლის ანაზღაურება მოითხოვეს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 6 იანვრის №04/29 გადაწყვეტილებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. განსახილველ საქმეზე სასამართლომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვა ინფორმაცია თითოეულ მოსარჩელესთან მიმართებით სოციალური პაკეტის – პენსიის შეწყვეტისა და აღდგენის ქრონოლოგიის თაობაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელებს სახელმწიფო გასაცემელი, პენსია აღდგენილი აქვთ.

გასაჩივრებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სადავო გადაწყვეტილებებით, მოსარჩელებს დანიშნული სახელმწიფო გასაცემელი/პენსია შეუწყდათ 2010, 2013, 2014, 2015 და 2016 წლებში. საქმეზე დადგენილია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები მოსარჩელებს კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებიათ.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელეთა მიმართ მიღებული სოციალური პაკეტის/პენსიის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ასევე, მოსარჩელების მიმართ შეწყვეტილი პენსიის აღდგენაზე უარის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 6 იანვრის №04/29 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოსარჩელებისათვის სახელმწიფო გასაცემლის/პენსიის შეწყვეტის დღიდან აღდგენამდე პერიოდში კომპეტენტური ორგანოს უკანონო ქმედების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ პენსიის მიღება საერთა-

შორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის პირველი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებას, ხოლო ამავე ქარტიის მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულ პირთა მიერ სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულიებას იღებს უზრუნველყოს ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება დიდხანს. მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გამოიხატება ადეკვატური სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯაროსამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაოობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია და ა.შ. პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სამართალური თითოეული რეგულირდება, ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესით“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის, ქალებისთვის – 60 წლის, ხოლო მამაკაცებისათვის – 65 წლის ასაკის მიღწევა. ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პენსია

ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“. ზემოაღნიშნულ პირებს სახელმწიფო გასაცემლის, პენსიის მიღება შეუწყდათ იმ საფუძვლით, რომ ისინი ახორციელებდნენ საჯარო საქმიანობას.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში (5.3 მუხ., 17 მუხ.). იმავე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესი“ (4.3 მუხ., 9.1 „ბ“ ქვეპ.). პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ინიშნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (სუსგ 2015 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №ბს-77-75(კ-15)), რომელშიც საკასაციო სასამართლომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ მიიჩნია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად და განმარტა, რომ „სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ საქმიანობის მიმართულებით, მისი მიზნებით, ამოცანებით, ფუნქციებითა და თავად ცენტრის შექმნის საფუძვლებით უდავოდ დგინდება ცენტრის საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი, ხოლო დაწესებულების სახელწოდება – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი საქმიანობის მთავარ მიმართულებას“. ამდენად, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურში საქმიანობად.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული დავების მიმართ უფლება სამართლიან სასამართლოზე, უპირველესად, გულისხმობს პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გასაჩივრებისა და უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდავოდ დიდი მნიშვნელობისა,

ის არ არის აბსოლუტური უფლება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება №3/1/531 საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3). სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლად და დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, კერძოდ, კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ვადებით ზღუდავს და ყოველ კონკრეტულ სამართალურ-თიერთობასთან დაკავშირებით უფლების დაცვის ხანდაზმულობის შესაბამის ვადებს განსაზღვრავს. შესაბამისად, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებაა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. თავის მხრივ, უფლების დაცვის – სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რის შედეგადაც განსახილველი უფლების ქრილში სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ინარჩუნებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე (საქმე №ბს-312-308(კ-14)), სადაც განიმარტა, რომ „საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს – შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონივრულ დროში გადაწყვიტოს დავა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამორიცხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დანყების

მომენტის განსაზღვრა.“

თავისი ბუნებით ვადა იურიდიული ფაქტია, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს უფლებისა და ვალდებულების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. სასამართლოსთვის ხანდაზმულობის ვადის გაცდენით მიმართვა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური თვალსაზრისით და ქმნის სარჩელის უარყოფის საფუძველს (სუსგ 13.09.2021წ., საქმე №ბს-1320(კ-19)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყების მომენტის განსაზღვრისთვის, გასათვალისწინებელია სადავო სამართალურთიერთობის სპეციფიკა. კერძოდ, „ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის დასაწყისს კანონმდებლობა უსაფუძვლოდ არ უკავშირებს დაინტერესებული მხარის მიერ აქტის გაცნობის ფაქტს. ბუნებრივია, შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის გასაჩივრება. აქტის არცოდნა მისი გასაჩივრების შესაძლებლობას გამორიცხავს. თუმცა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაინტერესებული მხარისათვის გაცნობა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ამ აქტით მიღებული გადაწყვეტილების მიღების ფაქტისა და გადაწყვეტილების შინაარსის მხარისათვის გაცნობას და არა მარტო იმას, რომ პირმა მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურად ჩაიბაროს გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ბს-312-308(კ-14)). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისთვის სათანადო წესით ჩაბარების მნიშვნელობა გამოიხატება, ერთი მხრივ, ადრესატის მიერ აქტის შესრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში, მეორე მხრივ, გასაჩივრების უფლების ჯეროვანი რეალიზაციის მიზნის მიღწევაში.

მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ პროცესის მონაწილე მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა სოციალური ხასიათისაა, შესაბამისად, ფიზიკური პირების სოციალური პაკეტი/პენსიით უზრუნველყოფის განმახორციელებელი ორგანოს მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა ვლინდება მეორე მხარის უფლების შეზღუდვაში – მიიღოს სარგებელი სახელმწიფოსგან. დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა განისაზღვროს რა პერიოდიდან იყო მოსარჩელებისთვის ცნობილი სადავო გადაწყვეტილებების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სადავო გახადოს არა

მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება – მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა გასაჩივრდეს იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომელიც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოიშობა სამი წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლი კი ადგენს, რომ ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აქტის ბათილად ცნობაზე უფლებამოსილი სუბიექტებია უშუალოდ აქტის გამომცემი ორგანო, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო გასაცემლის/პენსიის უკანონოდ შეწყვეტის შემთხვევაშიც კი, მხარემ კანონით დადგენილ ვადაში უნდა მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როდესაც დაზარალებულმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო უფლების დარღვევის შესახებ ვერ გაიგო, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იმ მომენტიდან დაიწყება, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პირს უფლების დარღვევის შესახებ უნდა შეეტყო (№ბს-523(კ-24) 20 ნოემბერი, 2024 წელი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეთა ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის მიმართ მოქმედებს სამწლიანი ხანდაზმულობა. საკასაციო სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტები გამოიცა 2010, 2013, 2014 და 2016 წლებში, ხოლო მოსარჩელებმა ადმინისტრაციულ ორგანოში ზემოაღნიშნული აქტების გაუქმება 2020 წლის სექტემბერში მოითხოვეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სადავო ურთიერთობა მიეკუთვნება ფიზიკური პირების სახელმწიფოს მიერ სოციალური გარანტიებით, კერძოდ პენსიით აღჭურვას. სოციალური პაკეტი/პენსიის სარგებლობა დაკავშირებულია ყოველთვიურ სარგებელთან. მოსარჩელებს 2013, 2014 და 2016 წლებში შეუწყდათ რა სახელმწიფო პენსია, აღნიშნული მათთვის იმთავითვე ცხადი იყო, რადგან აღარ ერიცხებოდათ საპენსიო თანხა (აღნიშნულის უარსაყოფად მოსარჩელები არ უთითებენ რაიმე მტკიცებულებაზე ან გარემოებაზე).

საგულისხმოა, რომ პენსიის შეჩერება-შენწყვეტის გადაწყვეტილებების ასახვას სააგენტო ინდივიდუალურად ახორციელებდა თითოეული პენსიონერის მიმართ, ე.წ. „სამმართველო ინფორმაციაში“, რომელიც შიდა გამოყენების დოკუმენტაციას წარმოადგენს, სადაც ხდება თითოეული პირის მიმართ მიღებული წერილობითი ან ზეპირი გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსის ასახვა, ბენეფიციარის დაინტერესების, წერილობითი მომართვის შემთხვევაში სააგენტო უზრუნველყოფდა მისთვის დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას „სამმართველო ინფორმაციის“ შესაბამისად. პენსიის შეწყვეტის მომენტში მოქმედი სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 27.09.07წ. №02/64 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა-ცვლილებების გაფორმებისა და მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლი ითვალისწინებდა ამონაწერის, როგორც დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემას დაინტერესებული მხარისათვის წერილობითი განაცხადის საფუძველზე („სამმართველოს ინფორმაცია“, ასევე, დამტკიცდა სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. №190/6 ბრძანების მე-2 მუხ.) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 29.09.14წ. №04-305/ო ბრძანებით). უდავოა, რომ მოსარჩელებმა იცოდნენ საჯარო სამსახურის გამო მათთვის სოციალური პაკეტის/პენსიის შეწყვეტის შესახებ, მათ შეეძლოთ გადაემოწმებინათ პირადი საპენსიო ანგარიში და შემდგომ მოეთხოვათ ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეწყვეტილი პენსიის აღდგენა, რაც მათ არ განუხორციელებიათ. სახელმწიფო გასაცემლის შეწყვეტის თაობაზე მოსარჩელეთა ინფორმირებულობა, ასევე, დასტურდება ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი მათი ერთობლივი განცხადებით, რომელშიც აღწერილია როგორც პენსიის შეწყვეტის, ასევე, აღნიშნულის მიზეზების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და მიუთითებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის ჩაბარების სავალდებულობაზე, თუმცა იმავდროულად განმარტავს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლისთვის აქტის მხარისთვის ჩაუბარებლობა ავტომატურად არ უნდა გახდეს ხანდაზმულობის ვადების დაცვისგან თავის არიდების საშუალება, ასეთი ვითარება ხელყოფს სამართლიანი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისა და სტაბილური მართლწესრიგის შენარჩუნების მიზნებს. ამდენად, აქტის გასაჩივრების ვადის დენის დაწყება უნდა დაუკავშირდეს არა ადრესატისთვის აქტის მატერიალური სახით გადაცემას, არამედ იმ მომენტს, როდესაც მან შეიტყო საკუთარი უფლების დარღვევისა და იმ კონკრეტული ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების თაობაზე, რაც მისი სოციალური უზრუნველყოფის შეწყვეტის საფუძველი გახდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავოდ გამხდარი პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები აღსრულებულია, რამეთუ წარმოშვა თანმდევი იურიდიული შედეგი (პენსიის მიუღებლობა), რაც მოსარჩელებს არც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართული ადმინისტრაციული საჩივრით და სასამართლოში სარჩელის შეტანით კანონით დადგენილ ვადაში სადავოდ არ გაუხდიათ. განსახილველ შემთხვევაში არსებითია ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომ პენსიის შეწყვეტის დღიდან მოსარჩელებს შეეზღუდათ სახელმწიფოსგან კონკრეტული სარგებლის მიღების უფლება, შესაბამისად, მათ უფლების დაცვა კანონით დადგენილ ვადაში უნდა უზრუნველყოფილიყო. საგულისხმოა, რომ მოსარჩელებს სარჩელში ან საჩივარში ასევე არ მიუთითებიათ საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმების გამოყენების ხელშემშლელი ობიექტური მიზეზები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელების მიმართ ინდივიდუალურად პენსიის შეწყვეტის თარიღიდან პენსიის გაცემის საფუძველს არ ქმნის ქვედა ინსტანციის სასამართლოს მითითება მასზედ, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მოსარჩელებს კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებიათ. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელები საჯარო სამსახურის დაწყების გამო სახელმწიფო გასაცემლის, პენსიის შეწყვეტას მათი უფლების შეზღუდვად მიიჩნევდნენ, მათ უნდა მოეთხოვათ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალურად ჩაბარება და უნდა გაესაჩივრებინათ ისინი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსიის შეწყვეტის საფუძველებს აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძველზე პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგენას. პენსიის განახლება დასაშვებია პენ-

სიის შეჩერების შემთხვევაში („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16-ე მუხ.), შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხოლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსიის აღდგენას და ასევე გასული პერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა, თავისი არსით, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პენსიის შეჩერებად... სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ.: პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ასევეა პენსიის შეწყვეტის შემთხვევაშიც. შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საჭიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები – 02.07.2015წ. №ბს-77-75(კ-15); 10.10.2019წ. №ბს-29(კ-19)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წესს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით განსაზღვრული დებულებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ხოლო ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხე-

ში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზმდეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. ამასთან, ქმედების უკანონოება დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სოციალური პაკეტის/პენსიის შეწყვეტის თაობაზე მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონით დადგენილ ვადაში გაუსაჩივრებლობის გამო, უსაფუძვლოა მოპასუხისთვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამონეწეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკისაგან, სახეზეა დივერგენცია (10.10.2019წ. გადაწყვეტილება საქმე №ბს-29(კ-19); 27.06.2019წ. გადაწყვეტილება საქმე №ბს-613-613(კ-18); 17.04.2019წ. გადაწყვეტილება საქმე №ბს-444-444(კ-18); 27.06.2019წ. გადაწყვეტილება საქმე №ბს-727-727(კ-18); 22.11.2018წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-666-666(კ-18)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორმა ასევე იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს, თუ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა საეჭვოა ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, სასამართლო სარჩელის მიღებიდან 2 კვირის ვადაში ნიშნავს განმწესრიგებელ სხდომას. მხარეთა გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას. სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელების მიერ აღძრულია კომბინირებული სარჩელი (სასკ-ის 22-ე და 24-ე მუხლებით). შეცილებითი სარჩელის დასაშვებობის პროცესუალური წინაპირობებია, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან მისი ნაწილით მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება ასევე, აქტის

გასაჩივრების ვადების დაცვა. ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა კი მხარის კანონიერი ინტერესებისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენებაა. სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრისთვის კონკრეტული ვადა არ არის დაწესებული. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელების მიერ სადავოდ გამხდარი პენსიის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება მჭიდრო კავშირშია პენსიის შეწყვეტის პერიოდში მიუღებელი ზიანის ანაზღაურებასთან. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნების კუმულაციურობის და ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, ისინი არსებითად უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის ნაწილში სასარჩელო წარმოების შეწყვეტის პირობებში, აზრს დაკარგავს მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა შეწყვეტის პერიოდში მიუღებელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ამდენად, კასატორის შუამდგომლობა სარჩელის დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამავე კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკასთან მიმართებით წინააღმდეგობრივია, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს ამ საქმეზე ახალ გადაწყვეტილებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ა-ის, ი. ა-ის, მ. ა-ის, რ. ბ-ის, ნ. ბ-ის, ე. ბ-ის (დ. ბ-ის უფლებამონაცვლე), ე. ბ-ის, ც. ბ-ის, ე. ბ-ის; ნ. გ-ის, ი. გ-ის, დ. გ-ის, ს. გ-ის, ნა. გ-ის, უ. გ-ის, რ. გ-ის, მ. გ-ის, ნ. გ-ის, ჟ. გ-ის, ნათ. გ-ის, გ. გ-ის, ს. დ-ის, ნ. ე-ის, ნ. ვ-ის, ზ. თ-ის, ნ. თ-ის, ვ. თ-ის, მ. თ-ის, გ. ი-ის, მ. კ-ის, ტა. კ-ის, ა. კ-ის, დ. კ-ის, გ. კ-ის, ტ. კ-ის, ნ. ლ-ის, ი. ლ-ის, ჯ. ლ-ის, ც. მ-ის, გ. მ-ის, ლ. მ-ის, ტ. მ-ის, მ. მ-ის, ი. მ-ის, ნ. მ-ის, რ. მ-ის, რ.

მ-ის, ლუ. მ-ის, ი. მ-ას, ვ. მ-ეის, ე. მ-ეის; ლ. მ-ეის, ლი. მ-ეის, ს. მ-ის, ვ. ნ-ეის, ა. ნ-ის, გ. ნ-ეის, თ. ნ-ეის, ვ. ო-ის; გ. ო-ეის, ს. ო-ეის, ნ. პ-იის, მ. და თ. გ-იების (ე. ს-ეის უფლებამონაცვლეები), თ. ს-ას, გ. ტ-ეის, ლ. ტ-ის, გ. ფ-ეის, ი. ქ-ი (შ. ქ-ის უფლებამონაცვლე) ნ. ქ-ეის, ჯ. ლ-ის, ო. ყ-ის, შ. ყ-იის, ომ. ყ-ის, ზ. ყ-ის, თ. შ-ის, თ. ჩ-ის, ვ. ჩ-ეის, გ. ჩ-ეის, ტ. ც-ის, ც. წ-ის, დ. ჭ-ას, ე. ხ-ის, ც. ხ-ის, გ. ხ-ეის; ნ. ხ-ის; თ. ხ-ეის; ს. ხ-ას, ჯი. ხ-ის; გ. ხ-ის; თ. ჯ-ეის, თი. ჯ-ეის; ი. ზ-ის (ლ. ზ-ის უფლებამონაცვლე), ლ. კ-ის, ნ. კ-ეის, ა. ჭ-ეის, ვ. კ-ის, ა. მ-ის, ტ. მ-ეის, ნ. ს-ის, ჯ. ხ-ის, შ. მ-ის, ვ. გ-ის, ი. ქ-ის (შ. ქ-ის უფლებამონაცვლე), ო. ს-ის (ლ. ბ-ის უფლებამონაცვლე), კ. ბ-ეის (თ. ბ-ეის უფლებამონაცვლე), ზ. გ-ის (კ. გ-ის უფლებამონაცვლე) სარჩელი არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. მ. ა-ის, ი. ა-ის, მა. ა-ის, რ. ბ-ის, ნ. ბ-ის, ე. ბ-ეის (დ. ბ-ეის უფლებამონაცვლე), ე. ბ-ეის, ც. ბ-ეის, ე. ბ-ის; ნ. გ-ის, ი. გ-ას, დ. გ-ის, ს. გ-ის, ნა. გ-ის, უ. გ-ეის, რ. გ-ეის, მ. გ-ეის, ნ. გ-ეის, ჟ. გ-ეის, ნათ. გ-ის, გ. გ-ის, ს. დ-ას, ნ. ე-ეის, ნ. ვ-ას, ზ. თ-ეის, ნ. თ-ეის, ვ. თ-ეის, მ. თ-ეის, გ. ი-ეის, მ. კ-ეის, ტა. კ-ას, ა. კ-ას, დ. კ-ეის, გ. კ-ეის, ტ. კ-ას, ნ. ლ-ეის, ი. ლ-ის, ჯ. ლ-ეის, ც. მ-ის, გ. მ-ის, ლ. მ-ის, ტ. მ-ის, მ. მ-ის, ი. მ-ეის, ნ. მ-ეის, რ. მ-ეის, რ. მ-ის, ლუ. მ-ის, ი. მ-ას, ვ. მ-ეის, ე. მ-ეის; ლ. მ-ეის, ლი. მ-ეის, ს. მ-ის, ვ. ნ-ეის, ა. ნ-ის, გ. ნ-ეის, თ. ნ-ეის, ვ. ო-ის; გ. ო-ეის, ს. ო-ეის, ნ. პ-იის, მ. და თ. გ-იების (ე. ს-ეის უფლებამონაცვლეები), თ. ს-ას, გ. ტ-ეის, ლ. ტ-ის, გ. ფ-ეის, ი. ქ-ი (შ. ქ-ის უფლებამონაცვლე) ნ. ქ-ეის, ჯ. ლ-ის, ო. ყ-ის, შ. ყ-იის, ომ. ყ-ის, ზ. ყ-ის, თ. შ-ის, თ. ჩ-ის, ვ. ჩ-ეის, გ. ჩ-ეის, ტ. ც-ის, ც. წ-ის, დ. ჭ-ას, ე. ხ-ის, ც. ხ-ის, გ. ხ-ეის; ნ. ხ-ის; თ. ხ-ეის; ს. ხ-ას, ჯი. ხ-ის; გ. ხ-ის; თ. ჯ-ეის, თი. ჯ-ეის; ი. ზ-ის (ლ. ზ-ის უფლებამონაცვლე), ლ. კ-ის, ნ. კ-ეის, ა. ჭ-ეის, ვ. კ-ის, ა. მ-ის, ტ. მ-ეის, ნ. ს-ის, ჯ. ხ-ის, შ. მ-ის, ვ. გ-ის, ი.

ქ-ის (შ. ქ-ის უფლებამონაცვლე), ო. ს-ის (ლ. ბ-ის უფლებამონაცვლე), კ. ბ-ის (თ. ბ-ის უფლებამონაცვლე), ზ. გ-ის (კ. გ-ის უფლებამონაცვლე) სარჩელი არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნის საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-486(კ-23)

1 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. აბუსერიძე,

ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ჯ-მა 2021 წლის 29 ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. დაზუსტებული სარჩელით (19.11.2021წ.) მოსარჩელემ მოპასუხეებად მიუთითა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრი.

სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შედეგად, მოსარჩელემ „პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 2 ივნისის №04-00-ი/5680 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 4 ოქტომბრის №04/9967 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო-

ტოსათვის ე. ჯ-ის განცხადების საფუძველზე მისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2021 წლის 25 მაისს განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს და სახელმწიფო პენსიის დანიშვნა მოითხოვა. ამავე ცენტრმა განმცხადებელს უარი უთხრა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე იმ საფუძველით, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს უნდა წარმოედგინა ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებდა პენსიას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლებოდა. განცხადებაზე დანართის სახით წარდგენილი, დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო საიტიდან ამობეჭდილი, ნოტარიულად დამოწმებული „პენსიის შესახებ“ კანონი კი ვერ გახდებოდა მისთვის პენსიის დანიშვნის საფუძველი. აღნიშნული უარი მოსარჩელემ ზემდგომ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა, თუმცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის მოსაზრებით, მის მიერ წარდგენილი დოკუმენტი უდავოდ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ განმცხადებელი არათუ არ იღებდა პენსიას იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლებოდა, არამედ საერთოდ არ გააჩნდა პენსიის მიღების უფლება 65 წლის ასაკის მიღწევამდე. შესაბამისად, წარდგენილი დოკუმენტი – დიდი ბრიტანეთის „პენსიის შესახებ“ კანონი, სრულიად შეესაბამებოდა „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ „ცნობას“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სადავო აქტების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის განცხადების წარდგენის მომენტიდან პენსიის დანიშვნა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ჯ-ი დაიბადა ... წლის, ქალაქ თბილისში. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს №... პასპორტის მიხედვით კი, დასტურდება, რომ ე. ჯ-ის, როგორც დიდი ბრიტანეთის მოქალაქის მიმართ, 2014 წლის 11 ნოემბერს გაიცა დიდი ბრიტანეთის მოქალაქის პასპორტი.

ასევე დადგენილია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 2 ივნისის №04-00-ი/5680 წერილით ე. ჯ-ს, მისი 2021 წლის 25 მა-

ისის განცხადების პასუხად ეცნობა, რომ „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს უნდა წარედგინა ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეადაც იგი ითვლება. ამასთან, ცენტრმა მიუთითა, რომ განცხადებაზე დანართის სახით წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო საიტიდან ამობეჭდილი, ნოტარიულად დამოწმებული „პენსიის შესახებ“ კანონი ვერ გახდებოდა განმცხადებლისთვის პენსიის დანიშვნის სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, ე. წ-ის მოთხოვნა პენსიის დანიშვნაზე არ დაკმაყოფილდა.

2021 წლის 22 ივნისს ე. წ-მა ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 2 ივნისის №04-00-ი/5680 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება და განმცხადებლისთვის პენსიის დანიშვნის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოითხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 4 ოქტომბრის №04/9967 გადაწყვეტილებით ე. წ-ს უარი ეთქვა 2021 წლის 22 ივნისის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოების გამო.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას საქალაქო სამართლომ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები, ასევე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეს კანონი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე.

სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ახდენს პენსიის დანიშვნას, მისი გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შენ-

ყვეტას და გადაანგარიშებას, აგრეთვე პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას და კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად. დასახელებული წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება. სწორედ აღნიშნულ დანაწესს დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებლისათვის პენსიის დანიშვნაზე უარის თქმისას და განმარტა, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მოთხოვნებს.

საბოლოოდ, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე ე. ჯ-ს არც ადმინისტრაციულ ორგანოში საკითხის განხილვისას და არც სასამართლოში არ წარუდგენია ცნობა, რომლითაც დადასტურდებოდა ის ფაქტი, რომ იგი არ იღებს პენსიას მეორე ქვეყანაში – დიდ ბრიტანეთში, რომლის მოქალაქედაც ითვლება. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთის პენსიის შესახებ კანონის თარგმანი ვერ იქნებოდა მიღებული მხედველობაში, ვინაიდან სახელმწიფო პენსიის მოთხოვნისას პირი ვალდებულია ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს ის დოკუმენტაცია, რაც განსაზღვრულია სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონითა და მის შესასრულებლად გამოცემული სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების შესაბამისი ნორმებით. ამრიგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. დაუსაბუთებელი იყო ასევე მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილშიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ჯ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ე. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები, როგორც საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, ისე მათ მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო დანაწესი, ერთი შეხედვით, მარტივად გადამოწმებად კრიტერიუმს ადგენს და ამ თვალსაზრისით ივარაუდება, რომ შესაბამისი ასაკის მიღწევამდე იგი ვერ იქნება პენსიის მიმღები ბრიტანეთში, თუმცა არსებობს პრინციპული განსხვავება მითითებულ საკანონმდებლო ნორმასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს – ცნობას შორის. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, „ცნობის“ დეფინიციაში უცხო ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციის თარგმანის მოაზრება გაუმართლებელია, ვინაიდან, საკანონმდებლო ნორმის ცვლილებაუნარიანობის გათვალისწინებით, ასეთი მიდგომის გამოყენება, ერთი მხრივ, ავტომატურად ნიშნავს სააგენტოს დავალდებულებას, მუდმივად ახორციელებდეს უცხო ქვეყნის სახელმწიფოთა საკანონმდებლო ნორმების შესწავლასა და შესაძლო ცვლილებების მონიტორინგს, მეორე მხრივ კი, აპელანტის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო აქტში ზოგადი კრიტერიუმის შემცველი ნორმის არსებობა, ვერ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ იმავე ან/და სხვა საკანონმდებლო აქტებში არ არსებობს დათქმები, რომლითაც სხვადასხვა ფაქტორის მხედველობაში მიღებით, ზოგადი წესისაგან განსხვავებული მოწესრიგება იყოს დადგენილი. ამგვარი მიდგომით, სააგენტო იძულებული გახდებოდა, შეესწავლა ნებისმიერი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, მისი ზოგადი და საგამონაკლისო შემთხვევებით, თვალი ედევნებინა შესაძლო ცვლილებებისათვის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ დაედგინა, კონკრეტულ დროს, კონკრეტული პირი ექცეოდა თუ არა პენსიის მიღების უფლების მქონეთა შორის. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასეთი მიდგომა დაკავშირებული იქნებოდა განუსაზღვრელი და არაგონივრული დამატებითი რესურსის საჭიროებასთან.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და შემდგომში სასამართლოში წარმოდგენილი საკანონმდებლო აქტის დებულებების თარგმანი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი არ ასახავდა ოფიციალურად დადასტურებულ ინფორმა-

ციას ფაქტის კონსტატაციის შესახებ, რომელიც ინდივიდუალურად უკავშირდებოდა აპელანტს. ამდენად, იგი მიჩნეული ვერ იქნებოდა ზემოთ მითითებული წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის ეკვივალენტურ დოკუმენტად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ჯ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია ქალებისათვის 60 წლის ასაკის მიღწევა და გარდაცვალებამდე კანონით მინიჭებული ამ უფლების წართმევა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს. ე. ჯ-ი დაბადებულია 1961 წლის 3 თებერვალს, შესაბამისად, იგი, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საპენსიო ასაკს მიღწეული პირია, რაც იმას გულისხმობს, რომ განმცხადებელს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პენსიის მიღების უფლება აქვს. ამასთანავე, განმცხადებელი ორმაგი მოქალაქეობის მქონეა, ასევე არის დიდი ბრიტანეთის მოქალაქე. დიდი ბრიტანეთის 1995 წლის „პენსიების შესახებ“ კანონის თანახმად კი, 1955 წლის 5 აპრილის შემდეგ დაბადებული ქალი საპენსიო ასაკს აღწევს, როდესაც მას შეუსრულებდა 65 წელი. შესაბამისად, განმცხადებელს მითითებული კანონის თანახმად, 65 წლის ასაკის მიღწევამდე არ გააჩნია დიდ ბრიტანეთში პენსიის მიღების უფლება.

კასატორი აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გამოიწვია „ცნობის“ ფორმად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს საკანონმდებლო აქტებში კონკრეტულად არაა განმარტებული და მითითებული, რა ტიპის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს „ცნობა“, ან რა ფორმის უნდა იყოს იგი. აქედან გამომდინარე, იმ საკითხის დასადგენად, აკმაყოფილებდა თუ არა საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილი დოკუმენტი მოთხოვნილი „ცნობის“ სტანდარტებს, სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა ზოგადად კანონმდებლის მიზანზე, თუ რამ გამოიწვია პენსიის მაძიებლისათვის „ცნობის“ წარმოდგენის დავალდებულება და რა ფორმით იქნა იგი ასახული სადავო პერიოდში მოქმედ კანონმდებლობაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული არგუმენტები კი არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კონკრეტული „ცნობის“ წარდგენის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზანი უფრო მეტად იქნებოდა მიღწეული/დაცული, ვიდრე განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტი.

რაც შეეხება სააპელაციო პალატის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო აქტში ზოგადი ნორმის არსებობა, ვერ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ იმავე ან/და სხვა საკანონმდებლო აქტებში არ არსებობდა დათქმები, რომლითაც, შესაძლოა, ზოგადი წესისაგან განსხვავებული მოწესრიგება ყოფილიყო დადგენილი, კასატორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული მსჯელობა არასწორია, ვინაიდან კანონის დანაწესი ეხება/მოიცავს/გულისხმობს განმცხადებლის მხრიდან პენსიის მიღების საკითხს და არა სხვადასხვა ტიპის შემწეობებსა თუ სოციალურ დახმარებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ მან სოციალური მომსახურების სააგენტოს მიაწოდა საჭირო ინფორმაცია, კერძოდ, წარადგინა იმ ქვეყნის კანონი „პენსიის შესახებ“, რომლის მოქალაქედაც ითვლება იგი. აღნიშნული დოკუმენტი თარგმნილი და დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ. ასევე, ნოტარიუსის მიერ დამოწმებულია ფაქტი, რომლის მიხედვითაც განმცხადებლის მიერ წარდგენილი კანონი შეესაბამება დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო ვებგვერდზე განთავსებულ ვერსიას. აღნიშნული კანონის ნამდვილობის საკითხი ან/და მისი შინაარსი კი სადავოდ არ გაუხდია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. დასახელებული კანონის მიხედვით, განმცხადებელი არათუ პენსიას არ იღებს იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქედაც ითვლება იგი, არამედ მას საერთოდ არ გააჩნია პენსიის მიღების უფლება 65 წლის ასაკის მიღწევამდე. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, კასატორი მიიჩნევს, რომ სარჩელი საფუძვლიანია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 11 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ე. წ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 ივლისის განჩინებით ე. წ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ე. წ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გან-

ჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, დადგენილია, რომ ე. ჯ-ი დაიბადა ... წლისს, ქალაქ თბილისში. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს №... პასპორტის მიხედვით კი, დასტურდება, რომ ე. ჯ-ის, როგორც დიდი ბრიტანეთის მოქალაქის მიმართ, 2014 წლის 11 ნოემბერს გაიცა დიდი ბრიტანეთის მოქალაქის პასპორტი. ამრიგად, მოსარჩელე არის ორმაგი მოქალაქეობის მქონე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საპენსიო ასაკს მიღწეული პირი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ე. ჯ-მა, სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით, განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, თუმცა ამავე სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 2 ივნისის №04-00-ი/5680 წერილობითი პასუხით უარი ეთქვა პენსიის დანიშვნაზე, ვინაიდან „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს უნდა წარედგინა ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება. აღნიშნული ცნობა კი მას არ წარუდგენია. ამასთან, ცენტრმა მიუთითა, რომ განცხადებაზე დანართის სახით წარდგენილი, დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო საიტიდან ამობეჭდილი, ნოტარიულად დამოწმებული „პენსიის შესახებ“ კანონი ვერ გახდებოდა განმცხადებლისთვის პენსიის დანიშვნის სამართლებრივი საფუძველი. ე. ჯ-მა 2021 წლის 22 ივნისს ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და ამავე სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 2 ივნისის №04-00-ი/5680 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება და განმცხადებლისთვის პენსიის დანიშვნის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოითხოვა. თავის მხრივ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 4 ოქტომბრის №04/9967 გადაწყვეტილებით ე. ჯ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 2 ივნისის №04-00-ი/5680 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და მასზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 4 ოქტომბრის №04/9967 გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება,

რომლებითაც ე. წ. უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობის წარუდგენლობის საფუძველით. სწორედ ამიტომ, პირველ ყოვლისა, შესაფასებელია, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტი რამდენად ქმნიდა პენსიის დანიშვნის საფუძველს და ამ დოკუმენტის სააგენტოში წარდგენა გამორიცხავდა თუ არა კანონით მოთხოვნილი ცნობის წარდგენის აუცილებლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის 1-ლი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებას, ხოლო ამავე ქარტიის მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულ პირთა მიერ სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულია იღებს, უზრუნველყოს ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად რაც შეიძლება დიდხანს. მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გამოიხატება ადეკვატური სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ, იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სოციალური სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ხანდაზმულ მოქალაქეთა პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიონერს უფლება აქვს მიიღოს პენსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიაზე უფლების წარმო-

შობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. დასახელებული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს. ამავე კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებას კომპეტენტური ორგანო განიხილავს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღისა, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, კომპეტენტური ორგანოს მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს და იგი აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ პენსიის მიღების პირობებს.

პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები რეგულირდება ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესით“, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ახდენს პენსიის დანიშვნას, მისი გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შეწყვეტას და გადაანგარიშებას, აგრეთვე პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას და კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.

ამავე წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად მაძიებლის რეგისტრაციის ადგილისა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განცხადებას თან უნდა დაერთოს მაძიებლის მომართვის შემთხვევაში – მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დო-

კუმენტის წარმოდგენა სავალდებულო არ არის, თუ წარმომადგენლობის დოკუმენტში მოცემულია მაძიებლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები). ამავე მუხლის სადავო პერიოდში მოქმედი მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით სახელმწიფო შექმნა საპენსიო ასაკს მიღწეული პირისათვის მატერიალური სარგებლის მიღების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პენსიის წარმოშობის ნორმატიულად დადგენილი პირობების დადგომისას (განსაზღვრული ასაკის მიღწევა), კანონით გათვალისწინებულ პირებს ექმნებათ მისი მიღების ლეგიტიმური მოლოდინი. ამასთან, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების წარდგენისას სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა დამატებითი დოკუმენტის – ცნობის წარდგენას იმის შესახებ, რომ პირი არ იღებს პენსიას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში პენსია არ დაინიშნებოდა.

განსახილველ შემთხვევაში, პენსიის დანიშვნის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში განმცხადებლის მიერ დანართის სახით წარდგენილი, დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო საიტიდან ამობეჭდილი, ნოტარიულად დამოწმებული „პენსიის შესახებ“ კანონის არსებობის პირობებში, რამდენად არსებობდა მოთხოვნილი ცნობის დამატებით წარდგენის აუცილებლობა, რამეთუ დასახელებული კანონი უდავოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 1955 წლის 5 აპრილის შემდეგ დაბადებული ქალი საპენსიო ასაკს აღწევს მხოლოდ 65 წლის შესრულების შემდეგ. საქმეში წარმოდგენილი პირადობის მოწმობის ასლის მიხედვით კი დადასტურებულია, რომ ე. ჯ-ი დაბადებულია 1961 წლის 3 თებერვალს და დღეის მდგომარეობით ის არ წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის „პენსიის შესახებ“ კანონის სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის „პენსიის შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული დანაწესის არსებობის მიუხედავად, მოპასუხემ არც სადავო გადაწყვეტილების მიღებისას და არც ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროს არ გამოიკვლია და არ შეაფასა უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, განსაკუთრებით ის, რომ ბრიტანეთის კანონმდებლობის თანახმად, ე. ჯ-ი საერთოდ არ წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებულ სუბიექტს. შესაბამისად, დაუსაბუთებელია, რა სახის ცნობის წარდგენა შეეძლო მას. საკასაციო

პალატის შეფასებით, ადმინისტრაციული ორგანოები ფორმალურად მიუდგნენ მოცემულ საკითხს და განმცხადებლისგან მოითხოვეს ისეთი ცნობის წარდგენა, რომელიც დაადასტურებდა განმცხადებლის მიერ უცხო ქვეყანაში პენსიის მიუღებლობის ფაქტს, მაშინ, როდესაც აღნიშნულ გარემოებას წარდგენილი კანონი უდავოდ ადასტურებდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარეს წარდგენილი დოკუმენტის ავთენტურობა და მოქმედება სადავოდ არ გაუხდია არც ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას და არც საქმის სასამართლოში განხილვისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებული გარემოებები ადმინისტრაციული წარმოების დროს სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული არ ყოფილა. სწორედ ამიტომ, მოპასუხემ, როგორც შესაბამისი უფლება-მოვალეობების მქონე სუბიექტმა, უნდა უზრუნველყოს საკითხის შემდგომი შესწავლა, სრულყოფილად გამოკვლევა და სათანადოდ შეფასება, რათა ზუსტად განსაზღვროს მხარისათვის კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და მიღების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს ისეთ გარემოებაზე, რაზეც სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას ყურადღება არ იქნა გამახვილებული. კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც საფუძვლად დაედო ე. წ. ისთვის პენსიის დანიშვნაზე უარის თქმას, დღეის მდგომარეობით გაუქმებულია და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის ამგვარი ცნობის წარდგენა საერთოდ არ წარმოადგენს მხარის ვალდებულებას (ამოღებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-40/ნ ბრძანებით, 2022 წლის 13 მაისს). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, განცხადების წარდგენისას მოქმედებდა კანონი, რომელიც განმცხადებელს კონკრეტული ცნობის წარდგენას ავალდებულებდა, თუმცა დღეის მდგომარეობით ვითარება შეცვლილია და საკითხის ხელახლა განხილვისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონის ცვლილება მხედველობაში უნდა მიიღოს. საკასაციო პალატა აგრეთვე აღნიშნავს, რომ აქტის კანონიერების შემოწმება მისი მხოლოდ ფორმალური კანონიერების კუთხით შეფასებას არ გულისხმობს. აქტი აგრეთვე მატერიალურად კანონიერი უნდა იყოს, ანუ აქტი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ გამოცემის საფუძვლებზე მითითებას, არამედ სარწმუნოდ უნდა ასაბუთებდეს აქტის გამოცემის ფაქტობრივ და სამართლებრივ წინამძღვრებს. დასაბუთებიდან უნდა იკვეთებოდეს, თუ რა გარემოებებმა მოახდინა გავლენა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების მოთხოვნა არა მარტო ადმინისტრაციული ორგანოს თვითკონტროლის განხორციელებას ემსახურება, არამედ აქტის კანონიერების შემოწმებასაც უწყობს ხელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 411-ე მუხლის თანახმად, არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 4 ოქტომბრის №04/9967 გადაწყვეტილება, ასევე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 2 ივნისის №04-00-ი/5680 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის დაევალოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ე. წ. -ის განცხადებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისგან. დადგენილია, რომ ე. ჯ-ი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 9.1 მუხლის საფუძველზე, შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მოსარჩელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების დაკისრების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 257-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. ე. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 4 ოქტომბრის №04/9967 გადაწყვეტილება ე. ჯ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
5. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 2 ივნისის №04-00-ი/5680 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ამავდროულად ცენტრს დაევალოს საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, პენსიის დანიშვნის შესახებ ე. ჯ-ის განცხადებასთან დაკავშირებით;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის სახელმწიფო
პენსიის დანიშვნის საფუძველი**

**განჩინება
საპარტვილოს სახელით**

№ბს-447(კ-24)

24 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2022 წლის 31 მაისს ზ. დ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას,
მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2021 წლის 2 ივლისს და ამავე წლის 4
აგვისტოს მან სახელმწიფო პენსიის დანიშვნა? შესახებ განცხადებით
მიმართა ქალაქ თბილისის ...ის სოციალური მომსახურების სააგენტოს.
განცხადების წარდგენიდან დაახლოებით 1 თვეში სააგენტოს თანამ-
შრომელმა მოსარჩელეს გადასცა წერილობითი ინფორმაცია, რომლი-
თაც მას განემარტა, რომ პენსიის მისაღებად მას უნდა მიემართა 2021
წლის 15 სექტემბრის შემდეგ ...ის ნებისმიერ ფილიალში (პირადობით),
ხოლო 10 ოქტომბრის შემდეგ სამგზავროზე – ქალაქ თბილისში, ...ის ქ.
№29-ში.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან რამ-
დენიმე დღეში სააგენტოს თანამშრომელი მას ტელეფონით დაუკავ-
შირდა და აცნობა, რომ ვინაიდან მოსარჩელე, ასევე, გერმანიის მოქა-
ლაქეც იყო, მას უნდა წარედგინა გერმანიიდან ცნობა, რომელშიც მი-
თითებული იქნებოდა, იღებდა თუ არა იგი გერმანიაში პენსიას. ამ ინ-
ფორმაციის მიღებისთანავე, მოსარჩელემ მიმართა გერმანიის საელ-
ჩოს საქართველოში, ასევე, წერილი გაუგზავნა გერმანიის სახელმწი-
ფოს სათანადო ორგანოს, თუმცა მათგან პასუხის მიღება, მსოფლიოში
განვითარებული კოვიდ პანდემიის გამო, დაგვიანდა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამისა, მან 2021 წლის 4
ნოემბერს გერმანიიდან ფოსტის მეშვეობით მიიღო 2021 წლის 13 ოქ-

ტომბრით დათარიღებული წერილი. აღნიშნული წერილით, რომლის კონვერტზეც მითითებული იყო გერმანიის საპენსიო დაზღვევის ტიტრები და სიმბოლიკა, დასტურდებოდა, რომ გერმანიის საპენსიო დაზღვევიდან მოსარჩელე არ იღებდა პენსიას. აღნიშნული დოკუმენტი მან სათანადო თარგმანით დაუყოვნებლივ წარუდგინა ქალაქ თბილისის ...ის სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელს. სააგენტოს თანამშრომელმა წარდგენილი ცნობა არ დაიტოვა და მოსარჩელეს განუცხადა, რომ ეს ცნობა დამოწმებული უნდა ყოფილიყო აპოსტილით, რაც მოსარჩელისათვის ახალ ინფორმაციას წარმოადგენდა. მოსარჩელემ ამის თაობაზე გამოთქვა პრეტენზია, რამდენადაც, მისი მოსაზრებით, სააგენტოს თანამშრომლები ვალდებულნი იყვნენ ამის შესახებ, როგორც ზეპირად, ასევე, წერილობით, თავიდანვე ეცნობებინათ მისთვის.

მოსარჩელის განმარტებით, იგი იძულებული გახდა აპოსტილით დამოწმებული ცნობის მისაღებად განმეორებით მიემართა გერმანიის სახელმწიფო სათანადო ორგანოებისათვის. ასეთი ცნობა მოსარჩელემ 2022 წლის თებერვალში მიიღო, თუმცა მის მიღებამდე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 14.02.2022წ. №2022/1 გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომლის 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ნაწილობრივ უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

ამდენად, მოსარჩელემ (1) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილებისა და (2) ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე ზ. დ-ისათვის უარის თქმის ნაწილში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, (3) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 2021 წლის 1 სექტემბრიდან ზ. დ-ის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2022 წლის 14 მარტს წარდგენილი №29164 ადმინისტრაციული საჩივრის მომდევნო თვემდე მოსარჩელეზე საპენსიო დავალიანების კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თე-

ბერგლის №2022/1 გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ზ. დ-ეს უარი ეთქვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელეზე საპენსიო დავალიანების ანაზღაურება 2021 წლის 1 სექტემბრიდან ზ. დ-ის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2022 წლის 14 მარტს წარდგენილი №29164 ადმინისტრაციული საჩივრის მომდევნო თვემდე კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ზ. დ-ე დაიბადა ... წლისს. 2021 წლის 4 აგვისტოს მან განცხადებით (განცხადების რეგ. №...) მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქალაქ თბილისის ...ის მომსახურების ცენტრს ასაკის გამო სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით.

2021 წლის 5 აგვისტოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის №04-00/8553 წერილით ზ. დ-ეს ეცნობა, რომ როგორც საქართველო-გერმანიის ორმაგ მოქალაქეს, მას ცენტრისთვის დამატებით უნდა წარედგინა ცნობა იმის შესახებ, რომ იგი არ იღებდა პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლებოდა. შესაბამისად, განმცხადებელს 2022 წლის 4 თებერვლამდე განესაზღვრა ვადა აღნიშნული ცნობის წარსადგენად. განმცხადებელს ამავე წერილით განემარტა, რომ ცნობა უნდა ყოფილიყო აპოსტილით დამოწმებული, ნათარგმნი ქართულად და ნოტარიულად დამოწმებული.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ აღნიშნული წერილი ორჯერ გაეგზავნა ზ. დ-ეს მის მიერ განცხადებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა.

2021 წლის 5 აგვისტოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის №04-00/8553 წერილი 2021 წლის 18 ნოემბერს ზ. დ-ეს ჩაბარდა პირადად სააგენტოს შენობაში.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილებით ზ. დ-ეს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე იმ მოტივით, რომ მის მიერ გონივრულ ვადაში არ იქნა წარდგენილი მოთხოვნილი ცნობა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილება ზ. დ-ის მიერ 2022 წლის 14 მარტს №29164 ადმინისტრაციული საჩივრით გასა-

ჩივრებულ იქნა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – სსიპ სოციალური დაცვის სააგენტოში. ადმინისტრაციულ საჩივართან ერთად წარდგენილ იქნა აპოსტილით დამოწმებული გერმანიის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ ზ. დ-ე გერმანიის კანონიერი საპენსიო დაზღვევიდან არ ღებულობს პენსიას.

ადმინისტრაციული საჩივრით ზ. დ-ემ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი არ იყო, რომ სააგენტოსათვის აღნიშნული ცნობა მას აპოსტილით დამოწმებული სახით უნდა წარედგინა. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააგენტოს თანამშრომელთან ზეპირი კომუნიკაციის დროს, მას აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მიენოდა. შესაბამისად, მისთვის აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტის წარდგენის საჭიროების შესახებ ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მან 2021 წლის 5 აგვისტოს მატერიალურად ჩაიბარა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის №04-00/8553 წერილი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხრიდან სადავო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 გადაწყვეტილებით ზ. დ-ის 2022 წლის 14 მარტის №29164 ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ზ. დ-ეს უარი ეთქვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე; სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს დაევალა, უზრუნველყო ზ. დ-ისათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2022 წლის 14 მარტს წარდგენილი (№29164) ადმინისტრაციული საჩივრის მომდევნო თვიდან.

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს. ამავე კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებას კომპეტენტური ორგანო განიხილავს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღისა. კომპეტენტური ორგანოს მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი სა-

ფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს და იგი აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ პენსიის მიღების პირობებს. პენსიის ჯანმრთელობის დაზღვევის სარგებლის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ცალკე კანონმდებლობით.

სასამართლომ, ასევე, მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვალის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად მაძიებლის რეგისტრაციის ადგილისა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განცხადებას თან უნდა დაერთოს მაძიებლის მომართვის შემთხვევაში – მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეადაც იგი ითვლება.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ზ. დ-ის მიერ გონივრულ ვადაში ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი ცნობის წარდგენა სააგენტოში, რომელიც დაადასტურებდა, რომ მისი ორმაგი მოქალაქეობიდან გამომდინარე, არ იღებდა პენსიას მეორე ქვეყნიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის არგუმენტზე, რომ იგი არ იყო ინფორმირებული შესაბამისი ცნობის აპოსტილით დამოწმებული სახით წარდგენასთან დაკავშირებით, მან აღნიშნულის შესახებ შეიტყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადების შემდგომ, 2021 წლის 5 აგვისტოს, პირადად ხელზე ჩაიბარა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის №04-00/8553 წერილი, რომლითაც ზ. დ-ეს ეცნობა, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა ყოფილიყო აპოსტილით დამოწმებული, ნათარგმნი ქართულად და ნოტარიულად დამოწმებული, რისთვისაც განსაზღვრული ჰქონდა ვადა 2022 წლის 4 თებერვლამდე. საქალაქო სასამართლოს აღნიშვნით, მოსარჩელე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან მისი ინფორმირება არ მომხდარა დროულად, მის მიერ შესაბამისი წე-

სით დამონმებული დოკუმენტის წარუდგენლობა დადგენილ ვადაში არ იყო გამოწვეული მისი ბრალეულობით, შესაბამისად, ზ. დ-ის მიერ 2022 წლის 14 მარტს №29164 ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებულ იქნა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – სსიპ სოციალური დაცვის სააგენტოში. ადმინისტრაციულ საჩივართან ერთად წარდგენილ იქნა აპოსტილით დამონმებული გერმანიის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ ზ. დ-ე გერმანიის კანონიერი საპენსიო დაზღვევიდან არ ღებულობს პენსიას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლზე და აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმის საფუძველზე, სწორედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული დაამტკიცოს, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში არსებულ მტკიცებულებაზე, კერძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის №04-00/8553 წერილზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ აღნიშნული წერილი 2021 წლის 18 ნოემბერს ჩაიბარა. საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ასევე, დადასტურებულია, რომ მოსარჩელის მიერ შესაბამისი წესით დამონმებული დოკუმენტი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენილ იქნა დაგვიანებით, კერძოდ, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ეტაპზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვერც ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე და ვერც სასამართლო განხილვისას გაკეთებული ახსნა-განმარტებებით და შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ იქნა დადასტურებული ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული ქმედების გამორიცხვის თვალსაზრისით, კონკრეტული ცნობის აპოსტილით დამონმებული სახით წარმოდგენის აუცილებლობასთან მიმართებით მოსარჩელის ინფორმირების ფაქტი. შესაბამისად, სასამართლო იზიარებს მოსარჩელე მხარის პოზიციას, რომ მისი ინფორმირება არ განხორციელებულა სრულყოფილად და სადავო დოკუმენტის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა არ იყო გამოწვეული მოსარჩელის ბრალეულობით.

ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვალის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს

საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეა? დაც იგი ითვლება. სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც ზემოხსენებული ნორმატიული აქტის კონკრეტული ჩანაწერი იმპერატიულად არ ადგენდა დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებას აპოსტილით დამოწმებული სახით, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღნიშნული საფუძვლით მოსარჩელისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმა ბუნდოვანი იყო.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, 60¹ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 გადაწყვეტილების (იმ ნაწილში, რომლითაც ზ. დ-ეს უარი ეთქვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე) ბათილად ცნობის ნაწილში არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, კომპეტენტური ორგანოს მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს და იგი აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ პენსიის მიღების პირობებს. პენსიის ჯანმრთელობის დაზღვევის სარგებლის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ცალკე კანონმდებლობით.

სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2021 წლის 4 აგვისტოს ზ. დ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქალაქ თბილისის ...ის მომსახურების ცენტრს ასაკის გამო სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით, რაზეც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...ის ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილებით ზ. დ-ეს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნულ ნაწილშიც სარჩელი საფუძვლიანი იყო, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო და

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა დავალებოდა მოსარჩელისათვის საპენსიო დავალიანების ანაზღაურება 2021 წლის 1 სექტემბრიდან ზ. დ-ის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2022 წლის 14 მარტს წარდგენილი №29164 ადმინისტრაციული საჩივრის მომდევნო თვემდე კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, სასამართლოს მიერ სათანადოდ არ არის შეფასებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც საქმეზე სასამართლოს დასკვნები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არსებითად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონს, ამასთან, იგი არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას და შესაბამისად, მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 24 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომ-

სახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ზ. დ-ე სადავოდ ხდის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილების კანონიერებას, რომლითაც მას, იმ საფუძვლით, რომ გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყო ცენტრში პენსიის მიუღებლობის შესახებ ცნობის წარდგენა, უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე. მოსარჩელე, ასევე, სადავოდ ხდის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 გადაწყვეტილებას მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის ნაწილში და მოითხოვს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის 2021 წლის პირველი სექტემბრიდან – 1820 ლარის ოდენობით საპენსიო დავალიანების ანაზღაურების დავალებას, რასაც პენსიის დანიშვნის მოთხოვნის თაობაზე სააგენტოში მისი 2021 წლის 6 აგვისტოს განცხადების წარდგენას უკავშირებს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 სადავო გადაწყვეტილებით კი, სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს დაევალა, უზრუნველყო ზ. დ-ისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2022 წლის 14 მარტს წარდგენილი №29164 ადმინისტრაციული საჩივრის მომდევნო თვიდან. ამდენად, სადავო საკითხს და საკასაციო სასამართლოს შეფასების მთავარ საგანს წარმოადგენს იმ გარემოების გამორკვევა, თუ რა პერიოდიდან მოიპოვა ზ. დ-ემ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება და რა დროიდან უნდა დანიშნოდა მას სახელმწიფო პენსია.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შეძლების-

დაგვარად თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნა. ეს მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, არ არის სრულად მიღწევადი და უწინარესად, წარმოადგენს მუდმივ ამოცანას და ზრუნვის საგანს სახელმწიფოსათვის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-28). აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპის კონკრეტულ ურთიერთობებში დანერგვის უზრუნველყოფი ერთ-ერთი საშუალებაა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონი, რომელიც მიღებულია საქართველოს ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციისა და სახელმწიფო პენსიის დაწესების მიზნით.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის პირველი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულთა მიერ სოციალური დაცვით უფლებით რაც შეიძლება დიდხანს სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს უზრუნველყონ ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოებრივ სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება მეტი ხნით, რაც მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოიხატება, სათანადო სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი ოქმის თანახმად, ყოველ პირს აქვს მისი საკუთრების პატივისცემის უფლება. სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში გააჩნია შეფასების ფართო ფარგლები, რომელიც ზღუდავს საკუთრების უფლებას. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განაცხადა: „...მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ შეუძლია, ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული შეფასება ჩაანაცვლოს თავისი შეფასებით, იგი ვალდებულია, გასაჩივრებული ზომა გადასინჯოს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად და, ამგვარად, მოახდინოს იმ ფაქტების გამოკვლევა, რომელზედაც

ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთი მოქმედებების განხორციელებისას მიუთითეს“ ((James and Others. The United Kingdom), no. 8793/79, § 46).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პენსიის მოთხოვნა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრებად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „პრავედნაია რუსეთის წინააღმდეგ“ (Pravednaya v. Russia), no. 69529/01, § 38). როგორც ნესი, უფლება პენსიაზე ექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ საკუთრების უფლების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „პრინციპები, რომელიც ვრცელდება ზოგადად კონვენციის 1-ლი მუხლის 1-ლ დამატებით ოქმთან დაკავშირებულ საქმეებში, იდენტურად რელევანტურია, როდესაც საქმე პენსიებს ეხება“ (ლაკიჩევიჩი და სხვები სერბეთისა და მონტენეგროს წინააღმდეგ (Lakicevic and others v. Montenegro and Serbia, nos. 27458/06, 37205/06, 37207/06 and 33604/07) § 59)). პენსია სოციალური უზრუნველყოფის განსხვავებული ტიპის ბენეფიციია, ის წარმოიშობა უფლების საფუძველზე, მიუხედავად პირის ქონებრივი მდგომარეობისა. საქმეზე „სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ((Stec and Others v. the United Kingdom), [დიდი პალატა], nos. 65731/01 and 65900/01), პრეცედენტულ სამართალში შენატანების საფუძველზე უზრუნველყოფილი დახმარებების საქმეები გაიმიჯნა იმ საქმეებისაგან, რომლებიც შენატანებთან არ იყო დაკავშირებული. ახალი მიდგომის თანახმად, თუ მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს სოციალური კეთილდღეობის დახმარებას – შენატანების წინასწარი გადახდის ან გადაუხდელობის პირობით, ასეთი კანონმდებლობა განხილული უნდა იქნეს, როგორც მესაკუთრის ინტერესის წარმომშობი, რაც პირველი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში ექცევა მათთვის, ვინც ამ კანონმდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში მრავალი ადამიანი, სრულიად ან ნაწილობრივ, სოციალურ დახმარებებზეა დამოკიდებული. მრავალი შიდასახელმწიფოებრივი სისტემა აღიარებს, რომ ასეთ პირებს სჭირდებათ საიმედოობის და უსაფრთხოების გარკვეული ხარისხი. აქედან გამომდინარე, სოციალური დახმარება განიხილება, როგორც უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც აღინიშნა, სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულ საკუთრებად მიიჩნევა. საქმეში

„სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ“ (SPORRONG AND LÖNNROTH v. SWEDEN, no. 7151/75) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ „პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი მოიცავს სამ წესს. პირველი წესი, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, აცხადებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პრინციპს; ის გათვალისწინებულია პირველი ნაწილის პირველი წინადადებით. მეორე წესი მოიცავს ქონების ჩამორთმევას და ამ უკანასკნელს გარკვეულ პირობებს უქვემდებარებს; ის მოიპოვება იმავე ნაწილის მეორე წინადადებაში. მესამე წესი აღიარებს, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს, სხვა ზომების გარდა, გააკონტროლოს ქონების გამოყენება ზოგადი ინტერესის შესაბამისად, ისეთი კანონების მიღებით, რომელთაც ის აუცილებლად ჩათვლის ამ მიზნით; ეს წესი გათვალისწინებულია პირველი მუხლის მეორე ნაწილით“.

ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, პენსიის შემცირება ან შეწყვეტა შესაძლოა წარმოადგენდეს საკუთრების უფლებაში ჩარევას. თუმცა, როგორც წესი, სასამართლო ამგვარ ჩარევებს აფასებს არა საკუთრების ან მის გამოყენებაზე კონტროლის წართმევის კუთხით, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი წინადადების ქრილში. შედეგად, ის ამ სახის ქმედებებს პირის მიერ მისი საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევად მოიაზრებს.

ერთ-ერთი გადანყვეტილებით, საქმეზე ვიეცზორეკი პოლონეთის წინააღმდეგ (Wieczorek v. Poland, § 57), ევროსასამართლომ დაადგინა, რომ „როცა სარგებლის მოცულობა მცირდება ან მისი გაცემა წყდება, ეს შესაძლოა წარმოადგენდეს ჩარევას საკუთრებაში, რაც გამართლებას საჭიროებს“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯაროსამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სოციალური სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ხანდაზმულ მოქალაქეთა პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გა-

ცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაოობა, მუდმივობა, თაობათა შორის სოლიდარობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პენსიონერს უფლება აქვს მიიღოს პენსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. დასახელებული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს. ამავე კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებას კომპეტენტური ორგანო განიხილავს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღისა, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, კომპეტენტური ორგანოს მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს და იგი აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ პენსიის მიღების პირობებს.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით სახელმწიფომ შექმნა საპენსიო ასაკის მიღწეული პირისათვის მატერიალური სარგებლის მიღების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პენსიის წარმოშობის ნორმატიულად დადგენილი პირობების დადგომისას (განსაზღვრული ასაკის მიღწევა), კანონით გათვალისწინებულ პირებს ექმნებათ მისი მიღების მოლოდინი. ამასთან, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების წარდგენისას სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა დამატებითი დოკუმენტის – ცნობის წარდგენის ვალდებულებას იმის დასადასტურებლად, რომ პირი არ იღებდა პენსიას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პენსია არ დაინიშნებოდა. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესზე“, რო-

მელიც განსაზღვრავს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესსა და პირობებს. მითითებული წესის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

ამავე წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებას სააგენტო იხილავს და გადაწყვეტილებას პენსიის დანიშვნის/არდანიშვნის თაობაზე იღებს განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს, რომ თუ განცხადებას თან ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი და პირი აკმაყოფილებს პენსიის დანიშვნის პირობებს სააგენტოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის თაობაზე, სხვა შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება პენსიის არდანიშვნის თაობაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, პენსია ინიშნება: ა) განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვის ან ამ საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს; ბ) პენსიაზე უფლების წარმოშობის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობამდე არა უმეტეს 10 კალენდარული დღით ადრე.

მოხმობილი ნორმების შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობით, თუ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად არ უფიქსირდება კომპეტენტური ორგანოსათვის მიმართვის ფაქტი, მხოლოდ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების წარმოშობა – საპენსიო ასაკის მიღწევა, არ წარმოშობს საპენსიო ასაკის მიღწევიდან პენსიის ავტომატურად მიღების შესაძლებლობას, ისევე, როგორც პენსიის დანიშვნამდე პერიოდის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას. კანონმდებელი ხსენებული უფლების რეალიზებას უკავშირებს განმცხადებლის სუბიექტურ ნებას, თუ როდის მიმართავს შესაბამისი განაცხადით კომპეტენტურ ორგანოს და არ განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, საკუთარი ინიციატივით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2021 წლის 6 ივლისს ზ. დ-ემ №29290 განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო

ცენტრს და ასაკით სახელმწიფო პენსიის დანიშვნა მოითხოვა. ვინაიდან განცხადებით მიმართვისას ზ. დ-ეს არ ჰქონდა საპენსიო ასაკი (65 წელი) შესრულებული, ცენტრმა უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. თუმცა აღნიშნულს არც მოსარჩელე მხარე ხდის სადავოდ. არამედ, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ 2021 წლის 4 აგვისტოს №30471 განცხადებით ზ. დ-ემ განმეორებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს პენსიის დანიშვნის მოთხოვნით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 5 აგვისტოს წერილით, 2021 წლის 4 აგვისტოს №30471 განცხადების პასუხად, ზ. დ-ეს ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარედგინა ცნობა იმის შესახებ, რომ არ იღებდა პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლებოდა. შესაბამისად, ზ. დ-ეს დაევა 2022 წლის 4 თებერვლამდე უზრუნველყო ცნობის წარდგენა, სადაც მითითებული იქნებოდა, იღებდა თუ არა იგი პენსიას გერმანიიდან (ცნობა უნდა ყოფილიყო აპოსტილით დამოწმებული, ნათარგმნი ქართულად და ნოტარიულად დამოწმებული). თუმცა დადგენილია და მხარეთა შორის სადავო გარემოებას არ წარმოადგენს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 5 აგვისტოს წერილის მხარისათვის ფოსტის მეშვეობით ჩაბარება სააგენტომ ვერ უზრუნველყო და აღნიშნული წერილის შემცველი გზავნილი სააგენტოს უკან დაუბრუნდა 2021 წლის 16 აგვისტოს (შენიშვნით: დავტოვე შეტყობინება, მისამართზე არავინ იყო); ხოლო დაბრუნებული წერილი ზ. დ-ემ პირადად ჩაიბარა ცენტრში – 2021 წლის 18 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ზ. დ-ემ გერმანიის საპენსიო დაზღვევიდან ცნობა (კონვერტი) იმის შესახებ, რომ მოსარჩელე გერმანიის საპენსიო დაზღვევიდან არ იღებდა პენსიას, სააგენტოში 2021 წლის ნოემბრის თვეში წარადგინა, თუმცა იმ მიზეზით, რომ იგი აპოსტილით არ იყო დამოწმებული, სააგენტოს თანამშრომელმა უარი განაცხადა მის ჩაბარებაზე. იმავე შინაარსის გერმანიის საპენსიო დაზღვევის აპოსტილით დამოწმებული წერილი სააგენტოში წარდგენილია ზ. დ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2022 წლის 14 თებერვლის

№2022/1 გადაწყვეტილებით კი ზ. დ-ეს, იმ მიზეზით, რომ მან გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყო ცენტრში პენსიის მიუღებლობის შესახებ ცნობის წარდგენა, უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

განსახილველ საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც სააგენტომ ვერ უზრუნველყო ზ. დ-ის სათანადო წესით ინფორმირება წარსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს აღნიშნული მიზეზით სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმას. საქმეში წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო ბარათით დგინდება, რომ 2021 წლის 19 ივლისს ...ის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ ზ. დ-ისთვის გაგზავნილი შეტყობინება, მისამართზე – თბილისი, ...ის ქ. 1 ჩიხი №1, ვერ იქნა ჩაბარებული იმ მიზეზით, რომ მისამართი არასრული იყო და ვერ მოხდა მისი მოძიება, რაც სააგენტოს უკან 2021 წლის 4 აგვისტოს დაუბრუნდა. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2021 წლის 5 აგვისტოს წერილი ზ. დ-ეს 2021 წლის 6 აგვისტოს იმავე მისამართზე გაეგზავნა. გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო ბარათის მიხედვით კი, 2021 წლის 6 აგვისტოს ...ის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ ზ. დ-ისთვის გაგზავნილი შეტყობინება, მისამართზე – თბილისი, ...ის ქ. პირველი ჩიხი №1, ვერც ამჯერად იქნა ჩაბარებული იმ მიზეზით, რომ მისამართზე არავინ იყო, ხოლო კურიერმა დატოვა შეტყობინება (16.08.2021).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაძიებელსა/პენსიონერსა და კომპეტენტურ ორგანოს შორის მიმონერა შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, სააგენტოს არ უცდია ზ. დ-ისთვის ელექტრონული ფორმით (რომელიც მითითებული იყო ზ. დ-ის განცხადებაში) 2021 წლის 5 აგვისტოს წერილის გაცნობა, ისევე, როგორც არ უცდია მისთვის ტელეფონის მეშვეობით დაკავშირება, რაც ასევე მითითებული იყო ზ. დ-ის განცხადებებში. აქვე, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე მოსარჩელესთან ადმინისტრაციულ ორგანოს კომუნიკაცია ჰქონდა სწორედ ტელეფონის მეშვეობით, თუმცა გაურკვეველია, ამჯერად რატომ არ მოხდა მხარის ინფორმირება სატელეფონო კომუნიკაციის გზით. შესაბამისად, ზ. დ-ის დროულად ინფორმირების კუთხით სააგენტოს არ გამოუყენებია მის ხელთ არსებული რესურსი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც გერმანიიდან ცნობის წარსადგენად მას კონკრეტული დრო ჰქონდა განსაზღვრული, ხოლო 2021 წლის 5 აგვისტოს წერილის დროულ ჩაბარებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ცნობის წარსადგენად

სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადის დაცვისათვის.

2021 წლის 5 აგვისტოს წერილის ჩაბარებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ კუთხითაც, რომ მოთხოვნილი ცნობის აპოსტილით დამოწმებული ფორმით წარდგენაზე არ მიუთითებდა უშუალოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშნისა და გაცემის წესის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის დამატებით ითვალისწინებდა ცნობის წარდგენის ვალდებულებას იმის შესახებ, რომ იგი არ იღებდა პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეც იგი ითვლებოდა. უპირველესად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციის საფუძველზე (რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2007 წლის 14 მაისიდან), სააგენტო უფლებამოსილი იყო მოეთხოვა აპოსტილით დამოწმებული ცნობის წარდგენა. შესაბამისად, პალატა ამ კუთხით ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა აპოსტილით დამოწმებული სახით ცნობის წარდგენის მოთხოვნის უფლება. თუმცა ამავედროულად საგულისხმოა, რომ მოსარჩელე სწორედ იმ გარემოებას ხდის სადავოდ, რომ სააგენტომ მას არასათანადოდ განუმარტა წარსადგენი დოკუმენტის ფორმა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რამდენადაც ზემოხსენებული „წესის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი პირდაპირ არ მიუთითებდა ცნობის აპოსტილით დამოწმებული ფორმით წარდგენის ვალდებულებაზე, სააგენტოს აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში ცნობის მოთხოვნისას უნდა უზრუნველყო წარსადგენი დოკუმენტის ფორმის შესახებ განმცხადებლის დროული და სათანადო ინფორმირება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სააგენტოს სათანადოდ არ განუხორციელებია. გარდა აღნიშნულისა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და არ შეიცავს შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებას, რა-

ზე დაყრდნობითაც მიიღო სააგენტომ გადაწყვეტილება, რაც ასევე ქმნის აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

რაც შეეხება გასაჩივრებულ ნაწილში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 გადაწყვეტილებას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამონმებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოემვა მაღალი ხარისხით, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებული და საქმეზე არსებული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტომ სათანადოდ არ შეაფასა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილების კანონიერება.

გარდა აღნიშნულისა, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ზ. დ-ის მიერ სააგენტოში წარდგენილ იქნა მოთხოვნილი ფორმით – აპოსტილით დამოწმებული ცნობა, სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს დაევალა ზ. დ-ისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნის უზრუნველყოფა არა განცხადების წარდგენის, არამედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2022 წლის 14 მარტს წარდგენილი №29164 ადმინისტრაციული საჩივრის მომდევნო თვიდან, რასაც არ იზიარებს საკასაციო სასამართლო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, ისევე როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, პენსიის დანიშვნის მოთხოვნით წარდგენილ განცხადებას თან უნდა ახლდეს ყველა საჭირო დოკუმენტი, თუმცა სათანადო დოკუმენტების წარდგენა პენსიის დანიშვნის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას უკავშირდება და არა პენსიის დანიშვნის დროს. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი მე-2 პუნქტი და აღნიშნული „წესის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან პენსიის დანიშვნაზე. შესაბამისად, სათანადო დოკუმენტების წარდგენა პენსიის დანიშვნის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას წარმოადგენს და არა პენსიის დანიშვნის ათვლის წერტილს. მოქმედმა კანონმდებლობამ ასაკის საფუძველზე კანონით მოპოვებული პენსიის მიღების უფლების რეალიზება ნების გამოხატვას დაუკავშირა, რის გამოც პირს, რომელსაც კანონის საფუძველზე მოპოვებული აქვს პენსიის მიღების უფლება და სააგენტოში წარადგენს სათანადო დოკუმენტებს, პენსია დაენიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამდენად, კანონმდებელი ხსენებული უფლების რეალიზებას უკავშირებს განმცხადებლის სუბიექტური ნების გამოვლენას, თუ როდის მიმართავს იგი შესაბამისი განაცხადით კომპეტენტურ ორგანოს. განმცხადებელს აქვს მოლოდინი, რომ იგი კანონით მოპოვებულ სახელმწიფო პენსიას მიიღებს აღნიშნულის თაობაზე ნების გამოხატვიდან – უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენიდან, რაზეც გავლენას არ უნდა ახდენდეს განცხადების განხილვის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ხანგრძლივობა.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი საკითხი უკავშირდება სახელმწი-

ფო სოციალური დაცვის საკითხს – ასაკის საფუძველზე პენსიის მიღების უფლებას, რაც საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. ამდენად, პენსიის დანიშვნის დროის განმსაზღვრელი მოწესრიგება სწორედ ამ უფლების შინაარსის მხედველობაში მიღებით უნდა განიმარტოს. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ზ. დ-ის მიერ წარდგენილ იქნა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი პენსიის დანიშვნის კანონისმიერ საფუძველს („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა), ზ. დ-ეს პენსია უნდა დანიშნოდა 2021 წლის 6 აგვისტოს წარდგენილი გაცხადების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან – 2021 წლის პირველი სექტემბრიდან, რამეთუ კანონმდებელი პენსიის მიღების უფლების რეალიზებას პირის ნების გამოვლენას – კომპეტენტურ ორგანოში განცხადების წარდგენას უკავშირებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც პენსიის დასანიშნად მოითხოვდა ორმაგი მოქალაქის მიერ ცნობის წარდგენის ვალდებულებას, დღეის მდგომარეობით გაუქმებულია. შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პენსიის მაძიებლებს უფლების რეალიზების მიზნით აღარ ევალებათ ადმინისტრაციულ ორგანოში ამგვარი ცნობის წარდგენა (ამოღებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-40/ნ ბრძანებით, 2022 წლის 13 მაისს).

განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2022 წლის 14 თებერვლის №2022/1 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 28 აპრილის №04/4311 გადაწყვეტილება ზ. დ-ის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის ნაწილში მიღებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით. შესაბამისად, არსებობდა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ სადავო აქტების ბათილად ცნობისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ზ. დ-ისთვის

2021 წლის პირველი სექტემბრიდან – 1820 ლარის ოდენობით საპენსიო დავალიანების ანაზღაურების დავალების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გარდაცვლილი პირის მიუღებელი პენსიის მისი
მემკვიდრეების მიერ მოთხოვნის ვადა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-609(კ-24)

5 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მაკარიძე,
ბ. შონია**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალება

აღწერითი ნაწილი:

2022 წლის 26 სექტემბერს დ. ჯ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ „გარდაცვლილი ძმის ზ. ჯ-ას გარდაცვალებამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის მიღების შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 30 ივნისის №SSA 4 22 0056808 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის დ. ჯ-ას სასარგებლოდ, გარდაცვლილი ძმის – ზ. ჯ-ას გარდაცვალებამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, მისი ძმა – ზ. ჯ-ა იყო პენსიონერი, რომელიც გარდაიცვალა 2021 წლის 8 იანვარს. გარდაცვალებამდე ორი წლის განმავლობაში, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ იღებდა პენსიას. ზ. ჯ-ას მემკვიდრე არის დ. ჯ-ა. სამკვიდრო მასაში შედიოდა მიუღებელი საპენსიო თანხებიც, რომელიც შეადგენდა 4 000 ლარს. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, თუმცა მოპასუხის 2022 წლის 30 ივნისის №SSA 4 22 0056808 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დ. ჯ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 30 ივნისის №SSA 4 22 0056808 გადაწყვეტილება „გარდაცვლილი ძმის ზ. ჯ-ას გარდაცვალებამდე მიუღებელი სახელ-

მნიფო გასაცემლის მიღების შესახებ“; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაცვლილის მემკვიდრის – დ. ჯ-ასთვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურება დაევალა.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამკვიდრო მონუმობით მოსარჩელე – დ. ჯ-ა არის მამკვიდრებლის ზ. ჯ-ას (სამკვიდრო გაიხსნა: მარტვილი, ს., შეს. №...) მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრე – ძმა. მოსარჩელემ სამკვიდრო მიიღო ფაქტობრივი მართვითა და დაუფლებით. სამკვიდრო მოიცავს მიუღებელ საპენსიო თანხასაც.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიუღებელი პენსია, რომელიც ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, აღნიშნულ ნორმაზე მითითებით სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია, რომ მიუხედავად სამკვიდრო მონუმობის მიღების დაგვიანებისა, მოსარჩელეს სააგენტოსთვის მაინც უნდა მიემართა, ვინაიდან სპეციალურ ნორმაში რომელიც მოცემულ სამართალურთიერთობას არეგულირებს ცალსახადაა მითითებული, რომ მოთხოვნის უფლების მქონე არის მემკვიდრე. ამასთან, კოლეგიის მითითებით, მოსარჩელე მხარე პერიოდულად იმყოფებოდა მარტვილში და სს „ლ...სა“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ზეპირსიტყვიერად კომუნიკაციისას განუმარტავდნენ, რომ მას უფლება ჰქონდა ესარგებლა გარდაცვლილი ძმის დანატოვარი პენსიით, თუმცა მას არ აფრთხილებდნენ, რომ შეზღუდული იყო მოცემული უფლების რეალიზაციის ვადები. ამასთან, ის ცხოვრობდა თბილისში და რამდენჯერმე მარტვილში ჩასვლისას ნოტარიუსი არ დახვდა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მისი მხრიდან სამკვიდრო მონუმობის აღების გაჭიანურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება და აღნიშნა, რომ სადავო აქტის გამოცემისას ადგილი ჰქონდა მკაცრად ფორმალურ მიდგომას და არ იყო გათვალისწინებული სამკვიდრო მონუმობის დროულად მიუღებლობის შესაბამისად, მი-

უღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურების მოთხოვნით კომპეტენტური ორგანოსთვის მიუმართაობის მიზეზები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ დ. ჯ-ამ 2022 წლის 24 ივნისს განცხადებით მომართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა გარდაცვლილი ძმის ზ. ჯ-ას გარდაცვალებამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელებზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) საპენსიო თანხები გაიცემა, თუ მათ მიუღებელი თანხისათვის კომპეტენტურ ორგანოს განცხადებით მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, იმ პირობით, რომ გაცემული თანხა სამკვიდროს გაყოფამდე ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. კასატორის მითითებით, მოქალაქე ზ. ჯ-ა გარდაიცვალა 2021 წლის 8 იანვარს, დ. ჯ-ამ განცხადებით სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ აპარატს მიმართა 2022 წლის 24 ივნისს (ერთწლიანი ვადის გასვლის შემდგომ). შესაბამისად, დ. ჯ-ა ვერ მოიპოვებდა უფლებას მიეღო გარდაცვლილი ძმის გარდაცვალებამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 13 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგ-

გად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკა-
საციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ მოსარჩელის ძმა – ზ. ჯ-
ა გარდაიცვალა 2021 წლის 8 იანვარს. 2022 წლის 02 მარტს დამონმებუ-
ლი სამკვიდრო მონუმბით მოსარჩელე – დ. ჯ-ა არის მამკვიდრებლის ზ.
ჯ-ას მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრე – ძმა. მოსარჩელემ სამ-
კვიდრო მიიღო ფაქტობრივი მართვითა და დაუფლებით. სამკვიდრო
მოიცავდა მიუღებელ საპენსიო თანხასაც.

მოსარჩელემ 2022 წლის 24 ივნისს განცხადებით მიმართა სსიპ სო-
ციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა გარდაცვლილი ძმის
ზ. ჯ-ას გარდაცვალებამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის მის-
თვის ჩარიცხვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის
30 ივნისის №SSA 4 22 0056808 გადაწყვეტილებით დ. ჯ-ას უარი ეთქვა
მამკვიდრებლის მიერ მიუღებელი პენსიის მიღებაზე, უარის თქმის სა-
ფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძა-
ნებით დამტკიცებულ „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსა-
ციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცე-
მის წესის“ მე-10 მუხლის მეორე პუნქტი, კერძოდ ის გარემოება, რომ
დ. ჯ-ამ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა კანონმდებლობით დად-
გენილი ერთწლიანი ვადის დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2022 წლის 02 მარტს და-
მონმებული სამკვიდრო მონუმბის თანახმად, სამკვიდრო ქონებას წარ-
მოადგენდა მთელი სამკვიდრო, აქტივებითა (ქონებრივი და არაქონებ-
რივი მატერიალური სიკეთე, უძრავი და მოძრავი ქონება, მიუღებელი
საპენსიო თანხა, აქციები, საზოგადოების წილები და ა.შ.) და სამკვიდ-
რო პასივებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის
მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრებისა და მემკვიდ-
რეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ხსენებული და-
ნანესიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულე-
ბა – უზრუნველყოს საკუთრების, როგორც ინსტიტუტის დაცვა, ყოვე-
ლი ინდივიდის მიერ საკუთრების შეუფერხებელი მოხმარება და ნეგა-
ტიური ვალდებულება – თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისაგან, რო-
მელიც გამოიწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას. საკუთრების უფ-
ლება არ არის აბსოლუტური და იგი კანონით განსაზღვრულ შემთხვე-
ვებში და დადგენილი წესით, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით,
შესაძლოა დაექვემდებაროს შეზღუდვებს. ამასთან, საკუთრების უფ-
ლების რეალიზაციისათვის, შესაძლოა, გათვალისწინებული იყო გარ-
კვეული პირობებისა და ვადების დაცვა. მნიშვნელოვანია ყოველ კონ-

კრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების დეტალური გამოკვლევის გზით, დადგინდეს პირის საკუთრების უფლების შეზღუდვისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია და სახელმწიფო პენსიის (შემდგომ – პენსია) დაწესება არსებული რესურსების ფარგლებში. ამავდროულად კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) საპენსიო თანხები გაიცემა, თუ მათ მიუღებელი თანხისათვის კომპეტენტურ ორგანოს განცხადებით მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, იმ პირობით, რომ გაცემული თანხა სამკვიდროს გაყოფამდე ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის ძმა – ზ. ჯ-ა გარდაიცვალა 2021 წლის 8 იანვარს, ხოლო დ. ჯ-ამ 2022 წლის 24 ივნისს ანუ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით იმპერატიულად დადგენილი ერთწლიანი ვადის დარღვევით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაცვლილი ძმის გარდაცვალებამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის მისთვის ჩარიცხვის მოთხოვნით. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითებით, მოსარჩელის მიერ ზემოხსენებული ერთწლიანი ვადის დარღვევა განპირობებული იყო მისგან დამოუკიდებელი, ობიექტური გარემოებებით. კერძოდ, დ. ჯ-ა ცხოვრობდა ქ. თბილისში, ხოლო სამკვიდროს გახსნის ადგილი იყო ქ. მარტვილი. მოსარჩელე რამ-

დენჯერმე ჩავიდა მარტვილში, თუმცა ნოტარიუსი არ დახვდა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მისი მხრიდან სამკვიდრო მონუმობის აღების გაჭიანურება. ამასთან, სამკვიდრო მონუმობის აღების გარეშე იგი ვერ მიმართავდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ვინაიდან გარდაცვლილი პირის მიუღებელი პენსიის მოთხოვნაზე უფლების მქონე იყო მისი მემკვიდრე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში არის აღნიშნული, კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის ნამდვილი მიზნის, განზრახვის ადეკვატურად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს, კერძოდ, ყოველი ნორმა განმარტებული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური მეთოდებით, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჩრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის №ბს-479-459(კ-10) განჩინება).

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნას და აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი გარდაცვლილი პირის მიუღებელი პენსიის მისი მემკვიდრეების მიერ მოთხოვნის ვადის ათვლის საწყის წერტილად განსაზღვრავს პირის გარდაცვალების დღეს. შესაბამისად, კანონის მიზანია პირის გარდაცვალების დღიდან არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში გაიცეს მიუღებელი საპენსიო თანხა. სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. კონკრეტულ შემთხვევაში, ზ. ჯ-ას გარ-

დაცვალებით სამკვიდრო გაიხსნა 2021 წლის 8 იანვარს. ამდენად, 2021 წლის 8 იანვრიდან ექვსი თვის განმავლობაში მოსარჩელე უფლებამოსილი იყო მიეღო სამკვიდრო, ხოლო 2021 წლის 8 იანვრიდან არაუგვიანეს ერთი წლისა მიემართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის. საქმეში წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობა გაცემულია 2022 წლის 2 მარტს – სამკვიდროს გახსნიდან ერთი წლისა და ორი თვის შემდეგ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ სამკვიდროს დროულად მიღების შეუძლებლობას ან სოციალური მომსახურების სააგენტოში განცხადების სათანადო ვადაში წარდგენის გამომრიცხავ ობიექტურ გარემოებას. საგულისხმოა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნა ეფუძნება მხოლოდ მოსარჩელის ზეპირსიტყვიერ განმარტებებს. ამასთან, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ დ. ჯ-ამ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა არა სამკვიდრო მოწმობის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, არამედ სამკვიდრო მოწმობის მიღებიდან დაახლოებით სამთვენახევრის შემდეგ – 2022 წლის 24 ივნისს. ამდენად, მოსარჩელის მიერ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთწლიანი ვადის დარღვევის ობიექტურ საფუძველად სამკვიდრო მოწმობის დროულად მიუღებლობის მიჩნევის შემთხვევაშიც კი არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი ნიშანპირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით დ. ჯ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ჯ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველი
მოსარჩელის უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე ახალი
აქტის გამოცემის წინაპირობები

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმთო

№ბს-455(კ-23)

10 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ხ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 23 ივნისის №867 ბრძანების ბათილად ცნობა. ასევე მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დავალის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 23 ივნისის №867 ბრძანება; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანება და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე ქ. ხ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე, 25-ე მუხლები, ევროპის სოციალური ქარტიის მე-12, 31-ე მუხლები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-2 მუხლი და სადავო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანებით დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ხ-ეს უარი ეთქვა უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების პირველი ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის დაუკმაყოფილებლობის საფუძველზე, კერძოდ განიმარტა, რომ კომისიამ ვერ მოიპოვა ინფორმაცია ოჯახში შემავალი პირების შესახებ.

საქმის განმხილველმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქ. ხ-ის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ განაცხადში მითითებული აქვს მისამართი – ქ. თბილისი, ...ი, ...ის შენობა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. განაცხადის წარდგენისა და სადავო აქტის გამოცემისას განცხადებაში მითითებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებენ მოსარჩელე ქ. ხ-ის მეზობლები ერთობლივი განცხადებით, რომლის თანახმად, 2012 წლის ივლისიდან, 2021 წლის სექტემბრამდე ქ. ხ-ე ცხოვრობდა ...ის შენობაში, ...ის ქ. №75. საქმის სასამართლოში განხილვისას ასევე ყურადღება გამახვილდა მოპასუხის მიერ წარდგენილ საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ გაცემულ ინფორმაციაზე სადაც მითითებულია, რომ ბ. ხ-ისა და ქ. ხ-ის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ...ის

ქუჩა №17, ბინა №17, ოჯახის ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ...ი, ...ის ქ. №7ა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე მხარეს აღნიშნული ინფორმაციის მოძიების ვალდებულება ჰქონდა ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი და განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულყოფილად უნდა ხდებოდეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველი საკითხის გამოკვლევა, აუცილებელია დეტალური ინფორმაცია ჰქონდეთ იმ პირების შესახებ, ვინც არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან სათანადო საცხოვრისის მხრივ, მათ შორის განსაკუთრებულ კატეგორიას უსახლკარო პირები წარმოადგენენ, ვინაიდან ეჭვქვეშ დგება მათი უსაფრთხო, მშვიდობიანი და ღირსეული ცხოვრების პირობები. იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქე, ამის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თითოეული უსახლკაროდ რეგისტრაციის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების სრულყოფილად შესწავლა, მათი განხილვა და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლოს მსჯელობით გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის სათანადოდ დასაბუთებული ის გარემოება, თუ რატომ ვერ იქნა მოპოვებული ქ. ხ-ის ოჯახში შემავალი პირების შესახებ ინფორმაცია იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ განაცხადში მითითებული იქნა კონკრეტული მისამართი, ამასთან განცხადება წარდგენილი იქნა 2018 წლის 27 დეკემბერს, თუმცა სადავო აქტი გამოიცა 2021 წლის 16 აპრილს, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადოდ უნდა შეფასებულიყო. სასამართლოს მიერ ასევე ყურადსაღებად იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ ქ. ხ-ის ოჯახის შემადგენლობაში შედის მისი არასრულწლოვანი შვილი ბ. ხ-ე. განიმარტა, რომ კანონმდებლობა იცავს ბავშვის ინტერესებს, ბავშვის უფლებებს, მისი ინდივიდუალურობის შენარჩუნებას. არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, რაც სასამართლოს მსჯელობით, სადავო აქტების მიღების ფარგლებში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა სათანადოდ შეფასებული. რაც შეეხება ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან ანაზღაურებას ვერ დაექვემდებარება მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ გაწეული შრომის საფასური – საადვოკატო ხარჯი, რომელის ანაზღაურებაც ხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ხ-ემ.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, მიუთითებს დავის ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტავს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში მის მიერ წარდგენილი იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები სრულად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის ფარგლებში კვლავ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საკითხის ხელახლა შესწავლა და გადანყვეტილების მიღება, რაც გაზიარებული იქნა სააპელაციო პალატის მიერ. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ვინაიდან არა აქვს ქირის გადახდის საშუალება, მცირეწლოვან შვილთან ერთად, პერიოდულობით სხვადასხვა მეგობართან და ოჯახის ახლობლებთან ცხოვრობს, ხშირად იცვლის საცხოვრებელს და ფაქტობრივად არასრულწლოვანს არ აქვს საშუალება იცხოვროს სტაბილურად ერთ მისამართზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 27 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ქ. ხ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება – დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 23 ივნისის №867 ბრძანების კანონშესაბამისობის შემოწმება და იმ გარემოებების დადგენა, თუ რამდენად არსებობდა სადავო აქტების მიღების დროს ქ. ხ-ის ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2018 წლის 27 დეკემბერს ქ. ხ-ემ განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას და მოითხოვა უსახლკარო ოჯახად რეგისტრაცია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის შესახებ განაცხადი წარდგენილია ქ. ხ-ისა და მისი არასრულწლოვანი შვილის ბ. ხ-ის სახელით, მითითებულია მისამართი – ქ. თბილისი, ...ი, ...ის შენობა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

საქმეში წარმოდგენილი სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2014 წლის 1 დეკემბერს გაცემული დაბადების მოწმობით დადგენილია, რომ ბ. ხ-ე დაიბადა ... წლისს. დედის გრაფაში მითითებულია – ქ. ხ-ე, ხოლო მამის გრაფა ცარიელია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 13 დეკემბრის №... წერილის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით ქ. ხ-ის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 27 დეკემბრის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერით, ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მითითებულია ქ. ხ-ე და ბ. ხ-ე, მისამართი – ...ი, ...ის ქ. N7ა, სარეიტინგო ქულა – 53750.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 30 მარტის №.. წერილით დადგენილია, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული პროგრამის მონაცემებით, ქ. ხ-ის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული.

საქმეში ასევე წარმოდგენილია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 15 მაისის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი, სადაც ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მითითებულია ქ. ხ-ე და ბ. ხ-ე, მისამართი – ...ი, ...ის ქ. №7ა, სარეიტინგო ქულა 53750.

შემოსავლების სამსახურში არსებული მონაცემებით, ქ. ხ-ისა და ბ. ხ-ის მიერ, 2020 წლის 1 იანვრიდან – 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება.

საქმეში წარმოდგენილია ქ. ხ-ის მეზობლების ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმად, ბ. ბ-ი, კ. ვ-ე და ჟ. ა-ი ადასტურებენ, რომ 2012 წლის ივლისიდან, 2021 წლის სექტემბრამდე ქ. ხ-ე ცხოვრობდა ...ის შენობაში, მისამართზე – ...ის ქ. №75.

საქმეში წარმოდგენილი საბურთალოს რაიონის გამგეობის 2022 წლის 14 აპრილის ინფორმაციით, ბ. ხ-ისა და ქ. ხ-ის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს – ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №17, ბინა №17, ოჯახის ფაქტობრივი

მისამართია ქ. თბილისი, ვაკე – საბურთალოს რაიონი, ...ი, ...ის ქ. №7ა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების პირველის მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის დაუკმაყოფილებლობის გამო ბ. ხ-ეს და ქ. ხ-ეს უარი ეთქვათ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ 2021 წლის 21 მაისს გასაჩივრებული იქნა ადმინისტრაციული საჩივრით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 23 ივნისის №867 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ქ. ხ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანება. ბრძანების თანახმად, დადგენილია იმ კრიტერიუმთა ჩამონათვალი, რომელთა ერთობლივად დაკმაყოფილება ქმნის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის საფუძველს. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა, რომ აღნიშნულ მოთხოვნათაგან თუნდაც ერთ-ერთის დაუკმაყოფილებლობა კი იწვევს განმცხადებლისათვის უსახლკაროდ რეგისტრაციაზე უარის თქმას.

წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე მსჯელობის ფარგლებში, პალატა დეტალურად შეაფასებს თითოეულ ფაქტობრივ გარემოებას და იმ სამართლებრივ ნორმას, რაც საფუძველად დაედო ადმინისტრაციული ორგანოს უარს, უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესზე“, სადაც განმარტებულია პირთა უსახლკაროდ რეგისტრაცია და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფა. აღნიშნული წესი განსაზღვრავს რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებს და თავშესაფარი ფართით დაკმაყოფილების პირობებს, ხოლო მისი განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქმნის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას“ (შემდგომში – კომისია) და ამტკიცებს მის დებულებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №19.225.312 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისია განიხილავს უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის საკითხს და იღებს შესაბამის რეკომენდაციას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, №37-14 დადგენილების და ამ დებულების შესაბამისად. ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე განცხადებების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციის მიღება. ხოლო მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი და კომისიის მდივანი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანების მიღების საფუძველად მითითებულ საკანონმდებლო ნორმაზე, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვალი №37-14 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/ საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად. აღნიშნული წესის მე-5 მუხლში (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) განერილია უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის კრიტერიუმები. მუხლის პირველ პუნქტში კანონმდებელმა მიუთითა ის ჩამონათვალი, რომლის დაკმაყოფილების პირობებშიც უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახი დარეგისტრირდება უსახლკარო ოჯახად, კერძოდ ა) კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათ შორის, ოჯახის წევრი, რომელსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განუხლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად ის არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში. ბ) ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ ფიქსირდება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება; გ) ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ ფიქსირდება საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ნებისმიერ ფართზე მართლზო-

მიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტი; დ) შესაბამისი გამგეობის მიერ მოპოვებული ინფორმაციით არ დასტურდება ოჯახის მხრიდან დამოუკიდებლად ბინის ან სხვა ფართის ქირის (იჯარის) კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში უწყვეტად გადახდის ფაქტი; ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახის არც ერთ წევრს არ გააჩნია საკუთრებაში მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, ხოლო მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მხრიდან გადაწყვეტილება მიიღება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მარკის, გამოშვების წლისა და მოდელის გათვალისწინებით; ვ) ოჯახს არ გააჩნია რეგისტრირებული შემოსავალი ან შემოსავლის არსებობის შემთხვევაში ოჯახი ასაბუთებს, რომ აღნიშნული შემოსავალი არ არის საკმარისი საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის ან კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე 6 თვის განმავლობაში ოჯახის წევრების მიერ მიღებული შემოსავალი არ აჭარბებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის 6 თვის კომპენსაციას და ამავე პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ განსაზღვრულ პირის საარსებო მინიმუმისათვის აუცილებელი თანხების ერთობლიობას; ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ფიქსირდება ოჯახის არც ერთი წევრის მიერ სახელმწიფო საზღვრის 2 (ორი) და მეტი გადაკვეთა (სახელმწიფო ტერიტორიის დატოვება). გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით; თ) ოჯახის თითოეული უმუშევარი წევრი რეგისტრირებულია „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – www.worknet.gov.ge.

ამავე საკანონმდებლო რეგულაციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გამომრიცხავი გარემოებები, კერძოდ, ა) ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა ისეთი გარემოებების გამოვლენისას, რომლებიც ადასტურებენ ოჯახის შესაძლებლო-

ბას უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრისით ან მის მიმართ მესამე პირის ვალდებულებას საცხოვრისით უზრუნველყოფაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ვალდებულების შესრულება სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი გარემოებების გამო შეუძლებელია); ბ) თუ ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს/აკმაყოფილებენ ოჯახის მხოლოდ არასრულწლოვანი წევრ(ებ)ი; გ) ნებისმიერი ისეთი ფაქტის გამოვლენისას, რომელიც ადასტურებს ოჯახის მხრიდან არასრული ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებას და/ან დროებითი საცხოვრისის მისამართის, დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის შესახებ ინფორმაციის არმიწოდებას; დ) ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას/გამოვლენისას, რომლის შედეგადაც ოჯახმა საცხოვრისის მიღების მიზნით, ხელოვნურად წარმოქმნა მისი უსახლკარო პირად რეგისტრაციის საფუძველი; ე) კომისია ვერ მოიპოვებს ინფორმაციას ოჯახში შემავალი პირების შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში სწორედ ზემოაღნიშნული პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი დაედოს საფუძვლად მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს და განიმარტა, რომ კომისიამ ვერ მოიპოვა ინფორმაცია ოჯახში შემავალი პირების შესახებ.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის მოთხოვნით ქ. ხ-ის მიერ 2018 წელს წარდგენილ განცხადებაზე, სადაც მითითებულია მისამართი – ქ. თბილისი, ...ი, ...ის შენობა, და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის შესახებ განაცხადი წარდგენილია ქ. ხ-ისა და მისი არასრულწლოვანი შვილის ბ. ხ-ის სახელით, მითითებულია მისამართი – ქ. თბილისი, ...ი, ...ის შენობა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი განცხადებაში მითითებულ მისამართზე, განაცხადის წარდგენისა და სადავო აქტის გამოცემისას ცხოვრების ფაქტს ადასტურებენ მეზობლები ერთობლივი განცხადებით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 15 მაისის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერით დასტურდება, რომ ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მითითებულია ქ. ხ-ე და ბ. ხ-ე; რაც შეეხება საქმის სასამართლოში განხილვისას მოპასუხის მიერ წარდგენილ საბურთალოს რაიონის გამგეობის ინფორმაციას, მითითებულია, რომ ბ. ხ-ისა და ქ. ხ-ის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ...ის ქუჩა №17, ბინა №17, ოჯახის ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ...ი, ...ის ქ. №7ა.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, საკასაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ მსჯელობას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულყოფილად

უნდა ხდებოდეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველი საკითხის გამოკვლევა, აუცილებელია დეტალური ინფორმაცია ჰქონდეთ იმ პირების შესახებ, ვინც არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან სათანადო საცხოვრისის მხრივ, მათ შორის განსაკუთრებულ კატეგორიას უსახლკარო პირები წარმოადგენენ, ვინაიდან ეჭვქვეშ დგება მათი უსაფრთხო, მშვიდობიანი და ღირსეული ცხოვრების პირობები. იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქე, ამის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თითოეული უსახლკაროდ რეგისტრაციის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების სრულყოფილად შესწავლა, მათი განხილვა და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, როდესაც ცალსახად დგინდება ოჯახში შემავალი პირების ვინაობა და მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობის მართებულობას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე საკითხის ხელახლა შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კვლავ ადმინისტრაციულ ორგანოსათვის დავალების თაობაზე.

„...სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სადავო საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამოცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არ წარმოადგენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილებას.“ (სუსგ, №ბს-329-327(2კ-17) 19.10.2017წ.). ამასთან, „...გარდა იმისა, რომ ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება სასამართლოს მხრიდან სადავო საკითხის მატერიალური კანონიერების შეფასების შეუძლებლობას უნდა დაუკავშირდეს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი დავის სასამართლო წესით გონივრულ ვადაში დასრულების ინტერესი. საქმის გონივრულ ვადაში, ეფექტიანად განხილვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის სირთულე, მოდავე მხარეების და შესაბამისი კომპეტენტური უწყებების ჩართულობა, ასევე საქმის განხილვის შედეგი დაინტერესებული მხარეებისათვის...“ (სუსგ №ბს-1198(კ-19) 17.09.2020წ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში მის მიერ წარდგენილი იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის ფარგლებში კვლავ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საკითხის ხელახლა შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება, რაც გაზიარებული იქნა სააპელაციო პალატის მიერ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლეოდა საქმის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

აქვე, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლზე, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედების განხორციელებას და იქვე განსაზღვრავს, რომ უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშ-

ნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე კოდექსის 33-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

დავის საგნის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სათანადო საცხოვრისის უფლება აღიარებულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებით, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში პაქტი) მე-11 მუხლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჩანაწერია, ვინაიდან იგი საქართველოს სახელმწიფოსთვის სავალდებულოდ შესასრულებელ ნორმას წარმოადგენს. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და საცხოვრებელი ბინა. პაქტით განსაზღვრული საცხოვრებელი ბინა, არ უნდა განიმარტოს ვინაობა, ვინაიდან იგი თავის თავში მოიაზრებს არა მხოლოდ თავშესაფრის ქონას, არამედ უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრებას. მე-11 მუხლის პირველი პუნქტი გაგებული უნდა იქნეს როგორც სათანადო საცხოვრისის უფლება. სახელმწიფოს ვალდებულება, მოახდინოს საცხოვრისის უფლების სრული რეალიზება მოიცავს უსახლკარობის პრევენციის ვალდებულებასაც. გაეროს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვის კომიტეტის (შემდგომში კომიტეტი) განმარტების თანახმად, უფლება სათანადო საცხოვრისზე არ არის იზოლირებულად მდგომი უფლება და მჭიდრო კავშირშია ადამიანის ღირსების დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებთან.

სათანადო საცხოვრისის უფლებას ცალკე არ გამოყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და

ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) არ მოიცავს სახლით უზრუნველყოფის უფლებას, თუმცა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელსაც უწოდებს სახლს და შეძლებს ღირსეულად ცხოვრებას. კონვენციის მე-8 მუხლი პირდაპირ არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ ყველა უზრუნველყოს სახლით, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა სახელმწიფოს ასეთი პოზიტიური ვალდებულება წარმოეშვას. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, იმ პირებს, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან, სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ისეთი პირობები, რომ მათ შეძლონ პირადი ცხოვრების უფლებით ნორმალური სარგებლობა. სათანადო საცხოვრისის უფლებაზე მითითება პირდაპირ გვხვდება ევროპის გადასინჯულ სოციალურ ქარტიში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. იმავე დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის სამუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

სასამართლო მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლზე, რომლის შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის რატიფიკაციისათვის აუცილებელ დონეს. მიიღონ ზომები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. იმავე ქარტიის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზ-

ნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს უბინაობის პრობლემების თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თანდათანობით აღმოფხვრის მიზნით.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, უსახლკარობის თავიდან აცილებასა და შემცირებას თანდათან მისი აღმოფხვრის მიზნით. რაც შეეხება „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს, მითითებულია, რომ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმფოზესებდეს ცხოვრების პირობებს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ვალდებულია, საცხოვრებლისა და საარსებო საშუალების გარეშე დარჩენილი ქ. ხ-ის ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციით, უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სოციალური სამართლიანობა, რაც ასევე გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანება ბ. ხ-ის და ქ. ხ-ის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს შემდეგს: ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლომ

ბათილად ცნო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანება, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ინვეს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, რომელიც მიღებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. ფაქტობრივი გარემოებებისა და საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ასევე სახეზეა ქ. ხ-ის ოჯახის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ქ. ხ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №66/9 ბრძანება;
5. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 23 ივნისის №867 ბრძანება;
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რომლითაც დაკმაყოფილდება ქ. ხ-ის მოთხოვნა ოჯახის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება;

**თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ
რეგისტრაციისა და თავშესაფრის უზრუნველყოფაზე
უარის თქმის შესახებ აქტის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმთო**

№ბს-567(2კ-22)

23 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 7 მარტს ვ. ჩ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების –
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქალაქ თბილისის მუნიცი-
პალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით 2016 წლის 14 იანვარს განცხადებით მი-
მართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოცია-
ლური მომსახურების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა მისი, როგორც
საცხოვრებლის გარეშე მყოფი პირის რეგისტრაცია, რაზეც 2016 წლის
25 ნოემბრის №569/9 ბრძანებით უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ მო-
სარჩელე ვერ აკმაყოფილებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამ-
ტკიცებული უსახლკარო პირად რეგისტრაციის და თავშესაფარი ფარ-
თით უზრუნველყოფის კრიტერიუმებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიის 2018 წლის 4 იანვრის სხდომაზე დაზუსტდა მოპასუხეთა წრე
და არსებულ მოპასუხებთან ერთად, მოპასუხედ დასახელდა საქარ-
თველოს ფინანსთა სამინისტრო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-
ტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამ-
სახური.

2018 წლის 20 მარტს, ვ. ჩ-ამ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ №225/ნ ბრძანების მე-11 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის ბათილად ცნობა; „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ბათილად ცნობა, კერძოდ სიტყვა „მუდმივის“ ამოღება და ხელახლა ფორმულირება ისე, რომ არ დარღვეულიყო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ პუნქტის ბათილად ცნობა, კერძოდ სიტყვების „განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ“ ამოღება ან მისი ხელახლა ფორმულირება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2016 წლის 25 დეკემბრის №569/9 ბრძანების ბათილად ცნობა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანების ბათილად ცნობა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, მოსარჩელის უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აპრილის სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა პირველი და მეორე სასარჩელო მოთხოვნები და მოითხოვა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის მოსარჩელე ვ. ჩ-

ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის მოსარჩელე ვ. ჩ-ას თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აპრილის სხდომაზე, მოსარჩელემ მესამე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში მოპასუხედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად მიუთითა საქართველოს მთავრობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ივნისის საოქმო განჩინებით №3/1673-17 ადმინისტრაციულ საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ №225/6 ბრძანების მე-11 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ პუნქტის; „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალურად დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე წესის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში დაუშვებლობის გამო.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში, ვ. ჩ-ას სარჩელზე საბოლოო მოპასუხე პირებად განისაზღვრენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური. საბოლოო სასარჩელო მოთხოვნებად კი ჩამოყალიბდა შემდეგი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 ბრძანებისა და „ვ.

ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მოსარჩელის საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, მისთვის საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემის დავალევა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალა სასამართლოს მოცემული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის იმავე წესით გამოქვეყნების უზრუნველყოფა, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 და „ვ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანებები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს დავალა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 14 იანვარს მოსარჩელე ვ. ჩ-ამ თავშესაფრის (საცხოვრებელი ბინის) მიღების მიზნით, მისი უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის განცხადებით

მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს. აღნიშნულ განცხადებაში, მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი ... წლიდან ... წლამდე ცხოვრობდა ...ის ბავშვთა სახლში, ხოლო ბავშვთა სახლის დახურვის შემდგომ მას საცხოვრებელი ბინა არ გააჩნდა. ამასთან, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ვ. ჩ-ას რეგისტრირებული მისამართი არ გააჩნია.

სასამართლომ დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის 2016 წლის 15 ნოემბრის №9 ოქმის მიხედვით, უსახლკარო პირებად რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო კომისიამ უარყოფითი რეკომენდაცია გასცა მოსარჩელე ვ. ჩ-ას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ პუნქტის (ფულადი შემოსავლის არსებობა) დაუკმაყოფილებლობის გამო. აღნიშნული ოქმის საფუძველზე ხსენებული დადგენილებით დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 ბრძანებით, მოსარჩელე ვ. ჩ-ას უარი ეთქვა უსახლკარო პირად რეგისტრაციაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 5 იანვარს მოსარჩელე ვ. ჩ-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და „ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე უსახლკარო პირად რეგისტრაცია მოითხოვა. თუმცა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანებით, მოსარჩელე ვ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ მას ჰქონდა შემოსავალი, რაც საკმარისი იყო ოჯახის საცხოვრებელითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისთვის, რაც დასტურდებოდა საბანკო ანგარიშიდან ამონაწერით.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება გულისხმობს, მათ შორის პირის უფლებას თავისუფლად აირჩიოს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და კონკრეტულ მისამართზე რეგისტრაციის გარეშე განახორციელოს მისთვის საქარ-

თველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები ისე, რომ რეგისტრაციის არ ქონამ არ დააბრკოლოს აღნიშნულ უფლებათა რეალიზაცია.

საქალაქო სასამართლომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ პირის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და შესაბამისად, ასეთი პირის ბინით (თავშესაფრით) უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად, სადავო ნორმატიული აქტი, პირის შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციას ითვალისწინებს, რაც ეწინააღმდეგება „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის აღნიშნულ მუხლს. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ უსახლკარო პირი თავისი შინაარსით გულისხმობს პირს, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ბინა და შესაბამისად მისთვის რეგისტრაციის პირობის დადგენა ფაქტობრივადაც მოკლებულია საფუძველს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ჩ.-ას სარჩელი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში იყო საფუძვლიანი, ვინაიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული სოციალური უფლების, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევას. გასაჩივრებულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ იმ ბავშვების,

რომლებიც ოჯახის მზრუნველობა მოკლებულ პირობებში აღიზარდნენ, სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდგომ საცხოვრებლით და სხვა სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, სახელმწიფოს (თვითმმართველობის ორგანოს) განსაკუთრებულ ვალდებულებას წარმოადგენს, მათი ღირსეული სოციალური ინტეგრაციის მიზნით, რადგან ასეთი პირები მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად საჭიროებენ სათანადო პირობების შექმნას მათი ჯეროვანი სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესი“ ოჯახის მზრუნველობა მოკლებულ პირობებში, შესაბამისი დანებს უზრუნველბაში აღზრდილი ბავშვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის პირობებს, ბავშვის ასაკის დასრულების შემდგომ, ცალკე არ ითვალისწინებს. შესაბამისად, მოცემული კატეგორიის პირებზე ვრცელდება უსახლკარო პირად რეგისტრაციის ზოგადი წესები, რაც დადგენილია აღნიშნული წესით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე უარი ეფუძნებოდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს ჰქონდა შემოსავალი, რაც საკმარისი იყო საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისთვის და განიმარტა, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს მოთხოვნათა იმპერატიულ ჩამონათვალს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ფიზიკური პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველს. ხსენებულ შემთხვევაში კანონმდებლის განზრახულობის გათვალისწინებით პირის შემოსავლად არ შეიძლება განხილულ ყოფილიყო სოციალური დახმარების სახით მიღებული თანხები, კერძოდ, საცხოვრებელი ფართის ქირავნობისა და საარსებო მინიმუმისთვის განკუთვნილი თანხა.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულა. კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ისე გამოსცეს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევიან საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტისას არ შეუსწავლიათ მოსარჩელე ვ. ჩ.-ას ოჯახის მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლში აღზრდის საკითხი და შესაბამისად არ უმსჯელია საკითხის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გადან-

ყვეტის თაობაზე. ამასთან, მოპასუხე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას არ გამოუკვლევიათ, არ უმსჯელიათ და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში არ გადმოუციათ მსჯელობა იმის თაობაზე, საკმარისი იყო, თუ არა მოსარჩელე ვ. ჩ-ას დადასტურებული შემოსავლები საცხოვრებელი უზრუნველყოფისა და მისი ღირსეული ყოფისათვის.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნები მისი უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მისთვის, საკუთრებაში საცხოვრებელი ბინის (თავშესაფრის) გადაცემის დავალების თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ცნო ბათილად ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდგომ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომლებმაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემ-

ბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე რომლის თანახმად, ფიზიკური პირი (შემდგომში – პირი) უსახლკაროდ დარეგისტრირდება, თუ ის აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს, მათ შორის, 2015 წლის 27 ნოემბრამდე რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი დაიბადა 2015 წლის 27 ნოემბრის შემდეგ).

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ იმ ბავშვების, რომლებიც ოჯახის მზრუნველობა მოკლებულ პირობებში აღიზარდნენ, სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდგომ საცხოვრებელი და სხვა სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, სახელმწიფოს (თვითმმართველობის ორგანოს) განსაკუთრებულ ვალდებულებას წარმოადგენს, მათი ღირსეული სოციალური ინტეგრაციის მიზნით, რადგან ასეთი პირები მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად საჭიროებენ სათანადო პირობების შექმნას მათი ჯეროვანი სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის ასაკის დასრულების შემდგომ, პირის სოციალური ინტეგრაციის მიზნით, მინიმალური, მათ შორის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ვალდებულება სახელმწიფოს (თვითმმართველობის ორგანოს) აკისრია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი იყო საფუძვლიანი, ვინაიდან მოსარჩელის განცხადებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტას ექმნებოდა სამართლებრივი დაბრკოლება და ზიანი ადგებოდა მის კანონიერ უფლებას.

სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 27 ნოემბრამდე რეგისტრაციის ფაქტის არსებობა ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ თავიდან ყოფილიყო არიდებული სხვა თვით-

მმართველი ერთეულებიდან მოქალაქეთა მიგრაციის საკითხი, თუმცა მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ნორმის აღნიშნული სახით ფორმულირება იწვევს იმ მოქალაქეთა კონსტიტუციითა და ზემოაღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვას, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ რეგისტრაციის ადგილი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს მოთხოვნათა იმპერატიულ ჩამონათვალს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ფიზიკური პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველს. პალატამ მიიჩნია, რომ ხსენებულ შემთხვევაში კანონმდებლის განზრახულობის გათვალისწინებით პირის შემოსავლად არ შეიძლება განხილულ ყოფილიყო სოციალური დახმარების სახით მიღებული თანხები, კერძოდ, საცხოვრებელი ფართის ქირავნობისა და საარსებო მინიმუმისთვის განკუთვნილი თანხა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს უარი პირთა უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე ეფუძნებოდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ვ. ჩ.-ას მიღებული ჰქონდა შემოსავალი, რაც საკმარისი იყო საცხოვრებელითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისთვის. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესზე“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის დებულებაზე“ მითითებით აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ მოთხოვნათა იმპერატიულ ჩამონათვალს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ფიზიკური პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველს. შესაბამისად, არსებულ მოთხოვნათაგან თუნდაც ერთ-ერთის არ არსებობა გამოიწვევს განმცხადებლისთვის უსახლკაროდ რეგისტრაციაზე უარის თქმას. განსა-

ხილველ შემთხვევაში კი, მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი, სწორედ ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის გამო რომელიც უსახლკარო პირის ცნებას უკავშირებს პირის შემოსავლის არ არსებობის ფაქტს და უსახლკაროდ პირთა რეგისტრაციისა და საცხოვრისით დაკმაყოფილების მექანიზმიდან ბლანკეტურად გამორიცხავს პირთა იმ წრეს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღნიშნულ კრიტერიუმს.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქმეში არსებული სს „ლ...ს“ 2016 წლის 5 ივლისის ანგარიშის ამონაწერებში ასახული იყო 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე ვ. ჩ-ას სრული საშემოსავლო ინფორმაცია. ამასთან საქმეში წარმოდგენილი იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის 2016 წლის 15 ნოემბრის №9 ოქმი, რომლის თანახმად ვ. ჩ-ას დებეტს შეადგენდა – 6633.48 ლარი, კრედიტს – 6701.25 ლარი, ხოლო ნაშოს – 379.73 ლარი. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, მოსარჩელემ თავად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე აღნიშნა, რომ დასაქმებული იყო თბილისის ...ში და ...ში, შესაბამისად იღებდა ყოველთვიურ შრომით ანაზღაურებას. მერიის მოსაზრებით, აღნიშნული მონაცემების ერთობლიობა იძლეოდა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ვ. ჩ-ას შემოსავალი ერთობლიობაში საკმარისი იყო საცხოვრებელითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისთვის.

გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოების მხრიდან არასწორად იქნა გამოყენებული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ვინაიდან არ არსებობს მტკიცებულება და გარემოება, რომელიც შეიძლება დამატებით გამოიკვეთოს ან/და წარმოიქმნას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

კასატორი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიიჩნევს, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვეს ის საკითხი, თუ რა ზიანი ადგებოდა მოსარჩელეს საკრებულოს მიერ გამოცემული ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით, რომელმაც რეალურად დაარეგულირა უსახლკარო პირად რეგისტრაციის პროცედურები ქალაქ თბილისში და არ მიუყენებია ზიანი ვ. ჩ-ას ინტერესებისთვის.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლოებმა გვერდი აუარეს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უკეთ მართვისთვის იგი დაყოფილია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებად. ადგილობრივი ხელისუფლება მართავს კონკრეტულ საზღვრებში არსებულ ტე-

რიტორიას, არეგულირებს იქ მცხოვრებ პირებთან ურთიერთობებს და კანონმდებლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებით. კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმატიული აქტი არის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული აქტი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში და იქ მცხოვრებ პირებთან მიმართებაში. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ იმსჯელეს იმ გარემოებაზე, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიეყვანა კონკრეტული ადგილობრივი ხელისუფლება, სადავო ნორმის ბათილად ცნობას.

კასატორმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა არა გასაჩივრებული ნორმატიული აქტის სადავოდ გამხდარი პუნქტი, არამედ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დაუკმაყოფილებლობა, აღნიშნული ქვეპუნქტი კი მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 23 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 16 ნოემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილე-

ბით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ჩ-ას სარჩელი ზემოაღნიშნულ ნაწილში არ დაკმაყოფილდება. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა სასამართლოს მოცემული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის იმავე წესით გამოქვეყნების უზრუნველყოფა, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 და „ვ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანებები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს დაევალა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ. მოწინააღმდეგე მხარეს – ვ. ჩ-ას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ფარგლებში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება უნდა შეამოწმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობისა და მისი გამოქვეყნების, ასევე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად „ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 და „ვ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანებების ბათილად ცნობის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის და-ვლების კანონიერების ნაწილში.

დადგენილია, რომ 2016 წლის 14 იანვარს მოსარჩელე ვ. ჩ-ამ თავშესაფრის (საცხოვრებელი ბინის) მიღების მიზნით, მისი უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და მიუთითა, რომ იგი ... წლიდან, ... წლამდე ცხოვრობდა ...ში, ხოლო ბავშვთა სახლის დახურვის შემდგომ მას საცხოვრებელი ბინა არ გააჩნდა. ამასთან, დადგენილია, რომ მოსარჩელე ვ. ჩ-ას რეგისტრირებული მისამართი არ გააჩნია.

ასევე დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის 2016 წლის 15 ნოემბრის №9 ოქმის მიხედვით, უსახ-

ლკარო პირებად რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო კომისიამ უარყოფითი რეკომენდაცია გასცა მოსარჩელე ვ. ჩ-ას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ პუნქტის (ფულადი შემოსავლის არსებობა) დაუკმაყოფილებლობის გამო. ხოლო, აღნიშნული ოქმის საფუძველზე ხსენებული დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 ბრძანებით, მოსარჩელე ვ. ჩ-ას უარი ეთქვა უსახლკარო პირად რეგისტრაციაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ 2017 წლის 5 იანვარს ვ. ჩ-ამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და „ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 ბრძანების ბათილად ცნობა და უსახლკარო პირად რეგისტრაცია მოითხოვა. თუმცა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანებით, მოსარჩელე ვ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველზე, რომ მას ჰქონდა შემოსავალი, რაც საკმარისი იყო ოჯახის საცხოვრებელითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისთვის, რაც დასტურდებოდა საბანკო ანგარიშიდან ამონაწერით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებზე, რომლებიც საქართველოს განსაზღვრავს სოციალურ სახელმწიფოდ, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. ასევე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. ამავდროულად მე-4 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის შემცველ დანაწესს კი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის №1324 ამოქმედებამდე, შეიცავ-

და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში მოყვანილ შემდეგ სამართლებრივ მსჯელობაზე: „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შეძლებისდაგვარად თანაბარ ზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნა. ეს მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, არ არის სრულად მიღწევადი და უზინარესად, წარმოადგენს მუდმივ ამოცანას და ზრუნვის საგანს სახელმწიფოსათვის. ... საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი წინადადება არის სახელმწიფოს მიზნის დამდგენი ნორმა, რომელიც არ არის მოვალეობა, მაგრამ ამავედროულად, არ არის მხოლოდ დეკლარაციული და პროგრამული დანაწესი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20).

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ყველა ადამიანის უფლებას ცხოვრების სტანდარტზე, რომელიც ადეკვატურია მისი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის, მათ შორის, საცხოვრისის ჩათვლით. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პაქტის ხელშემკვერელი სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების ადეკვატური დონე, მათ შორის, საცხოვრისის ჩათვლით. ამ უფლების რეალიზების უზრუნველსაყოფად ხელშემკვერელმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა შესაბამისი ღონისძიება, აღიარებენ რა, ამ მხრივ, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნული რეგულაციები ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს საკუთარი მოქალაქეების ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის პროცესში და მას გარკვეულწილად ავალებს შესაბამისი რესურსის გათვალისწინებით, მოქალაქეებისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, მათი საცხოვრებელი უზრუნველყოფას.

სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველო მფარვე-

ლობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა. (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-13 მუხლი). ხოლო, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 22-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ამავე კოდექსის 60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად კი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ხოლო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს ანესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამოჯენა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. (მსგავსი შინაარსის სამართლებრივი ნორმა გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით). საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები კი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვით-

მმართველი ერთეულის უფლებამოსილებები გამიჯნულია. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია კანონმდებლობის დაცვით თავისი ინიციატივით მიიღოს გადამწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ან ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას და რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც კანონით არ გამოირიცხება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებიდან, ამავე მუხლის მე-3-მე-4 პუნქტები კი ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების ორ სახეს – საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს (მსგავსი შინაარსის სამართლებრივი ნორმები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 101² მუხლით).

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები სრული და ექსკლუზიურია. ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი კი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებად განსაზღვრავს უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფასა და რეგისტრაციას.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-1 16 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ფიზიკური პირის უსახლკაროდ რეგისტრირების ერთ-ერთ კრიტერიუმად განსაზღვრავს მისი 2015 წლის 27 ნოემბრამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი დაიბადა 2015 წლის 27 ნოემბრის შემდეგ). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასახელებული წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით უსახლკარო სტატუ-

სის მაძიებელი პირის უსახლკარო პირად დარეგისტრირებისთვის გათვალისწინებული კრიტერიუმი შეიცვალა და განისაზღვრა, რომ რეგისტრაციის მსურველი პირი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში და უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის უწყვეტად უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათ შორის, ისეთი პირი, რომელსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №25-28 დადგენილების მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილება. ხოლო №25-28 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრა, რომ უსახლკარო პირად რეგისტრაციისათვის პირი რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 60¹ მუხლებზე და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება განსხვავებული წინაპირობების საფუძველზე და წარმოშობს განსხვავებულ შედეგებს, ამასთან განსხვავებული შეიძლება იყოს აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღებიც. კერძოდ, დასახელებული კოდექსის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამავე კოდექსის 60¹-ე მუხლის მე-7 ნაწილი კი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის შესაძლებლობას მისი ძალაში შესვლის დღიდან, მისი ბათილად ცნობის დღიდან ან მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015

ნლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობა არ გამოორიცხავს აღნიშნული დადგენილების ან მისი რომელიმე ნაწილის (ამ შემთხვევაში №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) ბათილად ცნობის მიმართ ფიზიკური პირის ინტერესს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ძალადაკარგულ დადგენილებაში მოცემული სადავო მონესრიგების მსგავსი ნორმა ამჟამად ძალაში მყოფი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №25-28 დადგენილებითაც არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადგილობრივი საკითხების უფრო სწრაფი და ეფექტური მონესრიგების მიზნით მუნიციპალიტეტებს განსაზღვრული აქვთ როგორც საკუთარი უფლებამოსილებები, ასევე გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი საჭიროების გამოკვეთისას, სახელმწიფო მათზე დამატებით ახდენს მატერიალური რესურსის გადაცემის შედეგად უფლებამოსილებების დელეგირებას, რაც მუნიციპალიტეტებს აძლევს გარკვეულ დამოუკიდებლობას და მის ქვემდებარედ არსებული საკითხების მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე მონესრიგების შესაძლებლობას. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მონესრიგებას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით (აღნიშნულ საკითხს ამჟამად არეგულირებს 2023 წლის 19 მაისის №25-28 დადგენილება) დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესი“.

ზემოაღნიშნული წესი, უსახლკაროდ პირის რეგისტრაციისთვის გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილებას, მათ შორის ქალაქ თბილისში დარეგისტრირების აუცილებლობას ითვალისწინებს, რაც არ შეიძლება იქნეს მიჩნეული უკანონო დანაწესად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის მონესრიგების ფარგლებში მიღებული რეგულაცია ბათილად შესაძლოა იქნეს ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი არ არის კანონიერი და ფიზიკურ პირს აყენებს პირდაპირ და უშუალო ზიანს, თუმცა განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება ასეთი ზიანის მიყენების ფაქტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტები არ არიან შეზღუდულნი მათი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში იმსჯელონ დაინტერესებული პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე და თითოეულმა პირმა, რომელსაც შესაბამისი რეგისტრაციის სურვილი აქვს უნდა მიმართოს სწორედ იმ მუნი-

ციპალიტეტს, რომლის ტერიტორიაზეც არის რეგისტრირებული. უსახლკარო პირად რეგისტრაციის შემთხვევაში, თუ პირი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, იგი შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული საცხოვრისით/თავშესაფრით. ამდენად, მუნიციპალიტეტების რესურსების სწორად გადანაწილების და მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის ინტერესების დაცვის, ასევე ერთი თვითმმართველი ერთეულიდან სხვა თვითმმართველ ერთეულში მოსახლეობის გადინების თავიდან არიდების მიზნით, საკითხის სამართლიან გადანაწევტას წარმოადგენს შესაბამისი სტატუსის მოპოვების საკითხის დაკავშირება იმ ტერიტორიასთან, სადაც ფიზიკური პირი არის რეგისტრირებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმის ფართოდ განმარტებას საჭიროებს ისეთი შემთხვევა, როდესაც უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი პირი არ არის რეგისტრირებული არცერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში, რეგისტრაციის არმქონე პირს უსახლკარო პირად რეგისტრაციაზე შესაძლოა უარი უთხრას ყველა მუნიციპალიტეტმა და პირს წაერთვას საკუთარი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს მიაყენებს დაინტერესებულ პირს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში (მე-4 მუხლი). სწორედ ხელისუფლების დანაწილება უზრუნველყოფს სახელმწიფო ფუნქციების გონივრულ დიფერენციაციასა და ინსტიტუციურ გამიჯვნას. ადმინისტრაციული ორგანოები მოქმედებენ მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მათთვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, რაც, როგორც წესი, გულისხმობს სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებების მკვეთრად გამიჯვნასა და ინდივიდუალიზაციას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მმართველობითი ფუნქციის განხორციელების პროცესში, მაგრამ სასამართლო ვერ დაავალებს იმ ქმედების განხორციელებას, რომელიც არ გამოდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან და არ წარმოადგენს ამ ორგანოს კანონისმიერ ვალდებულებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სადავო დადგენილებით (აღნიშნული საკითხი ამჟამად რეგულირდება 2023 წლის 19 მაისის №25-28 დადგენილებით) გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის მოთხოვნით რეგისტრაციის არმქონე პირის მოთხოვნა იქნება წარდგენილი, საკითხის განმხილველმა კომისი-

ამ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიკვლიოს და მხედველობაში მიიღოს არარეგისტრირებული პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, მისი კავშირი ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილთან, ოჯახური და იმავე სოციალური გარემოს შენარჩუნების მნიშვნელობა, წარსულში რეგისტრაციის არსებობის და რეგისტრაციის გაუქმების ფაქტები, ასევე დაადგინოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი, ასეთის არსებობის შემთხვევაში და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო საკანონმდებლო ჩანაწერი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ უსახლკაროდ რეგისტრაციის მოთხოვნის არარეგისტრირებული პირის მიერ წარდგენის შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად დადგინდება, რომ რეგისტრაციის არმქონე დაინტერესებული პირის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და იგი აკმაყოფილებს დადგენილებით განსაზღვრულ სხვა კრიტერიუმებს, მხოლოდ რეგისტრაციის ადგილის არქონის გამო, დაინტერესებულ პირს არ უნდა ეთქვას უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტთან წინააღმდეგობრიობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასახელებული კანონის მუხლის თანახმად, რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, მათ შორის საკუთრების განკარგვის უფლების შეზღუდვის საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამდენად, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის მქონე პირთათვის, უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის დაკავშირება მათი რეგისტრაციის ადგილმდებარეობასთან, გამომდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციის ეფექტურად განხორციელების აუცილებლობიდან, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღ-

ნიშნული პირის უფლებებში არათანაზომიერ ჩარევად.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე... აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას... საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა“ (სუსგ №ბს-246-243(კ-14), 23.09.2014).

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შე-სახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოცია-ლური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 და ვ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფი-ლებაზე უარის თქმის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანებების საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბა-მისად ბათილად ცნობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტე-რიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვ-რისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილი-სის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომელიც ფიზიკური პირის უსახლკაროდ დარეგის-ტრირების ერთ-ერთ კრიტერიუმად განსაზღვრულია შემდეგი: „არ აქვს შემოსავალი, ან შემოსავლის არსებობის შემთხვევაში პირი ასაბუთებს, რომ აღნიშნული შემოსავალი სხვა ქონებასთან ერთობლიობაში არ არის საკმარისი საცხოვრებელითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფი-სათვის ან არსებული შემოსავალი არ აღემატება „ქალაქ თბილისის მუ-ნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრე-ული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის გან-ხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-23 დადგენილე-ბით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართის ქირავნობის თანხისა და საარსებო მინიმუმის (განაცხადში მითითებული ოჯახის წევრიდან ორი და მეტი პირის შემთხვევაში საარსებო მინიმუმის თანხების ჯამს) თანხის ერთობლიობას“.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ვ. ჩ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფარ-თით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ **ქვე**პუნ-ქტის (ფულადი შემოსავლის არსებობა) დაუკმაყოფილებლობის გამო. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლო-ების მსჯელობას, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს მოთხოვნათა იმ-პერატიულ ჩამონათვალს, რომელითა ერთობლიობა ქმნის ფიზიკური პი-რის უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველს, ხოლო განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს უარი მოსარჩელის უსახლკა-როდ რეგისტრაციის თაობაზე ეფუძნებოდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მას მიღებული ჰქონდა შემოსავალი, რაც საკმარისი იყო საცხოვ-რებელითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისთვის, ისე რომ ად-

მინისტრაციული ორგანოს მიერ სრულყოფილად არ ყოფილა შესწავლილი და გამოკვლეული საქმის გარემოებები, მათ შორის მოსარჩელე ვ. ჩ-ას ოჯახის მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლში აღზრდის საკითხი, ამასთან ორგანოს არ უმსჯელია თუ რამდენად საკმარისი იყო ვ. ჩ-ას დადასტურებული შემოსავლები საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და მისი ღირსეული ყოფისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან არსებობს ვ. ჩ-ას უსახლკარო პირად რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, თანამდევნი შედეგის სახით ბათილია მასზე საჩივრის წარდგენის შედეგად, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს და ეთანხმება ქვედა ინსტანციების სასამართლოების დასკვნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის 2016 წლის 25 ნოემბრის №569/9 და ვ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 მაისის №1-1215 ბრძანებების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ბათილად ცნობის ნაწილში და მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები). ხოლო, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ვ. ჩ-ას სარჩელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უსახლკარო ოჯახად დარეგისტრირების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1003(კ-23)

20 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. გ-იმა და ვ. ბ-იმა 2022 წლის 14 აპრილს სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის №1501213362375 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის №102 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელეთა მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისათვის, ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა.

სარჩელის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის №15-01213362375 წერილით/გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ 2021 წლის 04 ნოემბრის №19/01213081369-15 განცხადებით მოთხოვნილ უსახლკაროდ რეგისტრაციაზე და საფუძვლად განემარტათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ნოემბრის №37-14 დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით

დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახი უსახლკარო ოჯახად დარეგისტრირდება, თუ კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ადმინისტრაციული ორგანოს უარი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის № 15-01213362375 გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მიერ ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა ზემდგომ ორგანოში. საჩივარზე უარი, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის № 102 ბრძანება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის № 1501213362375 გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მიერ სასარჩელო წესით სადავო გახდა სასამართლოში.

მოსარჩელის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს უარის დასაბუთება მხოლოდ იმ მსჯელობაზე, რომ ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოადგენდეს უსახლკაროდ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, ვინაიდან ოჯახი შედგება სულ ორი წევრისგან და საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მათ სასარგებლოდ. კასატორთა წარმომადგენელი ასევე გასათვალისწინებლად მიიჩნევს, რომ ა. გ-ი არის უსინათლო შშმ პირი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით ა. გ-ისა და ვ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობით განცხადება უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე, წარდგენილი იყო ოჯახის ორი წევრის მიერ, მათგან ერთის რეგისტრაციის ადგილი არ იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუ-

ნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილებების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან, შესაბამისად სადავო 2021 წლის 2 დეკემბრის №15-01213362375 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და 2022 წლის 28 თებერვლის №102 ბრძანების გამოცემისას სახეზე არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელეთა მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესზე“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №19.225.312 განკარგულებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის დებულებაზე“ და განმარტა, რომ კომისიამ არ განიხილა განაცხადი და აცნობა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ვინაიდან განმცხადებელთა მიერ წარდგენილი მოთხოვნა არ აკმაყოფილებდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავედროულად უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერი-

ტორიაზე. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განმცხადებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მართებულობის შესახებ და განმარტა, რომ ვინაიდან განცხადება უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე, წარდგენილი იყო ოჯახის ორი წევრის მიერ, მათგან ერთის რეგისტრაციის ადგილი კი არ არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, მიიჩნია, რომ სახეზეა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ა. გ-ისა და ვ. ბ-ის მიერ.

კასატორები არ იზიარებენ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას და უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველად მითითებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ნოემბრის №37-14 დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე აპელირებით განმარტავენ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, იმ არგუმენტის გარდა, კერძოდ, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვა გარემოება სადავოდ არ გაუხდია. აღნიშნული გარემოება კი კასატორთა განმარტებით უსაფუძვლოა, ვინაიდან ოჯახი შედგება სულ ორი წევრისაგან. ოჯახის ერთი წევრი რეგისტრირებულია ქალაქ თბილისში, ხოლო მეორე წევრი რუსთავეში სადაც ფაქტობრივად არაფერი გააჩნია და ორივე ცხოვრობს თბილისში, არიან სოციალურად დაუცველები, არ აქვთ საცხოვრებელი. წარმომადგენელი გასათვალისწინებლად მიიჩნევს, რომ კასატორი – ა. გ-ი არის შშმ პირი, მკვეთრად გამოხატული უსინათლო. ამდენად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფარგლებში ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 ივნისის განჩინების გაუქმებას და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბა-

მისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. გ-ისა და ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ა. გ-ის და ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. გ-ისა და ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის №1501213362375 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის №102 ბრძანების კანონშესაბამისობა.

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2021 წლის 4 ნოემბერს, ა. გ-იმამეულესთან ვ. ბ-თან ერთად, №19/01213081369-15 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას და უსახლკარო ოჯახად რეგისტრაცია მოითხოვა. წარდგენილი განაცხადის თანახმად, ა. გ-ის რეგისტრაციის მისამართია – თბილისი, ...ს ქუჩა ..., ოჯახის ფაქტობრივ მისამართად მითითებულია – რუსთავი, მე-... მ/რ, მე-... კორპუსი, ბინა №.... ამონაწერის თანახმად, ვ. ბ-ის მისამართად მითითებულია რუსთავი, ...ს ქუჩა კორპუსი №..., ბინა №....

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათის თანახმად, 2008 წლის 29 მაისიდან ა. გ-ის რეგისტრაციის მისამართია – თბილისი, ...ს ქუჩა №....

დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა განიხილა 2021 წლის 4 ნოემბრის №19/01213081369-15 განცხადება ა. გ-ისა და ვ. ბ-ის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე და სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის №15-

01213362375 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აცნობა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ განაცხადი არ აკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმს და დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და აღნიშნულის არგუმენტით კომისიამ არ განიხილა განაცხადი. შესაბამისად, განმცხადებელს აცნობა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

დადგენილია, რომ 2022 წლის 24 იანვარს ა. გ-იმა №19/01220242405-01 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური 2021 წლის 2 დეკემბრის №15-01213362375 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის №102 ბრძანებით, 2022 წლის 24 იანვრის №19/01220242405-01 ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის №15-01213362375 გადაწყვეტილება.

საქმეში წარმოდგენილია სსიპ სოციალური მოსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური სამსახურის საქალაქო ცენტრის 2022 წლის 02 თებერვლის №04-00-ი/1525 ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ ა. გ-ის აქვს სოციალური პაკეტი, როგორც მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს, უვადოდ, თვეში 275 ლარის ოდენობით.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის უფლებას წარმოშობს კონკრეტული საკანონმდებლო ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი მდგომარეობა, საკასაციო საჩივარზე მსჯელობის მიზნით, პალატა დეტალურად მიუთითებს საკითხისად-

მი რელევანტურ რეგულაცი(ებ)ას, როგორც ოჯახის ერთი წევრის რეგისტრაციის, ასევე ოჯახის მეორე წევრის რეგისტრაციის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, აღნიშნულით კი, საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთად დადგინდება სადავო პერიოდში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმის პირობებში, რამდენად ლეგიტიმური იყო ადმინისტრაციულ ორგანოში ა. გ-ისა და ვ. ბ-ის მიერ, 2021 წლის 04 ნოემბრის №19/01213081369-15 განცხადებით დაფიქსირებული მოთხოვნა უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე და შესაბამისად, კანონშესაბამისია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს უარი მითითებული საფუძვლით.

პირველყოვლისა საკასაციო პალატა მიუთითებს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კანონის პირველი და მე-2 მუხლების თანახმად, კანონის მიზანია სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს. კანონი ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ლატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული რეგულაციის მე-4 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტში განიმარტა უსახლკარო პირი განსაზღვრება, კერძოდ, უსახლკარო პირი არის მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო. მე-5 მუხლის ჩანაწერის გათვალისწინებით, კანონის ძირითადი პრინციპებია: – სოციალური დახმარების, როგორც საჭიროების შეფასებაზე დაფუძნებული სახელმწიფო მხარდაჭერის, მაგრამ არა კანონით გარანტირებული უპირობო უფლების, აღიარება; სოციალური დახმარების სისტემის მეშვეობით სათანადო რესურსების მიზანმიმართული გადანაწილება სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ლატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე; სოციალური მომსახურების ალტერნატიული სახეების განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ცალსახადაა გაცხადებული სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ცნება, რაც გულისხმობს კანონის უზენაესობას, ადამიანის ღირსების,

ხელშეუვალობისა და მისი ღირსეული ყოფისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას. კონსტიტუციის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ დეკლარაციული, პროგრამული დებულებების შემუშავება. კონსტიტუცია ადგენს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ძირითად პრინციპებს, ხოლო რაც შეეხება ამ პრინციპებისა და მიზნების მიღწევის საშუალებებს ფორმულირებულია ცალკეულ კანონებში.

სოციალური სახელმწიფოს მიზანია მოქალაქეებისათვის გაჭირვებისა და სიღარიბის შემთხვევაში დახმარებისა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა. სახელმწიფოს, მართალია, არ ეკისრება საზოგადოებაში ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევა, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს მის ვალდებულებას შექმნას ის მინიმალური პირობები, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების ღირსეულ ყოფას და რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს კანონიერების პრინციპს. სწორედ აღნიშნული პრინციპია გატარებული „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში, სადაც საუბარია სოციალური დახმარების საჭიროების შეფასებაზე. ნორმა არ იძლევა გადაწყვეტილების ადმინისტრაციული ორგანოს შეხედულებაზე დაფუძნების შესაძლებლობას, ნორმის მოთხოვნაა, შეფასდეს დახმარების საჭიროება და თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე გადაწყდეს სოციალური დახმარების განევის შესაძლებლობა. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით ასევე გათვალისწინებულია, რომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში და უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ №19/01213081369-15 (04.11.2021 წელი) განცხადებით წარდგენილ მოთხოვნაზე – უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე, უარი დააფუძნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), სადაც მითითებულია, რომ უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახი უსახლკარო ოჯახად დარეგისტრირდება, თუ კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავედროულად უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2021 წლის 04 ნოემბერს №19/01213081369-15 განმცხადებელთა ოჯახი სულ ორი წევრისგან შედგება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათით დადგენილია, რომ ოჯახის ერთი წევრის – ა. გ-ის რეგისტრაციის მისამართი არის თბილისი, ...ს ქუჩა №..., ხოლო ვ. ბ-ის მისამართად მითითებულია რუსთავი, ...ს ქუჩა კორპუსი №..., ბინა №....

საკასაციო პალატა აქვე მიუთითებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №83 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესზე“ (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) რომლის მეორე მუხლის თანახმად, აღნიშნული წესი განსაზღვრავს რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებსა და საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობებს, საცხოვრისით მოსარგებლე პირების მონიტორინგის პროცედურებს. ამავე წესის მე-2 მუხლით განვიხილავთ უსახლკარო პირთა რეგისტრაციის პროცედურები, ხოლო მუხლის მე-5 ნაწილით დარეგულირებულია ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება უსახლკარო პირების რეგისტრაციას. მე-2 მუხლის მე-5 ნაწილით, სხვა შემზღუდველ გარემოებებთან ერთად მითითებულია, რომ უსახლკარო პირის რეგისტრაცია არ განხორციელდება ან გაუქმდება, თუ თავშესაფრის მაძიებელი პირი რეგისტრირებულია სხვა მუნიციპალიტეტში (წესის 2.5 „დ“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის მსურველთა ოჯახის ერთი წევრის – ვ. ბ-ის მისამართად მითითებულია რუსთავი, ...ს ქუჩა კორპუსი №..., ბინა №..., ხოლო ოჯახის მეორე წევრის – ა. გ-ის რეგისტრაციის მისამართი არის თბილისი, ...ს ქუჩა №....

მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისა და საკანონმდებლო რეგულაციის არსებობის პირობებში, კერძოდ იმ პირობებში, როდესაც ოჯახი შედგება სულ ორი წევრისაგან, რომლის ერთი წევრი (ა. გ-ი) რეგისტრირებულია ქალაქ თბილისში, ხოლო მეორე წევრი (ვ. ბ-ი) ქალაქ რუსთავში, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისათვის კანონმდებლობა (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) აწესებს – ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო პირის სტატუსის მიჩნევის მომენტისათვის რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისათვის შემზღუდველ გარემოებად მიიჩნევა თუ თავ-

შესაფრის მაძიებელი პირი რეგისტრირებულია სხვა მუნიციპალიტეტში, ამდენად, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე 2021 წლის 2 დეკემბრის №15-01213362375 აქტით გაცემულ უარს და სამართლებრივ ნაწილში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მითითებას. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-246-243(კ-14)). საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების საშუალება და ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში, რა დროსაც უნდა დადგინდეს კანონმდებლის ნება. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით, რისი საშუალებითაც ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმა შესაძლოა ვერ გაითვალისწინოს კონკრეტული ურთიერთობის გადაწყვეტის ყველა შესაძლო მოდელი, ამასთანავე, კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურობდეს ამ კანონის მიზნის მიღწევას. კანონის განმარტების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ტელეოლოგიური განმარტება, რომელიც შეეხება სამართლის ნორმის დამოკიდებულებას სამართლებრივი უსაფრთხოების, თა-

ნასწორებისა და მიზანშეწონილობის პრინციპების მიმართ. ფართო გაგებით, კანონის განმარტების მეთოდებს განეკუთვნება სამართლის ნორმათა განვრცობა იმ შემთხვევებზე, რომლებიც კანონმდებლის მიერ არ იქნა გათვალისწინებული. ტელეოლოგიური განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის ობიექტური მიზნის განსაზღვრას. ნორმის მიზნის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმის შეფარდების პროცესში. „ნორმის ბუნდოვანობა მისი არაკონსტიტუციურობის ზღვარზე არ გადის მანამ, სანამ მისი გონივრული განმარტება იურიდიული მეთოდოლოგიით შესაძლებელია ისე, რომ საკმარისი დამაჯერებლობით ცხადი და თვალსაჩინო გახდეს ამ ნორმით მონესრიგებული ურთიერთობების ნამდვილი არსი, ამ თვალსაზრისით, ნორმის კონსტიტუციურობის შესაფასებლად პირველ რიგში, უნდა გაირკვეს მისი შინაარსი. ამისათვის აუცილებელია ნორმის განმარტება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.12.2007წ. გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/407 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ე. ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16) ამდენად, ტელეოლოგიური ანუ მიზნობრივი განმარტებისას მნიშვნელოვანია კანონის განმარტება ამ ნორმის მიზნიდან გამომდინარე, იმის გარკვევა, რას ისახავდა ეს ნორმა მიზნად.

ნორმის მიზნობრივი ინტერპრეტაცია ეფუძნება იმ პრინციპს, რომ სამართლებრივი რეგულაცია უნდა აიხსნას და განიმარტოს იმ სოციალური მიზნისა და ღირებულების შუქზე, რომლისთვისაც ის იქნა მიღებული. ამ მეთოდით განმარტებისას პრიორიტეტულად მიიჩნევა ნორმის რეალური ფუნქცია და შედეგი, და არა მხოლოდ მისი სიტყვასიტყვითი ფორმულირება. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმა, სწორედ იმ ტიპის შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც სიტყვასიტყვითი განმარტება არ იძლევა რაციონალურ და სამართლიან შედეგს, და საჭიროებს მიზნობრივად ორიენტირებულ მიდგომას.

კერძოდ, სადავო ნორმის თანახმად, უსახლკარო სტატუსის მქონე ბელი ოჯახი უსახლკარო ოჯახად დარეგისტრირდება, თუ კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მითითებული ნორმის მიზანია უზრუნველყოს უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭება და შემდგომ დახმარება იმ პირებისთვის, რომლებიც რეალურად საჭიროებენ საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რაც ორწევრიან ოჯახში, ერთი წევრის სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შემთხვევაში, ფაქტობრი-

ვად შეუძლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ უსახლკაროდ რეგისტრაციისა და შემდგომ თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქე, ამის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თითოეული უსახლკაროდ რეგისტრაციის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების სრულყოფილად შესწავლა, მათი განხილვა და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულყოფილად უნდა განხორციელდეს კომპეტენციის ფარგლებში განსახილველი საკითხის გამოკვლევა, აუცილებელია დეტალური ინფორმაცია ჰქონდეთ იმ პირების შესახებ, ვინც არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან სათანადო საცხოვრისის მხრივ, მათ შორის განსაკუთრებულ კატეგორიას უსახლკარო პირები წარმოადგენენ, ვინაიდან ეჭვქვეშ დგება მათი უსაფრთხო, მშვიდობიანი და ღირსეული ცხოვრების პირობები.

დავის საგნის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სათანადო საცხოვრისის უფლება აღიარებულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებით, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში პაქტი) მე-11 მუხლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჩანაწერია, ვინაიდან იგი საქართველოს სახელმწიფოსთვის სავალდებულოდ შესასრულებელ ნორმას წარმოადგენს. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და საცხოვრებელი ბინა. პაქტით განსაზღვრული საცხოვრებელი ბინა, არ უნდა განიმარტოს ვინ როდ, ვინაიდან იგი თავის თავში მოიაზრებს არა მხოლოდ თავშესაფრის ქონას, არამედ უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრებას. მე-11 მუხლის პირველი პუნქტი გაგებული უნდა იქნეს როგორც სათანადო საცხოვრისის უფლება. სახელმწიფოს ვალდებულება, მოახდინოს საცხოვრისის უფლების სრული რეალიზება მოიცავს უსახლკარობის პრევენციის ვალდებულებასაც. გაეროს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვის კომიტეტის (შემდგომში კომიტეტი) განმარტების თანახმად, უფლება სათანადო საცხოვრისზე არ არის იზოლირებულად მდგომი უფლება და მჭიდრო კავშირშია ადამიანის ღირ-

სების დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებთან.

სათანადო საცხოვრისის უფლებას ცალკე არ გამოყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) არ მოიცავს სახლით უზრუნველყოფის უფლებას, თუმცა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელსაც უწოდებს სახლს და შეძლებს ღირსეულად ცხოვრებას. კონვენციის მე-8 მუხლი პირდაპირ არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ ყველა უზრუნველყოს სახლით, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა სახელმწიფოს ასეთი პოზიტიური ვალდებულება წარმოეშვას. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, იმ პირებს, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან, სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ისეთი პირობები, რომ მათ შეძლონ პირადი ცხოვრების უფლებით ნორმალური სარგებლობა. სათანადო საცხოვრისის უფლებაზე მითითება პირდაპირ გვხვდება ევროპის გადასინჯულ სოციალურ ქარტიში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. იმავე დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

პალატა მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლზე, რომლის შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის რატიფიკაციისათვის აუცილებელ დონეს. მი-

იღონ ზომები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. იმავე ქარტიის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს უბინაობის პრობლემების თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თანდათანობით აღმოფხვრის მიზნით.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, უსახლკარობის თავიდან აცილებასა და შემცირებას თანდათან მისი აღმოფხვრის მიზნით. რაც შეეხება „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს, მითითებულია, რომ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ვალდებულია, ა. გ-ის და ვ. ბ-ის განცხადების განხილვისას იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სოციალური სამართლიანობით, რაც ასევე გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შინაარსობრივ შეფასებას, არამედ იმ რეალური პრაქტიკული შედეგების გაანალიზებას, რაც ამ რეგულაციათა ერთობლიობას მოჰყვება. აღნიშნულ ვითარებაში იკვეთება სამართლებრივი დაბრკოლება, რომლის შედეგადაც მოქალაქე ა. გ-ი პრაქტიკულად რჩება სახელ-

მნიფო სოციალური დაცვის სისტემის მიღმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახის მდგომარეობა შესაძლოა სრულად შეესაბამება უსახლკარობის კრიტერიუმებს. იქმნება მოცემულობა, როდესაც ა. გ-ი ოჯახით ვერ რეგისტრირდება უსახლკარო ოჯახად თბილისის მუნიციპალიტეტში, რადგან მისი ოჯახის მეორე წევრი რეგისტრირებულია რუსთავეში, ხოლო რუსთავეის მუნიციპალიტეტში მისთვის იგივე სტატუსის მინიჭებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ მისი რეგისტრაციის ადგილი თბილისია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ორწევრიან ოჯახს, რომელთა წევრებიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი, მინიმუმ ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მაინც მიეცეს უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესაძლებლობა. ნორმის ამგვარი განმარტება შეესაბამება ნორმის მიზანს და იცავს პირის სოციალურ უფლებებს.

აქვე, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ა. გ-ის უვადოდ აქვს დადგენილი შესაძლებლობის შეზღუდვა. კერძოდ, სსიპ სოციალური მოსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური სამსახურის საქალაქო ცენტრის 2022 წლის 02 თებერვლის №04-00-ი/1525 ცნობით ირკვევა, რომ ა. გ-ის აქვს სოციალური პაკეტი, როგორც მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს, უვადოდ, თვეში 275 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 11.4 მუხლზე და განმარტავს, რომ სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის. ასევე, მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაზე“ (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით), რომლის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე საცხოვრებელ პირობებზე მათთვის და მათი ოჯახებისათვის, რაც მოიცავს ადეკვატურ კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს; ასევე უფლებას საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე; იღებენ შესაბამის ზომებს აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამავე კონვენციის 28.2 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას სოციალურ დაცვაზე, ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გამოყე-

ნების უფლებას და იღებენ შესაბამის ზომებს მისი დაცვისა და რეალიზებისათვის, მათ შორის: **a.** უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სუფთა წყლის მიღების, შესაბამისი და ხელმისაწვდომი მომსახურების, საშუალებებისა და ასევე შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სხვა დახმარების მისაწვდომობას; **b.** უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, კერძოდ ქალების, გოგონებისა და ხანდაზმულებისათვის სოციალური დაცვისა და სიღარიბის აღმოფხვრაზე მიმართული პროგრამების მისაწვდომობას; **c.** უზრუნველყოფენ სიღარიბის პირობებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახებისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეული ფინანსური დანახარჯების დაფარვისათვის, მათ შორის: ადეკვატური განათლება, კონსულტირება, ფინანსური დახმარება და დროებითი მზრუნველობა. **d.** უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სახელმწიფო საცხოვრებლის პროგრამების მისაწვდომობას; **e.** უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საპენსიო დახმარებისა და პროგრამების თანაბარი მისაწვდომობას.

სადავო აქტ(ებ)თან მიმართებით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლს. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე გამოითხოვოს დოკუმენტები და შეაგროვოს ცნობები. განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა დაცული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, რამეთუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისა და აქტის გამოცემის ფარგლებში ვალდებულია სრულყოფილად შეისწავლოს და გამოიკვლიოს განსახილველი საკითხი, შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მხოლოდ შემდგომ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთან, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს აქვს კანონით განსაზღვრული, როგორც უფლებამოსილება, ასევე ვალდებულება გადაწყვეტილების მიღებამდე, მოიკვლიოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომელიც აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სა-

სამართლო მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის განმარტა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის წესების დაცვისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და აქტის დასაბუთების ვალდებულება, ხოლო ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში აქტის სამართლებრივი შედეგების შესახებ, კერძოდ: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას – წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილენი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილე-

ბა).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. შესაბამისად, საქმეზე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განსახორციელებელი მოქმედებებისა და კასატორთა (მოსარჩელე მხარის) განცხადებაზე ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მიზნიდან გამომდინარე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (2021 წლის 2 დეკემბრის №1501213362375) და საქმე, საკასაციო სასამართლოს განმარტებისა და მითითებების გათვალისწინებით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა დაუბრუნდეს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს. ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა უნდა იხელმძღვანელოს როგორც სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებებით, ასევე სამართლებრივი შეფასებებით და განმცხადებელთა პოზიციის გათვალისწინებით, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება, სასარჩელო მოთხოვნას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის №102 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვა მაღალი ხარისხით, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გააკეთა დასაბუთებული დასკვნა სადავო აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის №102 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მოსარჩელე მხარეს უარი უნდა ეთქვას ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე

ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლიანობა სწორედ საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, ახალი ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას უნდა შემოწმდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ა. გ-ის და ვ. ბ-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ა. გ-ის და ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 ივნისის განჩინება და საქმეზე მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება. ა. გ-ის და ვ. ბ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის №102 ბრძანება. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის №1501213362375 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ა. გ-ის და ვ. ბ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა:

1. ა. გ-ის და ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 ივნისის განჩინება და საქმეზე მი-

ღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. გ-ის და ვ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის №102 ბრძანება;

5. სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის №1501213362375 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ა. გ-ის და ვ. ბ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება;

4. ერთჯერადი დახმარება

მიუღებელი ერთჯერადი დახმარების ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-782(კ-24)

5 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მაკარიძე,
ბ. შონია

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2023 წლის 1 იანვარს გ. ჭ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2022 წლის 14 დეკემბრის №MOD 9 22 01456195 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის გ. ჭ-ეის სასარგებლოდ 7 000 ლარის ოდენობით მიუღებელი ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური ნოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 47¹ პუნქტზე და აღნიშნა, რომ ერთჯერადი გასაცემლის ვალდებულების წარმოშობისათვის სამხედრო მოსამსახურეს გავლილი უნდა ჰქონდეს სამხედრო სამსახური 4-წლიანი კონტრაქტის საფუძველზე და კონტრაქტის დასრულების შემდგომ მასთან კვლავ უნდა იქნეს გაფორმებული კონტრაქტი 4 წლის ვადით (2009 წლის 1 მარტს ან მის შემდგომ), კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა სრულად უნდა იყოს ამოწურული და ახალი კონტრაქტის დადებამდე არ უნდა იყოს 2 წელზე

მეტი გასული.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. ჭ-ის შორის გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება. კერძოდ: 2005 წლის 30 დეკემბერს – 4 წლის ვადით; 2009 წლის 30 დეკემბერს – 2 წლის ვადით; 2012 წლის 13 მარტს – 4 წლის ვადით; 2016 წლის 13 მარტს – 4 წლის ვადით და 2020 წლის 05 მარტს – 4 წლის ვადით.

კოლეგიის მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ჭ-ის მიერ 2005 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტი გაფორმებული იყო 2009 წლის 1 მარტამდე, ზემოთ მოხმობილი მუხლის მოქმედება აღნიშნულ კონტრაქტზე ვერ გავრცელდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ვერ ექცევა საკანონმდებლო ნორმის ფარგლებში. ხოლო, რაც შეეხება, ცალკე 2009 წლის 30 დეკემბრიდან 2 წლის ვადით გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე ერთჯერადი დახმარების მიღებას „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 47¹ და 47² პუნქტების საფუძველზე მოსარჩელე მხარეს არ მოუთხოვია (2 წლის კონტრაქტის საფუძველზე კომპენსაციის ოდენობა 3000 ლარია), შესაბამისად ამ ნაწილში სასამართლო ვერ იმსჯელებდა. კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2016 წლის 13 მარტიდან (ბოლო კონტრაქტის გაფორმება) სამი წლის განმავლობაში, შესაბამისად, მას სასამართლოსათვის უნდა მიემართა 2019 წლის 13 მარტის ჩათვლით, თუმცა სარჩელი წარდგენილია 2023 წლის 11 იანვარს. ამდენად, სარჩელი ხანდაზმულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 02 მაისის განჩინებით გ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ გ. ჭ-ემ თავდაპირველად 2005 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტის საფუძველზე გაიარა 4-წლიანი სამხედრო სამსახური და კონტრაქტის დასრულების შემდეგ, 2009 წლის 30 დეკემბერს მასთან კვლავ გაფორმდა კონტრაქ-

ტი 2 წლის ვადით, რომლის ვადა სრულად ამოიწურა 2011 წლის 30 დეკემბერს. შესაბამისად, გ. ჭ-ეს 2005 წლის 30 დეკემბრის და 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტების საფუძველზე, ერთჯერადი დახმარების – 3000 ლარის ოდენობით (ორი წლით კონტრაქტის საფუძველზე სამსახურის გავლის შემთხვევაში 3000 ლარი) მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2011 წლის 30 დეკემბრიდან (2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტის 2-წლიანი ვადის ამოწურვიდან). აღნიშნულ მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლო 2021 წლის 22 ივლისის №ბს-1357(კ-20) განჩინებაზე, რომლითაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ერთჯერადი გასაცემლის მოთხოვნის უფლება წარმოშობილია ნორმატიული და არა სახელშეკრულებო დანაწესის საფუძველზე, მასზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო ვადა. ვინაიდან გ. ჭ-ეს 2005 წლის 30 დეკემბრის და 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტების საფუძველზე, ერთჯერადი დახმარების (3000 ლარის ოდენობით) მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2011 წლის 30 დეკემბრიდან, სწორედ აღნიშნული თარიღიდან დაიწყო მოთხოვნის უფლებაზე ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის ათვლა, რომელიც ამოიწურა 2021 წლის 30 დეკემბერს, თუმცა ერთჯერადი დახმარების მოთხოვნით მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2022 წლის 9 დეკემბერს (№1/09-12 ნერილი) მიმართა, ხოლო ამავე მოთხოვნით სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2023 წლის 11 იანვარს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2005 წლის 30 დეკემბრის და 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტების საფუძველზე ერთჯერადი დახმარების მოთხოვნის უფლება ხანდაზმული იყო (გასული იყო საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა), რაც აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმისთვის, რომ სამხედრო მოსამსახურეს წარმოეშვა ერთჯერადი გასაცემლის მიღების უფლება, სამხედრო მოსამსახურეს გავლილი უნდა ჰქონდეს სამხედრო სამსახური 4-წლიანი კონტრაქტის საფუძველზე და კონტრაქტის დასრულების შემდგომ მასთან კვლავ უნდა იქნეს გაფორმებული კონტრაქტი 2, 4 ან 8 წლის ვადით (2009 წლის 1 მარტს ან მის შემდგომ). განსახილველ შემთხვევაში, მართალია, გ. ჭ-ემ 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ, 2 წლის ვადაში, 2012 წლის 13 მარტის 4-წლიანი კონტრაქტის საფუძველზე გააგრძელა სამხედრო სამსახური, ხოლო აღნიშნული კონტრაქტის ვადა სრულად ამოიწურა, თუმცა, საგულისხმოა, რომ 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტი გაფორ-

მებული იყო 2 წლის ვადით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ჭ-ე ვერ აკმაყოფილებდა ერთჯერადი გასაცემლის მიღების უფლების წარმოშობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, კერძოდ, მას 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტის (2 წლის ვადით) საფუძველზე სამხედრო სამსახური არ ჰქონდა გავლილი 4 წლის ვადით. ამდენად, აპელანტის არგუმენტაცია 2009 წლის 30 დეკემბრის და 2012 წლის 13 მარტის კონტრაქტების საფუძველზე ერთჯერადი გასაცემლის მიღების უფლების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო პალატამ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2012 წლის 13 მარტის 4-წლიანი კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდგომ, 2016 წლის 13 მარტს ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ გ. ჭ-ეს შორის კვლავ გაფორმდა კონტრაქტი („...ის თანამდებობაზე სამხედრო მოსამსახურის მიერ ოთხი წლის ვადით სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“). ამასთან, საქმის მასალებით დადგენილი იყო და აპელანტიც სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ 2016 წლის 13 მარტის კონტრაქტის 4-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, 2020 წლის მარტში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დაცვისა და უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს, საკომენდანტო სამმართველოს ... გ. ჭ-ეს მიეცა კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდგომ განკუთვნილი სოციალური დახმარება, რომელიც განსაზღვრული იყო კანონმდებლობით. რაც შეეხება, ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და, მეორე მხრივ, გ. ჭ-ეს შორის 2020 წლის 5 მარტს გაფორმებულ კონტრაქტს, აღნიშნული კონტრაქტის მოქმედების 4-წლიანი ვადა 2024 წლის 5 მარტს, საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე ამოიწურა და მოსარჩელის (აპელანტის) მოთხოვნა აღნიშნული კონტრაქტიდან არ გამომდინარეობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 02 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჭ-ემ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო პალატამ არასწორად იმსჯელა საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და გადაწყვეტილება არასაკმარისად დაასაბუთა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 2012 წლის 13 მარტს გ. ჭ-ესა და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა ოთხწლიანი კონტრაქტი და მოსარჩელეს წარმოეშვა მიუღებელი ერთჯერადი კომპენსაციის – 7000 ლარის მოთხოვნის უფლება 2016 წლის 13 მარტიდან და არა 2011 წლის 30 დეკემბრიდან.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელე გ. ჭ-ე 2005 წლიდან კეთილსინდისიერად ემსახურება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსა-

ხურს. 2005 წლის 30 დეკემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ 4 წლის ვადით. 2009 წლის 30 დეკემბერს – 2 წლის ვადით. 2012 წლის 13 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. ჭ-ეს შორის კვლავ გაფორმდა ხელშეკრულება (კონტრაქტი 4 წლის ვადით), რომლის თანახმად გ. ჭ-ემ აიღო ვალდებულება, კეთილსინდისიერად ემსახურა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში. თავის მხრივ, სამინისტრომ იკისრა ვალდებულება, გადაეხადა სამხედრო მოსამსახურისათვის ანაზღაურება და უზრუნველყო იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით. გ. ჭ-ესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის კონტრაქტები აგრეთვე გაფორმდა 2016 წლის 05 მარტსა და 2020 წლის 05 მარტს. ამდენად, მოსარჩელეს ეკუთვნოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებით გათვალისწინებული 7000 ლარიანი ერთჯერადი დახმარება, თუმცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2022 წლის 14 დეკემბრის №MOD 9 22 01456 195 წერილის თანახმად, გ. ჭ-ის მიერ გაფორმებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტის პირობები არ ითვალისწინებდა ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულებას.

კასატორის მითითებით, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე არ ითხოვდა 3000 ლარის ანაზღაურებას, არამედ მოსარჩელე ითხოვდა მიუღებელი ერთჯერადი კომპენსაციის – 7000 ლარის ანაზღაურებას, რომელის მიღების ვალდებულებაც მხარეს წარმოეშვა 2016 წლის 13 მარტიდან, რასაც არ უარყოფს თავად მოპასუხეც. თავდაცვის სამინისტრო შესაგებელში აღნიშნავს, რომ მართალია, გ. ჭ-ის მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2016 წლის 13 მარტიდან, თუმცა მოპასუხის მოსაზრებით სადავო შემთხვევაზე უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, რაც სარჩელს ხანდაზმულად აქცევდა. კასატორი არ იზიარებს მოპასუხის ხსენებულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ სადავო ურთიერთობაზე ვრცელდება ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 22 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწყო ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე დავის საგანს გ. ჭ-ისათვის, როგორც სამხედრო მოსამსახურისათვის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების (7000 ლარის ოდენობით) მიკუთვნებაზე უარის თქმის კანონიერების დადგენა წარმოადგენს.

სადავო პეროდში მოქმედი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების (ძალადაკარგულია 2018 წლის 15 იანვრიდან) 47¹ პუნქტის თანახმად, ამ პუნქტში მითითებულ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ორი, ოთხი ან რვა წლის ვადით გააგრძელებენ სამხედრო სამსახურს 2009 წლის პირველ მარტს ან პირველი მარტის შემდეგ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე და კონტრაქტი შეუწყდებათ ვადის გასვლის ან ახალი კონტრაქტის გაფორმების გამო, კონტრაქტის სრული ვადის ამოწურვის შემდეგ მიეცემათ ერთჯერადი დახმარება 47² პუნქტში მითითებული ოდენობით. ამ პუნქტის მოქმედება სამხედრო მოსამსახურეზე ვრცელდება, თუ მითითებული კონტრაქტის გაფორმებამდე: ა) სამხედრო მოსამსახურე: ა.ა) იმსახურა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების „წვრთნისა და აღჭურვის“ ერთობლივი პროგრამით და ამავდროს კონტრაქტის საფუძველზე იმსახურა სამი წლისა და სამი თვის ვადით, კონტრაქტი შეუწყდა ვადის გასვლის გამო და ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე არ გასულა 2 წელზე მეტი; ა.ბ) კონტრაქტის საფუძველზე იმსახურა ოთხი წლის ვადით, კონტრაქტი შეუწყდა ვადის გასვლის გამო და ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე არ გასულა 2 წელზე მეტი; ა.გ) წინა კონტრაქტი შეუწყდა 8-წლიანი კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე; ა.დ) ამ პუნქტის „ა.ა“ ან „ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ სამხედრო მოსამსახურემ იმსახურა საქართველოს თავდაცვის მინისტ-

ტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კონტრაქტის ვადით, კონტრაქტი შეუწყდა ვადის გასვლის გამო და ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე არ გასულა 2 წელზე მეტი.

ამავე ბრძანების 47² პუნქტის შესაბამისად, 47¹ პუნქტში მითითებულ სამხედრო მოსამსახურეს ერთჯერადი დახმარება მიეცემა შემდეგი ოდენობით: ა) ორწლიანი კონტრაქტის საფუძველზე ამ კონტრაქტის ვადით სამსახურის გავლის შემთხვევაში 3000 ლარი, ან; ბ) ოთხწლიანი კონტრაქტის საფუძველზე ამ კონტრაქტის ვადით სამსახურის გავლის შემთხვევაში 7000 ლარი, ან; გ) რვაწლიანი კონტრაქტის საფუძველზე ამ კონტრაქტის ვადით სამსახურის გავლის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც შეწყდა პირველი 4 (ოთხი) წლიანი კონტრაქტი 7000 ლარი, ან; დ) მეორე ან მომდევნო ოთხი/რვა წლიანი კონტრაქტის შემდგომ რვაწლიანი კონტრაქტის საფუძველზე ამ კონტრაქტის ვადით სამსახურის გავლის შემთხვევაში 14000 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2005 წლის 30 დეკემბერს, ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ გ. ჭ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (კონტრაქტი) „თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“. კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურის ვადად განისაზღვრა 4 (ოთხი) წელი, რომლის ათვლა დაიწყო კონტრაქტის დადების თარიღიდან და რომელიც იმავდროულად ითვლებოდა ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად.

2009 წლის 30 დეკემბერს, ერთი მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ გ. ჭ-ეს შორის გაფორმდა კონტრაქტი „...ის თანამდებობაზე სამხედრო მოსამსახურის მიერ ორი წლის ვადით „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“. კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტის თანახმად, „სამხედრო მოსამსახურე“ ვალდებული იყო ემსახურა ამ კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში. კონტრაქტი მოქმედებდა ორი წლის ვადით.

2012 წლის 13 მარტს, ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ გ. ჭ-ეს შორის გაფორმდა კონტრაქტი სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტის თანახმად, „სამხედრო მოსამსახურე“ ვალდებული იყო ემსახურა ამ კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში. კონტრაქტი მოქმედებდა ოთხი წლის ვადით.

2016 წლის 13 მარტს, ერთი მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ გ. ჭ-ეს შორის გაფორმდა კონტრაქტი „...ის

თანამდებობაზე სამხედრო მოსამსახურის მიერ ოთხი წლის ვადით „სამხედრო მოსამსახურის გავლის შესახებ“. კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტის თანახმად, „სამხედრო მოსამსახურე“ ვალდებული იყო ემსახურა ამ კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში. კონტრაქტი მოქმედებდა ოთხი წლის ვადით. კონტრაქტის მე-5 მუხლის 5.1.1 პუნქტის თანახმად, „სამინისტრო“ იღებდა ვალდებულებას დაეცვა „სამხედრო მოსამსახურის“ მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პირობები, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები, ამავე მუხლის 5.1.2 პუნქტის თანახმად კი „სამინისტრო“ იღებდა ვალდებულებას კანონმდებლობის შესაბამისად გაეცა ერთჯერადი დახმარება, თუ „სამხედრო მოსამსახურე“ ამ კონტრაქტის საფუძველზე იმსახურებდა 4 წლის ვადით.

2020 წლის 05 მარტს, ერთი მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მეორე მხრივ გ. ჭ-ეს შორის გაფორმდა კონტრაქტი „სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში რიგითების, კაპრალების, სერჟანტების მიერ სამხედრო მოსამსახურის გავლის შესახებ“. კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტის თანახმად, „სამხედრო მოსამსახურე“ ვალდებული იყო ემსახურა ამ კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში. „სამხედრო მოსამსახურე“ უპირობოდ და წინასწარ, კონტრაქტზე ხელმოწერით გამოთქვამდა გამოუთხოვად თანხმობას, კონტრაქტის ვადის გაგრძელების თაობაზე. კონტრაქტის მოქმედებისა და სამსახურის გავლის ვადა შეადგენდა 4 წელს, რომელიც აითვლებოდა ამ კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღიდან. დასახელებული კონტრაქტის მე-5 მუხლის 5.1.1 პუნქტის თანახმად, „სამინისტრო“ იღებდა ვალდებულებას დაეცვა „სამხედრო მოსამსახურის“ მიმართ კანონმდებლობით და ამ კონტრაქტით დადგენილი პირობები, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები. ამავე მუხლის 5.1.2 პუნქტის თანახმად კი, „სამინისტრო“ იღებდა ვალდებულებას კანონმდებლობის შესაბამისად გაეცა ერთჯერადი დახმარება, თუ „სამხედრო მოსამსახურე“ ამ კონტრაქტის საფუძველზე იმსახურებდა 4 წლის ვადით. დადგენილია, რომ 2022 წლის 01 აპრილს, ერთი მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ გ. ჭ-ეს შორის გაფორმდა №9051 შეთანხმების ოქმი, რომლის თანახმად, კონტრაქტის მე-5 მუხლის 5.1.2 ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „სამინისტრო ვალდებულია გასცეს კანონმდებლობით განსაზღვრული დანამატი, თუ სამხედრო მოსამსახურე იმსახურებს ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით.“

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2022 წლის 14 დეკემბრის №MOD 1 22 01451796 წერილით დგინდება, რომ სამხედრო პოლიციის დეპარტა-

მენტის დაცვისა და უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს, საკომენდანტო სამმართველოს ... გ. ჭ-ეს, 2020 წლის მარტში მიეცა კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდგომ განკუთვნილი ერთჯერადი დახმარება, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2023 წლის 14 დეკემბრის №MOD 9 22 01456195 წერილით გ. ჭ-ის წარმომადგენელს მ. ა-ეს ეცნობა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. ჭ-ეს შორის გაფორმებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტის პირობები არ ითვალისწინებდა ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულებას, რის გამოც თავდაცვის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია, რომ თავდაცვის სამინისტროსა და გ. ჭ-ეს შორის გაფორმებული იყო 5 კონტრაქტი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების შესაბამისად ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულების წარმოშობისათვის სამხედრო მოსამსახურეს გავლილი უნდა ჰქონოდა სამხედრო სამსახური 4-წლიანი კონტრაქტის საფუძველზე და კონტრაქტის დასრულების შემდგომ, მასთან კვლავ უნდა გაფორმებულიყო კონტრაქტი (2009 წლის 1 მარტს ან მის შემდგომ). ამასთან, კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა სრულად უნდა ყოფილიყო ამოწურული და ახალი კონტრაქტის დადებამდე არ უნდა ყოფილიყო 2 წელზე მეტი გასული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დეტალურად უნდა შეფასდეს გ. ჭ-ესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული კონტრაქტები და დადგინდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა თითოეულ შემთხვევაში.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007

ნლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 47² პუნქტის შესაბამისად, 2005 წლის 30 დეკემბრისა და 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტების საფუძველზე, გ. ჭ-ეს ჰქონდა 3000 ლარის ოდენობით (4+2 წელი) გასაცემლის მოთხოვნის უფლება, რომელიც წარმოეშვა მეორე კონტრაქტის დასრულებისას – 2011 წლის 30 დეკემბრიდან. სააპელაციო პალატამ მართებულად აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ერთჯერადი გასაცემლის მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო ვადა. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა ამოიწურა 2021 წლის 30 დეკემბერს. ერთჯერადი დახმარების მოთხოვნით მოსარჩელემ თავდაცვის სამინისტროს მიმართა 2022 წლის 9 დეკემბერს, ხოლო ამავე მოთხოვნით სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2023 წლის 11 იანვარს. შესაბამისად, ზემოხსენებული კონტრაქტების (2005 წლისა და 2009 წლის) საფუძველზე ერთჯერადი დახმარების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

როგორც ცნობილია, 2009 წლის 30 დეკემბერს გ. ჭ-ესა და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა 2-წლიანი კონტრაქტი, ხოლო 2012 წლის 13 მარტს – 4-წლიანი (2+4 წელი) კონტრაქტი. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების შესაბამისად, მოსამსახურეზე დახმარება გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურეს გავლილი აქვს სამხედრო სამსახური 4-წლიანი კონტრაქტის საფუძველზე და კონტრაქტის დასრულების შემდგომ მასთან კვლავ უნდა იქნეს გაფორმებული კონტრაქტი 2, 4 ან 8 წლის ვადით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტის გაფორმებამდე, გ. ჭ-ემ 2005 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტის საფუძველზე იმსახურა 4 წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ 2009 წლის 30 დეკემბრის კონტრაქტის საფუძველზე – 2 წლის განმავლობაში. ამდენად, 2012 წლის 13 მარტის კონტრაქტის გაფორმებამდე გ. ჭ-ეის ნამსახურეობა შეადგენდა ჯამში ექვს წელს (4+2 წელი). 2012 წლის 13 მარტს კი მხარეებს შორის კვლავ 4-წლიანი კონტრაქტი იქნა გაფორმებული (4+2+4 წელი). ამასთან, როგორც 2005 წლის, ისე 2009 წლის კონტრაქტი შეწყდა ვადის გასვლის გამო და ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე არცერთ შემთხვევაში არ იყო გასული ორ წელზე მეტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.2007წ. №560 ბრძანების 47¹ პუნქტის ა.ბ. ქვეპუნქტით მნიშვნელობა ენიჭება ნამსახურობის წელთა რაოდენობას და არა თავ-

დაცვის სამინისტროსთან დადებულ ერთეულ კონტრაქტს, რაც გამომდინარეობს ზემოაღნიშნული ნორმის ლოგიკური და სისტემური განმარტების შედეგად“ (იხ. სუსგ №ბს-77-77(კ-18); 21.06.2018წ.). შესაბამისად, იმისათვის, რომ პირს დაენიშნოს 7000 ლარის ოდენობით ფულადი დახმარება, მას გავლილი უნდა ჰქონდეს სამხედრო სამსახური მინიმუმ 4 წლის განმავლობაში ერთი ან რამდენიმე კონტრაქტის ერთობლიობაში და უკანასკნელი კონტრაქტის დასრულების შემდგომ მასთან კვლავ უნდა იქნეს გაფორმებული კონტრაქტი 2, 4 ან 8 წლის ვადით. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც გ. ჭ-ეს გავლილი ჰქონდა 2005 წელს – 4-წლიანი, 2009 წელს – 2-წლიანი და შემდგომ მასთან კვლავ გაფორმდა 4-წლიანი კონტრაქტი 2012 წელს, სახეზე იყო „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 47¹ მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ 7 000 ლარიანი ფულადი დახმარების გაცემის საფუძველს ქმნის. აღსანიშნავია, რომ ხსენებული კონტრაქტებიდან გამომდინარე გასაცემლის მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს წარმოეშვა ბოლო – 2012 წლის კონტრაქტის დასრულებისას – 2016 წლის 13 მარტს. ერთჯერადი დახმარების მოთხოვნით მოსარჩელემ თავდაცვის სამინისტროს მიმართა 2022 წლის 9 დეკემბერს, ხოლო ამავე მოთხოვნით სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2023 წლის 11 იანვარს. ამდენად, მოცემულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული არ არის.

რაც შეეხება, 2012 წლის 13 მარტის 4-წლიანი და 2016 წლის 13 მარტის 4-წლიანი კონტრაქტების ერთობლიობას, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 13 მარტის კონტრაქტის ამონაწერის შემდეგ – 2020 წლის მარტში გ. ჭ-ეს მიეცა კონტრაქტის ვადის ამონაწერის შემდგომ განკუთვნილი დახმარება, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გამაქარწყლებელი მტკიცებულება კასატორის (მოსარჩელის) მიერ არ წარმოდგენილა.

რაც შეეხება – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. ჭ-ეს შორის გაფორმებულ ბოლო – 2020 წლის 5 მარტის კონტრაქტს, სააპელაციო პალატამ მართებულად აღნიშნა, რომ კონტრაქტის მოქმედების ვადა ამოიწურა 2024 წლის 5 მარტს. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2022 წლის 14 დეკემბრის №MOD 9 22 01456195 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წინამდებარე დავის ფარგლებში სა-

სამართლო ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული კონტრაქტიდან გამომდინარე დახმარებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ჭ-ესა და თავდაცვის სამინისტროს შორის 2005, 2009 და 2012 წლებში გაფორმებული – შესაბამისად 4, 2 და 4 წლიანი კონტრაქტების ერთობლიობა ქმნიდა მისთვის 7 000 ლარიანი ფულადი დახმარების ანაზღაურების სამართლებრივ და ფაქტობრივ წინაპირობებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 02 მაისის განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-9 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 02 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2022 წლის 14 დეკემბრის №MOD 9 22 01456 195 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (2012 წელს გაფორმებული კონტრაქტიდან გამომდინარე ერთჯერადი დახმარების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი ერთჯერადი დახმარების – 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge